Georgia

საქართველოს
ტურიზმის ეროვნული
ადმინისტრაცია

საქართველოს ეკონომიკისა
და მდგრადი განვითარების
სამინისტრო

ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

საქართველოს ტურიზმის
ეროვნული ადმინისტრაცია

Georgia

საქართველოს ეკონომიკისა
და მდგრადი განვითარების
სამინისტრო

კრებულში თავმოყრილია საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ ორგანიზებული თბილისის კონფერენციის “ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში” ფინალურ ეტაპზე გასული ნაშრომი.

კონფერენციის მიზანია სტუდენტების ინოვაციური იდეებისა და არგუმენტირებული მოსაზრებების წარმოჩენა ქვეყანაში ტურიზმის პოლიტიკის მიმართულებებსა და განვითარების პერსპექტივებზე.

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის კვლევებისა და დაგეგმვის სამმართველო

თბილისი 2020

სარჩევი

სამცხე-ჯავახეთის განვითარების პერსპექტივები 7

ყველის ტურიზმი, როგორც სასოფლო ტურიზმის განვითარების წინაპირობა 15

გვახსოვდეს აფხაზეთი 20

სამთო-სათხილამურო ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში 29

ტურიზმი - საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში მიგრაციის შემაჩერებელი მექანიზმი..... 33

მრავალპროფილიანი სოფლის ტურისტული ბიზნეს-ობიექტის სამეურნეო გამოცდილება 37

ეკოსოფელი, როგორც ქართული მთის სოფლების მემკვიდრეობის შენარჩუნების საშუალება 41

მთიანი სამეგრელოს ტურისტული პოტენციალი 46

კურორტ სქურის ტურისტულ-რეკრეაციული შეფასება 51

ტურიზმის განვითარების პერსპექტივები სოფელ კუმისში..... 57

„კრიმანჭული“ გომის მთიდან..... 60

ტურიზმის გავლენა დაცულ ტერიტორიებსა და ბიომრავალფეროვნებაზე 66

პროფესიული და უმაღლესი განათლების როლი ტურიზმში, გამოწვევები და პერსპექტივები 71

მეგალითური ტურიზმის განვითარების პერსპექტივები ქვემო ქართლში 74

დმანისის ნაქალაქარი - როგორც ქვემო ქართლის ტურისტული განვითარების ფაქტორი 78

ეკოტურიზმი საქართველოში..... 84

სათავგადასავლო ტურიზმში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება

ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით..... 88

ჭერემი - ეკო სოფელი კახეთის გულში..... 93

სამცხე-ჯავახეთის განვითარების პერსპექტივები

ავტორი: **ნიკა ნათენაძე**
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
ხელმძღვანელი: **გიორგი ქემერტელიძე.**

აბსტრაქტი

ნაშრომი შეისწავლის სამცხე-ჯავახეთის, როგორც ისტორიული, კულტურული, სამთო, სამედიცინო, ბალნეოლოგიური, გასტრონომიული და ა.შ წარმომადგენელი კუთხის მდგომარეობის მიმოხილვას და მის განვითარების პერსპექტივებს. განხილულია ამ კუთხისა და მისი მახასიათებლების მნიშვნელობა და როლი ქვეყნისა და რეგიონის განითარებაში. ამ ნაშრომში ხაზგასმულია ტურიზმის ამ სფეროების განვითარების ტენდენციები მსოფლიოსა და საქართველოში. გამოთქმულია ჰიპოთეზები თუ როგორაა შესაძლებელი ამ პროცესის დროს წამოჭრილი გამოწვევებისა და პრობლემების მოგვარება და როგორ აისახება ეს პროცესი სამცხე-ჯავახეთის განვითარების ეტაპზე.

შესავალი

დღესდღეობით, თანამედროვე ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვანწილად ვითარდება ტურიზმი და მასთან დაკავშირებული მოვლენები, რაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან და ძლიერ სფეროს წარმოადგენს. ქვეყნის სტაბილურობა და უსაფრთხო გარემო კი პირდაპირპროპორციულია ამ სფეროს გავითარებისა. საქართველო მოიაზრება ერთ-ერთ უსაფრთხო ქვეყნად, ამიტომ ტურიზმი ჩვენს ქვეყანაში დღითი-დღე იზრდება.

რაც შეეხება საქართველოს, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემების მიხედვით 2018 წელს საერთაშორისო მოგზაურების მიერ განხორციელებულმა ვიზიტების რაოდენობამ მიაღწია 8 679 544-ს, რაც 9,8%-ით აღემატება წინა წლის მონაცემებს. ამ ვიზიტორთა საერთო ჯამური დანახარჯები კი შეადგენდა 7 917 504 128 ლარს. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს ამავე წლის მონაცემებით მხოლოდ საერთაშორისო ვიზიტების სახით შემოსულმა ტურისტების რაოდენობამ გადააჭარბა 851 ათასს, საიდანაც მხოლოდ და მხოლოდ 47 ათასი ტურისტი ეწვია სამცხე-ჯავახეთს, რაც მთლიანი საერთაშორისო ვიზიტების 5.5%-ს შეადგენს (https://www.geostat.ge/ka/modules/categories/102/utskhoel-vizitorta-statistika). ეს კი ხდება მაშინ, როდესაც ამ კუთხის მოსახლეობა შეადგენს 155 900-ს. ეს მაჩვენებელი კი არც თუ ისე სახარბიელოა იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ აღინიშნება სამცხეჯავახეთის მოსახლეობის რაოდენობის კლება, თუმცა, მიუხედავად ამისა, ამ კუთხის პერსპექტივები ტურიზმის განვითარებაში მეტად ფართო და მნიშვნელოვანია.

სამცხე-ჯავახეთი საქართველოს ისტორიული კუთხეა, რომელთნაც ასოცირდება მრავალფეროვანი ბუნება, ისტორიული ძეგლების სიმრავლე, ბუნებრივი წიაღისეულის სიმდიდრე, მთისა და ბარის უნიკალური შერწყმა. ამ კუთხეში სიძველესთან ერთად სიახლეებსაც შეხვდებით, რაც უნარჩუნებს მას ისტორიულ მნიშვნელობას და სძენს ტურიზმის განვითარების შესაძლებლობებს.

მიმაჩნია, რომ ამ კუთხის ნედლეული და კულტურული მემკვიდრეობა გარკვეულ კონკურენტულ უპირატესობას ანიჭებს მას არა მარტო საქართველოში, არამედ რეგიონშიც. უკანასკნელ პერიოდში კი შესამჩნევი პირობები გამოიკვეთა ეკოტურიზმის განვითარებისთვის.

აქედან გამომდინარე ამ ნაშრომის მიზანია, ერთის მხრივ, პოპულარიზება გაუწიოს ამ კუთხის არც თუ ისე ცნობილ მახასიათებლებსა და საკითხებს, ხოლო მეორე მხრივ, ადგილობრივ მოსახლეობას დაანახოს ის პერსპექტივები, რაც მათ მიგრაციის შემცირებისკენ უბიძგებს. ეს მიზანი კი მიღწეული იქნება იმ შემთხვევაში თუ ნაშრომის ბოლოს პასუხი გაეცემა მნიშვნელოვან კითხვებს. საკვლევი კითხვები:

- როგორ აისახება ტურიზმის განვითარება კუთხის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე?
- რამდენადაა მოსახლეობა მზად ტურიზმის განვითარების პროცესში მიმდინარე ცვლილებებთან?
- შეუწყობს თუ არა ტურიზმის განვითარება ამ რეგიონის მოსახლეობის დამაგრებას და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას?

ლიტერატურის მიმოხილვა

1. კუთხეში არსებული გარემო და შეთავაზებული სერვისები

მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ცნობილია სამცხე-ჯავახეთის ღირსშესანიშნაობების გარკვეული ნაწილი, აუცილებელია პოპულიარიზაცია გაეწიოს სხვა საინტერესო მიმდინარეობებს ამ კუთხესთან დაკავშირებით. ამ მხრივ კი მნიშვნელოვანია მცირე და კერძო ბიზნესის განვითარების ეტაპები, რომლებიც ნელ-ნელა ფეხს იკიდებს ამ კუთხეში.

აგრეთვე, ტურისტებისთვის ხელმისაწვდომია ტურისტული მარშუტების რუკები და გეგმები, რაც გვაძლევს იმის შესაძლებლობას, რომ უკეთ აღვიქვათ ამ ტერიტორიაზე არსებული მრავალი ღირსშესანიშნაობები თუ ჩვენთვის საინტერესო ადგილები.

რაც შეეხება სამცხე-ჯავახეთის ეკოლოგიას, აქ მრავლადაა ვულკანური და მყინვარული წარმოშობის ტბები, ვხვდებით მრავალ დაცულ ტერიტერიებს, აღკვეთილებს, ეროვნულ პარკს და ა.შ. მაგალითად, ნაკლებად ცნობილი წუნდის ტბა, რომელიც მდებარეობს სოფელ ნაქალაქევთან და შემორჩენილი ლეგენდის თანახმად, მას ,,თამარის ტბასაც“ უწოდებენ, მისი სიღრმე 10 მეტრს აჭარბებს.

2. სამცხე–ჯავახეთი როგორც სამედიცინო ტურიზმის კერა

იმისათვის, რომ განვიხილოთ სამცხე-ჯავახეთში სამედიცინო ტურიზმის განვითარების პერსპექტივები, ჩემი აზრით, აუცილებელი გადავხედოთ სხვა ქვეყანათა მაგალითებს ამ საკითხთან დაკავშირებით. მაგალითისათვის განვიხილოთ ქვეყანა კოსტა რიკა, რომელსაც დაახლოებით ჩვენი ქვეყნის ტოლი ტერიტორია უკავია. 2010 წლის მონაცემებით სამედიცინო სფეროების მოგებამ ამ ქვეყნისთვის შეადგინა 300 მილიონზე მეტი, სადაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სამედიცინო ტურიზმის სფერომ.

ამ მხრივ, სამცხე-ჯავახეთში დიდი რაოდენობითაა გოგირდოვანი ცხელი წყლების (38-55 გრადუსის ტემპერატურის თერმული წყლები ასპინძაში, მინერალური და სუფთა წყაროები ბორჯომში და სხვა) რესურსები. აგრეთვე, არაპოპულარიზებულია გოგირდის აბანოები ასპინძაში, რისი დახმარებითაც ადამიანს აქვს შესაძლებლობა დაძლიოს რევმატიზმია და მისი გამომწვევი პრობლემები. ამ გოგირდოვან წყლებს ადრე იყენებდნენ მინერალური წყლის სახით, რომელიც ,,ვარძიის“ სახელით იყო ცნობილი.

სამედიცინო ტურიზმის უკვე განვითრებული კერა კი გვხვდება აბასთუმნის ტერიტორიაზე, რომელიც ზღვის დონიდან 1340მ-ზე მდებარეობს და ეს ადგილი გამორჩეულია სამკურნალო რესურსებით

აგრეთვე, რეგიონში გვხვდება „წითელი წიგნით“ დაცული 17 და სამკურნალო მცენარეების 85 სახეობა. ესე იგი, არატრადიციული (ფიტოთერაპია) სამედიცინო მომსახურების განვითარება აქ ახლო პერსპექტივაა.

3. ეკოტურიზმის განვითარების პერსპექტივები ამ კუთხეში

როგორც უკვე ვახსენეთ, სამცხე ჯავახეთი მდიდარია უცნობი ადგილების სიმრავლით, რომლებიც მეტად საინტერესოს და მიმზიდველს ხდის კუთხეს. 2018 წლის საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის -საქსტატი- მონაცემებით სამცხე-ჯავახეთში 15 წლის და უფროსი ასაკის უცხოელი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების საშუალო რაოდენობა არის 47 000, რაც მთლიანი ტურისტების ვიზიტების 5.5%-ს შეადგენს, ხოლო 2017 წლის მონაცმებით ვიზიტორთა რაოდენობამ შეადგინა 60 000 ტურისტული ვიზიტი, რაც 7.8%-ს შეადგენს სრული წლის მონაცემებისას. ეს მაჩვენებელი კი არც თუ ისე სახარბიელოა, თუმცა არსებობს დიდი შანსი ამ მონაცემების გაზრდისა იმ შემთხვევაში თუ პოპულარიზაცია გაეწევა ნაკლებად ცნობილ, თუმცა საინტერესო და მიმზიდველ ადგილებს. ამისთვის კი შეგვიძლია გამოვიყენოთ ტბები, მდინარეები, უძველესი ყორღანები და უნიკალური ძეგლები ამ რეგიონში.

უცნობი ღირსშესანიშნაობები:

- ძველი გოგირდის აბანოები ასპინძაში
- X საუკუნის ციხე- თმოგვის ციხე
- სამლოცველო გამოქვაბულთა უნიკალური ერთობლიობა- „თავკვეთულა“
- XIII საუკუნის ციხე-სიმაგრე -„კოხასთავი“
- სლესის ციხე
- XIII საუკუნის ციხე-სიმაგრე - „ოქროს ციხე“
- VIII-XVI საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრებისა და კულტურის ძეგლი- ვანის ქვაბები

4. სამცხე-ჯავახეთი როგორც გასტრონომული სფეროს მხარე

მესხეთში მევენახეობის ტრადიციას ფართო გასაქანი ჰქონდა საუკუნეთა განმავლობაში, რაზეც მეტყველებს მტკვრისპირა სოფლებში აღმოჩენილი ქვევრები, საწნახლები, მარნები, საქაჯავები, ნავენახევი ადგილები, ვაზის ნაშთები და სხვა. ამის დასტურია, ასევე ვარძიის სამონასტრო კომპლექსში არსებული კლდეში ნაკვეთი საწნახლები. მაგალითად, ვარძიაში, გამოქვაბულში მიკვლეულია "სალხინო მარანი" დარბაზითურთ, მარანი, საწნახელი, ქვევრები და მეღვინეობისათვის საჭირო სხვა ინვენტარი სოფლებში: მინაძე, საძელი, წირა, წნისი (ახალციხის მუნიციპალიტეტი), უდე (ადიგენის მუნიციპალიტეტი), ჭობისხევი (ბორჯომის მუნიციპალიტეტი). ასევე ამ მხარეში, ვაზის წარსულში გავრცელების უტყუარი დასტურია სხვადასხვა წყაროში შემორჩენილი ინფორმაცია სამცხე-ჯავახეთის სოფლებში (ბაგები, გუგათა, ვარძია, იდუმალა, ოშორა, ოხერა, ტოლოში, უდე და სხვ.) გაველურებული ვაზის ნარჩენების შესახებ. ამ კუთხის ტერიტორიაზე არსებული ტერასები კი ნამდვილად დიდ პოტენციალს იძლევა მეღვინეობა-მევენახეობის განვითარებისთვის.

რაც შეეხება ადგილობრივ კერძებს, ის ჯერ კიდევ არ არის ფართო მასებისთვის ცნობილი, თუმცა ვინც კი მათ დააგემოვნებს ყურადღებას ამახვილებენ მათ გემოსა და ხარისხზე, რადგან როგორც ცნობილია ადგილობრივი პროდუქტი ეკოლოგიურად სუფთა გარემოში იწარმოება. ამ კუთხით აღსანიშნავია რძის პროდუქტები, კერძოდ კი ყველის ნაირსახეობები (ჩეჩილი, ტენილი და სხვა) და მისგან დამზადებული კერძები (თუთმაჯი, ბატის ხინკალი, წერო ხინკალი, თათარბერაკი და სხვა) რომელთაც ანალოგი არ გააჩნია. ადგილობრივ მოსახლეობასთან გასაუბრებისას ერთ-ერთმა მეწარმემ აღნიშნა, რომ ადგილობრივი რძის ნაწარმი ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს მსოფლიო კვების რაციონში. აქვე არ შემიძლია არ აღვნიშნო ეკოლოგიურად სუფთა ადგილობრივი ხილისა და ბოსტნეულის ნაწარმის მნიშვნელობა. მხოლოდ თუთისგან ხუთი სახეობის ნაწარმი მზადდება (ბაქმაზი, თუთის ჩირი, ტყლაპი, ჯემი და არაყი). იმის გამო, რომ ნაწარმი არ არის ჯერ-ჯერობით პოპულალური მოსახლეობა მცირე რაოდენობით აწარმოებს ამ პროდუქციას.

აღნიშნული ნაწარმის პოპულარიზაციის მიზნით მიზანშეწონილად მიმაჩნია ტურისტული სეზონის პერიოდში მოეწყოს ფესტივალი, სადაც წარმოდგენილი იქნება ადგილობრივი ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია, მათ შორის რძის ნაწარმი, ხილის ნაწარმი, ბოსტნეული, თაფლი, ხორცეული და სამკურნალო მცენარეები. ეს ფესტივალი შეიძლება ჩატარდეს რეგიონალურად - დიდი მასშტაბით ან რაიონებში- შედარებით მცირე მასშტაბით.

ამგვარი ღონისძიებების გატარებით ტურიზმის განვითარების პარალელურად განვითარდება სოფლის მეურნეობაც, რაც თავისთავად დადებით გავლენას იქონიებს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.



5. მესხეთ-ჯავახეთი როგორც ექსტრემალური სპორტის განვითარების ადგილი

როგორც ცნობილია, მესხეთ-ჯავახეთის რეგიონის რელიფი ვულკანური წარმოშობისაა, რის შედეგადაც მდინარეების ვიწრო კალაპოტის გამო სწრაფად მიედინება გარშემო კი სალი კლდეებითაა შემოსაზღვრული. ადრე ეს ადგილები არაერთხელ გამხდარა ქართული კინემატოგრაფიის ყურადღების საგანი (აქ გადაღებულია ქართული ფილმის ,,არსენა მარაბდელის“

ზოგიერთი კადრები). ამიტომ აქ ბუნებრივად უკვე შექმნილია ყველა პირობა მდინარეზე ჯომარდობის შეჯიბრის მოწყობისათვის, რითაც ქართული სპორტი დიდად არ არის განებივრებული. რაც შეეხება ციცაბო კლდეებს, ვთვლი, რომ მისი გამოყენება შეიძლება ექტრემალური სპორტის განვითარებისთვის. კერძოდ კლდეზე ცოცვა, ე.წ ,,Zip Line” , ,,Bunjee Jumping” და ,,Sky Diving” . ეს ორი უკანასკნელი კი საქართველოში თითქმის არც კი არსებობს და თუ ამგვარი ღონისძიებები გატარდება, ვიზიტორები შედარებით უფრო კმაყოფილნი დარჩებიან, კმაყოფილი ვიზიტორების რაოდენობა კი პირდაპირპროპორციულია ტურისტების ნაკადის მატებასთან.

დასკვნა

ნუთუ რას ველით ყოველივე ზემოაღნიშნულის განხორციელების შემთხვევაში?! ჩვენ ნათლად დავინახეთ თუ რაოდენ დიდი პოტენციალის მქონე კუთხეა მესხეთ-ჯავახეთი ტურიზმის სხვადასხვა სფეროს მიმართულებით, იქნება ეს სამედიცინო

ტურიზმი, ეკოტურიზმი, გასტრონომია თუ სხვა, რის საფუძველზეც ვხვდებით, რომ ამ კუთხის განვითარების პერსპექტივები მეტად რელევანტურია რეალობასთან.

თანამედროვე ინფრასტრუქტურის არ არსებობა, შეთავაზებული სერვისების მიწოდების გზების არც თუ ისე მოხერხებულობა, სოფლის მეურნეობის დაქვეითება და სხვა სწორედ ის პრობლემებია, რომელთა აღმოფხვრის შესაძლებლობაც გვექნება ამ პროექტების განხორციელების შემდეგ. მაშასადამე, ვხვდებით, რომ პოპულარიზაციის დონის გაზრდით გავზრდით ტურისტთა და ვიზიტორთა რაოდენობას ამ კუთხეში.

გამოყენებული ლიტერატურა

- მეტრეველი, მარინა. 2011. ტურიზმის ეკონომიკა და პოლიტიკა. თბილისი: სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიის გამოცემისა და ტრეინინგების ცენტრის გამოცემა.
- მარქანოვი, ალექსანდრე. ჰონი, მარიონი. 2014. პრაქტიკის სახელმძღვანელო. საქართველო: GIZ-ის გამომცემლობა.
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური http://www.geostat.ge/?action=page&p_id=2770&lang=geo
- საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია https://gnta.ge/ge/
- ქართული ღვინის მრჩეველი https://allwine.ge/ka/blog/ras-amboben-istoriuli-wyaroebi-mesxetis-venaxebze-uzveles-savenaxe-terasebze-da-mesxur-vazis-jisebze_1512/
- World Tourism Organization - http://statistics.unwto.org/event/DG_Grow_WS (27.04.2019)
- Georgian Travel Guide - https://georgiantravelguide.com/ka/destinations/samtskhejavakheti (14.05.2019)

ყველის ტურიზმი, როგორც სასოფლო ტურიზმის განვითარების წინაპირობა

ავტორი: **გიორგი ღაღაშვილი**
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აგრალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

თანამედროვე გლობალიზაციის ეპოქაში ადგილობრივი ტურიზმის ბაზარი სწრაფი ტემპით ვითარდება. ტურიზმის გლობალური ეკონომიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე, დიდი როლი ენიჭება ტურიზმის ცალკეული მიმართულებების განვითარების ეკოლოგიურ, სოციალურ და ეკონომიკურ ფაქტორებს.

ჩვენი მიზანია სასოფლო ტურიზმის ერთ-ერთი მიმართულების - „ყველის ტურიზმი" -ის წარმოჩენა და მისი როლის განსაზღვრა სოფლად ბიზნესის განვითარებაში.

ყველის ტურიზმი არის მოქნილი გზა სოფლად მდგრადი ტურიზმის განვითარებისთვის. მართალია, იგი შედარებით ახალი მიმართულებაა, თუმცა უკვე დიდი პოპულარობით სარგებლობს. ტურიზმის ამ სახეობის პოპულარობას, ერთი მხრივ, განაპირობებს სწრაფად მზარდი ურბანიზაციის დონე, ადამიანებს მალე ბეზრდებათ დატვირთული, სტრესული და რუტინული გარემო, ამიტომ ისინი რაიმე განსხვავებულს ორიგინალურს ეძებენ. სოფლის ტურიზმით დაინტერესებულ ვიზიტორები სტუმრობენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებს, მათ შორის კახეთს. ვიზიტორები ერთვებიან სოფლის იდილიაში. „მასპინძელ ოჯახებს უჩნდებათ შემოსავალი, ხშირად მცირე წამოწყება საოჯახო ბიზნესად იქცევა". [1]

მსოფლიო გამოცდილებას თუ გავიზიარებთ, ამ დარგში წამყვანი ადგილი ჰოლანდიასა და იტალიას უკავია. მაგრამ საქართველოს აქვს შესაძლებლობა კონკურენცია გაუწიოს მოწინავე ქვეყნებს. მსოფლიოში საუკეთესო ყველის რეიტინგი გამოაქვეყნდა. ტოპოცეულში ორი ქართული ყველი - მეგრული სულგუნი და სამცხე-ჯავახური ტენილი მოხვდა.

თემის აქტუალობა

გლობალიზაციის პერიოდში, დიდი ყურადღება ეთმობა ჯანსაღ გარემოს და ეკოლოგიურად სუფთა საკვებ პროდუქტების წარმოებას, განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს და დიდი როლი ენიჭება ნატურალური პროდუქტებით კვებას, რაც ჯანმრთელობის და დღეგრძელობის საწინდარია, ამდენად აღნიშნული საკითხების შესწავლა და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის წარმოება და ამ პროცესში სოფლის მოსახლეობის ჩართვა, წარმოებაში ძველი ტრადიციების შენარჩუნება და მომავალი თაობებისათვის გადაცემა პასუხობს ტურიზმის მდგრადი განვითარების პრინციპებს და განსაზღვრავს თემის აქტუალობას.

თემის სიახლე

ჩვენს მიერ დაარსებული საწარმო „ცივის ყველი" კახეთის რეგიონში ერთადერთი საწარმოა, სადაც იწარმოება 11 სახეობის 70 ნაირსახეობის ყველი, სულგუნი, ნადუღი, ხაჭო, კარაქი. თაფლში ამოვლებული, ჭაჭაში დავარგებული, ღვინოში დაბერებული ყველი...პროდუქცია დიდი მოწონებით სარგებლობს და იყიდება არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ექსპორტის სახით გადის საზღვრებს გარეთ, სიახლეს წარმოადგენს ისიც, რომ **იგი ერთად ერთი რძის გადამამუშავებელი საწარმოა, რომელსაც მინიჭებული აქვს „ქართული ხარისხის" ნიშანი**. (ნიშანს ოფიციალურად საწარმოს გადასცემს პრემიერ მინისტრი მამუკა ბახტაძე 2019 წლის 5 მაისს დაგეგმილ ცერემონიაზე) საწარმოსთან არსებობს ტურისტული სერვისი, თავისი ორიგინალური ტურისტული პაკეტებით.

საწარმოს წარსული და აწმყო - საქართველოში უძველესი დროიდან არსებობდა, ყველის დამზადების უნიკალური გამოცდილება. ამ მხრივ თვითოეულ კუთხეს, მთასა და ბარს თავისი განსაკუთრებული ტრადიციები, რიტუალები და ტექნოლოგიები გააჩნია, ყველის წარმოების ორიგინალური მეთოდებით გამოირჩევა საწარმო „ცივის ყველი", რომელიც დაარსდა აგრალური თვალსაზრისით ერთ-ერთ გამორჩეულ რეგიონში - კახეთში, კერძოდ თელავის რაიონში, სოფელ კურდღელაურში 2007 წელს ოჯახურ მეურნეობის საფუძველზე. კომპანია მხოლოდ ნატურალური რძიდან ამზადებს პროდუქციას. საწარმოში მოსულ ტურისტებს საშუალება აქვთ დაათვალიერონ ქარხანა, დააგემოვნონ ყველი და მონაწილეობა მიიღონ ყველის დამზადებაში. ეს არის ახალი ტურისტული პროდუქტი, ქართულ ტურისტულ ბაზარზე. საწარმო მუშაობს, როგორც ძროხის, ასევე კამეჩის რძეზე. შესაბამისად ვიზიტორებს სთავაზობთ განსაკუთრებული საგემოვნო თვისებების მქონე ძროხის რძისა და კამეჩის რძის ყველსა და სულგუნს. საწარმოში პირველი ვიზიტორები შემთხვევით მოხვედრილი გზააბნეული ევროპელები იყვნენ, მათი გამასპინძლების შემდეგ დაიბადა იდეა, რომ ჩვენს საწარმოს ტურისტების მომსახურეობის სერვისი დაენერგა. უნივერსიტეტში სწავლების მეორე წლიდან ძირითად პროფესიასთან ერთად ვეუფლები მეორად პროფესიას ტურიზმის მიმართულებით, რამაც მომცა შესაძლებლობა და ბიძგი, ჩემი იდეის განხორციელებისათვის - მეზრუნა ყველის ტურიზმის განვითარებაზე სოფლად, საწარმოს ეზოში ტურისტებისთვის მოვაწყეთ ფაცხები, ეზოში ჩავდგით თონე, მიწაში ჩავაწყეთ ქვევრები და დღეისათვის, თითქმის ყოველდღიურად ვიღებთ ტურისტთა ჯგუფებს. საწარმო თანდათან გაფართოვდა და დაიხვეწა, როგორც ტექნოლოგიური თვალსაზრისით, ასევე კადრებით. დასაქმებული პერსონალი ძირითადად სოფლის მცხოვრებნი არიან, ხშირად სტუმრობენ ევროპიდან დარგის პროფესიონალი მუშაკები, რომლებიც ზრუნავენ მაქსიმალურად მივუახლოვოთ წარმოებული პროდუქცია ევროპულ სტანდარ-ტებს. მათგან ვიღებთ რჩევებს, კონსულტაციებს და მითითებებს, ვნერგავთ ევროპაში აპრობირებულ მეთოდებს, ვიზიარებთ გამოცდილებას. ამჟამად ვაწარმოებთ სხვადასხვა სახის

1.ხარიტონაშვილი ლ. (2018).,ტურიზმი სოფლად.'' დამხმარე სახელმძღვანელი ოჯახური სასტუმროებისათვის.თბილისი გვ.4

შებოლილი სულგუნს, ძველ ქართულ ტრადიციებზე დამზადებული ყველის სახეობებს. ვიზიტორებს აგრეთვე ვთავაზობთ მრავალფეროვან ასორტიმენტს და იტალიური ტექნოლოგიით დამზადებულ ქართულ „სულგუნელას“ (მოცარელას). საწარმოში დასაქმებულია 25-ზე მეტი თანამშრომელი. საწარმო ვიზიტორებს სთავაზობს თანამონაწილეობას პროდუქციის დამზადებაში. მიიღება შეკვეთები კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებისათვის. ვიზიტორებს ყველის დეგუსტაციასთან ერთად განსაკუთრებით ხიბლავთ უშუალოდ ყველის კეთების პროცესში ჩართვა. მიმდინარე წელს ყველის ტურიზმისადმი ინტერესმა და ტურისტების რაოდენობამ მნიშვნელოვნად მოიმატა.

საწარმოში ჩატარებული ვიზიტორთა კვლევის საფუძველზე აღმოჩნდა, რომ თუ 2017 და 2018 წლებში 4-დან 10 კაციან ტურისტთა ჯგუფებს კვარტალში ორჯერ ან სამჯერ ვიღებდით, წელს თვეში 5-6 ჯგუფი სტუმრობს საწარმოს. ტურისტულ ნაკადებში საშუალოდ ტურისტების რაოდენობა ერთ ჯგუფში 20-დან 40 კაცამდე მერყეობს. ასეთი ზრდის ტემპის მიზეზია როგორც ,,ყველის ტურიზმზე '' გაზრდილი ინტერესი და ყველის ფართო ასორტიმენტი, ასევე აქტიური თანამშრომლობა ტურისტულ სააგენტოებთან და გიდებთან. პროდუქციით ინტერესდებიან ვიზიტორები, როგორც ევროპიდან ისე აზიური ქვეყნებიდან. წელს გვაქვს ტურისტთა განსაკუთრებული სიჭარბე და მრავალფეროვნება უკრაინიდან, ისრაელიდან, პოსტ საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან, ამერიკიდან, ყაზახეთიდან, ინდოეთიდან და იაპონიიდან. ზოგიერთი მათგანი საწარმოში უკვე ნამყოფი მეგობრის ან ნაცნობის რეკომენდაციით მოდის. ვცდილობთ, გვქონდეს ორიგინალური შეთავაზებები ვიზიტორთათვის. წელს საწარმოში დაინერგა ქოშერი რძის პროდუქციის წარმოება, რაც ქართველი ებრაელი ქოშერი საკვების მომხმარებელთათვის თუ ტურისტებისთვის მეტად სასიამოვნო სიახლეა. გარდა ტრადიციული ყველის სახეობებისა, „ცივის ყველი“ ზრუნავს ყველის ახალი სახეობების შექმნასა და პოპულარიზაციაზე ქართულ და ამერიკულ ბაზარზე. მათ შორის გამოირჩევა: თაფლში ამოვლებული, ჭაჭაში დავარგებული, ღვინოში დაბერებული ყველი. აღსანიშნავია, რომ მაცივრის არარსებობის გამო, ჩვენი წინაპრები სულგუნს ღვინოში, ჭაჭასა და თაფლში ინახავდნენ, ანუ "აბერებდნენ", რათა არ გაფუჭებულიყო. სწორედ აქედან მოდის ამ ყველის სახეობა. დღეისათვის ვაწარმოებთ ქვემოთ მოყვანილი ყველის ნაირსახეობებს:

- ჭყინტი სულგუნის ჩხირი
- თაფლში დავარგებული სულგუნი
- შებოლილი სულგუნი
- შებოლილი სულგუნის ჩხირები
- შებოლილი დაწნული სულგუნი
- პიტნიანი სულგუნი (სქიბუ)
- კამეჩის რძის სულგუნელა («მოცარელა»)
- შებოლილი დაკუწული სულგუნი
- სულგუნი ხვეულა (ნადუღითა და პიტნით, აჯიკითა და ყველით, ტარხუნით,ნიგვზით, ტკბილი ტყლაპით)
- სულგუნი ტრადიციული შებოლილი ლორით,
- ფერადი ყველი სხვადასხვა სანელებლებით დამზადებული
- პრესილი ყველი ჭაჭით დამზადებული
- პრესილი ყველები ევრო შეფუთვით.
- დამბალ ხაჭო
- საფერავში დავარგებული სულგუნი
- პრესილი ყველი მწარე წიწაკით
- პრესილი ყველი (ქინძით, იმბირით, ზაფრანით, კურაგით, კაკაოთი, ორეგანოთი, კოწახურით, ტარხუნით, ცუკატებით, ნუშით,მიწის თხილით, პიტნით, შაშკვლავით, ქონდრით, ხმელი სანელებლებით, წიწაკით,როზმარინით, ფისტაშკებით
- შებოლილი ცხვრის ყველი.
- ჭყინტი სულგუნი.

ტრადიციული ქართული სუფრა წარმოუდგენელია ყველის გარეშე, თუმცა იგი რატომღაც ითვლება მისაყოლებლად. „ევროპის რიგ ქვეყნებში დამოუკიდებელ კერძად მიიჩნევა და კლასიკურ რესტორნებში, ცხელი კერძების შემდეგ ლანგარზე საგანგებოდ დაწყობილ ყველის სახეობებს სთავაზობენ გურმანებს. რძის პროდუქტებიდან განსაკუთრებით ყველი არის არამარტო გემრიელი, არამედ სასარგებლო პროდუქტიც, მასში უხვადაა ორგანიზმისათვის აუცილებელი ვიტამინები, მინერალები, ცილები[2]. ყველის დეგუსტაციის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკვებს, თუ რასთან ერთად ხდება შეთავაზება არსებობს ექსპერტთა რეკომენდაციები, რომ ღვინო და ყველი საყოველთაოდ აღიარებული წყვილია, მაგრამ არანაკლებ საინტერესეოა ყველის ლუდთან შეხამება. „ლუდი ძალიან უხდება საკვებს, მასში არსებული სხვადასხვა კომპლექსურობის, მისი გამაგრილებელი თვისებების და საკვების სხვადასხვა გემოსთან ურთიერთობის გამო. საკვების და ლუდის დაწყვილება, იმის გათვალისწინებით ხდება თუ რამდენად შეესაბამება ამა თუ იმ საკვების გემო ლუდის არომატს.“[3] ამდენად აღნიშნულის გათვალისწინებით „ცივის ყველი“ ვიზიტორებს სთავაზობს არამარტო ნატურალური „ბიო“ ღვინის სხვადასხვა სახეობების არჩევანს, არამედ ლუდის ყველთან შეხამებას განსაკუთრებული კულინარული გაფორმებით და ცხადია, თონეში გამომცხვარ შოთს, რაც განსაკუთრებით უხდება ყველს. მასპინძლობა მხოლოდ ნატურალური რძისაგან დამზადდებული, სანდო, უსაფრთხო და ამავე დროს გემრიელი პროდუქციით ხდება. საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილ ეკოკოტეჯებში ტარდება მრავალფეროვანი ყველის სახეობების დეგუსტაცია, მასტერ კლასები. საწარმოში დანერგილია უახლესი ევროპულ გამოცდილება და სანიტარული სტანდარტები, ამასთანავე ხდება ყველის წარმოების ქართული, ძირძველი, მივიწყებული ტრადიციების შენარჩუნება და მომავალი თაობისათვის გადაცემა, რაც პასუხობს ტურიზმის მდგრადი განვითარების მოთხოვნებს. მსოფლიო არქეოლოგიური აღმოჩენები როგორც ევროპაში, ასევე აზიაში გვარწმუნებს იმაში, რომ რძის პროდუქტები როგორც საკვებად ასევე სამკურნალო მიზნით გამოიყენებოდა უძველესი დროიდან. ,,ყველი შეიცავს ადვილად მოსანელებელ ცილებსა და ცხიმებს, მდიდარია კალციუმით, ფოსფორით და

2. ჟურნალი მკურნალი, 2012 № 5(13).გვ.9
3. ჟურნალი რეიტინგი 2011.№21(450) გვ.77

სხვა მინერალური ნივთიერებებით, A და B ჯგუფის ვიტამინებით. ყველის მიღების ტექნოლოგია რამდენიმე ეტაპს მოიცავს. ესენია: რძის ასაჭრელად მომზადება (ნორმალიზაცია, პასტერიზაცია, ბაქტერიული სადედის - დედოს დამატება), აჭრა, ზედმეტი შრატის მოცილება, მიღებული შენადედის დაჭრა, ფორმირება, დაწნეხა, დამარილება და დამწიფება. ყველი საღი რძისგან უნდა დამზადდეს. ნედლეულად იყენებენ როგორც ძროხის, თხის, ცხვრის, კამეჩის რძეს, ისე მათ ნარევს. არსებობს ყველის ცხიმიანი და შედარებით უცხიმო სახეობები".[4] საქართველოს ტერიტორიაზე მიკვლეული არქეოლოგიური მასალა ცხადყოფს, რომ ქართველები ფლობდნენ დიდ გამოცდილებას ყველის მომზადების მიმართულებით. ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ტექნოლოგიით და სახელწოდებით გამოირჩევა „რძის საკვეთად გამოყენებული მასალა „კვეთი". იგი წარმოადგენს ფერმენტს, რომელსაც აქვს უნარი აჭრას რძე. ეთნოგრაფიულ მასალებში დაფიქსირებულია, რომ საქართველოს ზოგიერთ რეგიონში გამოიყენებოდა ზოგიერთი ხის, მცენარის წვენი. „კვეთისათვის" საჭირო ფერმენტი უმთავრესად ახალშობილი ძუძუმწოვრის კუჭში გვხვდება." [5]

საწარმოში მაქსიმალურად ვცდილობთ შევინარჩუნოთ ყველის წარმოების უძველესი მეთოდები, მივიწყებული ტრადიციები. ვცდილობთ წარმოებული პროდუქცია იყოს არამარტო გემრიელი, არამედ სასარგებლო ყველის კვეთისათვის ვიყენებთ ბუნებრივ ეკოლოგიურად სუფთა მასალებს. რძის ხარისხის ლაბორატორიული შემოწმების გარეშე, არ ხდება მისი გამოყენება, ცნობილია, რომ ადვილად ხდება რძის დაბინძურება მიკრობებით და ყველის საწარმო განსაკუთრებულ სანიმუშო სისუფთავეს მოითხოვს, რაც მაქსიმალურადაა დაცული დასახელებულ საწარმოში. ამდენად იქმნება როგორც ეკოლოგიურად და ასევე სანიტარული თვალზსაზრისით სუფთა პროდუქცია, რომელიც სასურველია, როგორც ყველის ტურიზმით, ასევე „ველნესით" დაინტერესებული ვიზიტორებისათვის, რომელთა მიზანსაც წარმოადგენს ბიოსაწყისებზე დამზადებული ნატურალური პროდუქტების მიღება.

აღსანიშნავია, რომ „ყველის სასურსათო ღირებულებას განსაზღვრავს, მისი უაღრესად მდიდარი შემადგენლობა, მსოფლიოში ცნობილია მისი მრავალი სახეობა, მათი რიცხვი და ტექნოლოგიები ხარისხიანი პროდუქციის შესაქმნელად უმნიშვნელოვანესია „თუ როგორ გარემოში არის წარმოებული ნედლეული რძე, რომლისაგანაც მზადდება ესა თუ ის პროდუქტი ტარდება კვლევები თუ რა გავლენას ახდენს მძიმე ლითონების შემცველობის გავლენა ყველის ხარისხზე."[6] რძისა და მისი პროდუქტების ავკარგიანობა მრავალი კრიტერიუმით ფასდება. აღსანიშნავია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ჰიგიენის ზოგად წესები: რამდენად სუფთადაა მოწველილი რძე; რამდენად სუფთა და უსაფრთხო ჭურჭელშია იგი მოთავსებული; ხომ არ არის იგი ცხიმმოხდილი ან წყლით გაზავებული; რამდენად ახალია რძე. რძე 200-მდე სასარგებლო ნივთიერებას შეიცავს: მათ შორის ორგანულ მჟავებს, ფერმენტებსა და ჰორმონებს, ბაქტერიციდული თვისების განმაპირობებელ იმუნურ ნივთიერებებს." [7]

ხარისხიანი პროდუქციის წარმოების მიზნით ადგილზევე იგეგმება საწარმოში უკვე არსებული ლაბორატორიის თანამედროვე აპარატურით აღჭურვა, სადაც მაქსიმალურად შემოწმდება, როგორც ნედლეულის, ასევე წარმოებული პროდუქციის ხარიხი. ,,კარგი ხარისხის ყველს უნდა ქონდეს სასიამოვნო სუნი და გემო, რასაც სჭირდება საღი რძე, კვეთი ყველის მოვლა პატრონობა, რაც იწყება წარმოებით და მთავრდება ტრანსპორტირებით"[8]

ყველის ტურიზმის პოპულარიზაციისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რეკლამას და პიარს, ფესტივალებში და გამოფენებში მონაწილეობას. საქართველოშო ყოველწლიურად უამრავი სახის ფესტივალი იმართება, როგორც თბილისში ასევე რეგიონებში. ყველის ფესტივალი თითქმის ყოველწელს იმართება და მნიშვნელოვნად მატულობს როგორც მასში მონაწილეთა რიცხვი, ასევე წარმოდგენილი პროდუქციის მრავალფეროვნება. ,,ყველა რეგიონში არის მრავალი უნიკალური მეთოდი ყველის წარმოების და მისი შენახვის, რასაც მოწმობს ყველის ფესტივალებზე სხვადასხა რეგიონებიდან წარმოებული ყველის სახეობები, რომელსაც აქვთ საექსპორტო პოტენციალი"[9] მაგალითად 2012 წელს ყველის ფეტივალს მასპინძლობდა „წინანდლის ისტორიული მუზეუმის ბაღი სადაც გაიმართა ქართული ყველის ფეტივალი სადაც 40 მდე ყველის მწარმოებელი კომპანია და წვრილი ფერმერები მონაწილეობდნენ. ყველი წარმოდგენილი იყო ორიგინალური ფიგურებით. ყველის დეგუსტაცია შეეძლო ფესტივალის ნებისმიერ მონაწილეს".[10] ტრადიციულად ფესტივალზე ყოველთვის წარმოდგენილია ყველის დიდი არჩევანი კერძოდ ,,წაბლის ფოთოლში დავარგებული ყველი, მონასტრული ყველი, თაფლში დავარგებული ყველი, გუდის ყველი, იმერული სულგუნი და სხვა"[11]. დასახელებულ ფესტივალში აქტიური მონაწილეობა მიიღო საწარმო „ცივის ყველმა" და წარმოდგენილი ჰქონდა მრავალფეროვანი პროდუქცია, რამაც დიდი მოწონება დაიმსახურა.

საწარმო „ცივის ყველი" რეგულარულად მონაწილეობს ყველის ფესტივალებში, გამოფენებში. საქველმოქმედო ღონისძიებაში, რომელსაც საშობაოდ ატარებენ სხვადასხვა საელჩოები საქართველოში. საერთაშორისო ბაზარზე საწარმოს პოპულარობაზე მოწმობს ჯილდოები, სერტიფიკატები და მადლობის წერილები.

საწარმო ზრუნავს ახალგაზრდა თაობის კადრების აღზრდაზეც საწარმო „ცივი" აქტიურად თანამშრომლობს თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, სასურსათო ტექნოლოგიების სპეციალობის და

4. http://rch.ge/tags/

5. შრომათა კრებული,,მასალები საქართველოს ეთნოლოგიისათვის.''1975.xvIII. თბილისი გვ.48

6. სამეცნიერო შრომათა კრებული საქართველოს აგრალური უნივერსიტეტი ტომი 2. №2 (47)თბილისი 2009.გვ116.

7. http://www.lma.gov.ge/files/ss/8.pdf

8. ფირანიშვილი ნ. 1949 ,,როგორ გავაკეთოთ კარგი ხარისხის ყველი'' თბილისი. გვ 17

9. მიქაძე ა. 2010 ,,ქართული ყველი'' ანაკლია გვ.11

10. გაზეთი ,,რეზონანსი '' 23 .04 2012. №106. გვ. 2.

11. ჟურნალი ,,აგრალური საქართველო'' 2012წ. №5 (13) გვ. 9

ტურიზმის მიმართულების სტუდენტები გადიან საწარმო პრაქტიკას დასახელებულ დაწესებულებაში და ყველის ტურიზმით დაინტერესებულ ვიზიტორებს, უწევენ გიდობას, ეწევიან ქართული ყველის პოპულარიზაციას.

დასკვნები და პერსპეტივები

ყველის ტურიზმის უპირატესობა ტურიზმის სხვა სახეობებისაგან ის არის, რომ არ ახასიათებს სეზონურობა. იგი ქმნის სამუშაო ადგილებს სოფელში, რის შედეგად მაღლდება მოსახლეობის ცხოვრების დონე და რაღა თქმა უნდა უნარჩუნებს სოფელს ეროვნულ, თვითმყოფად სახეს.

ყველის ტურიზმის განვითარება ხელს შეუწყობს: 1. სასოფლო რეგიონში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას. გაზრდის ადგილობრივთა ფინანსურ შემოსავლებს. 2. მოხდება სოფლად ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, რაც ხელს შეუწყობს სიღარიბის დაძლევას და სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას. 3. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება სოფლის იერსახე, მოხდება ძველი ტრადიციების და ეროვნული მემკვიდრეობის შენარჩუნებას. 4. შეიქმნება ახალი ტურისტული სეგმენტი, გაუმჯობესდება ადგილობრივი მეურნეობა .

დაგეგმილია: 1. ყველის მუზეუმის გახსნა. ადგილობრივი მოსახლეობის, სოფლის სკოლის მოსწავლეთა უშუალო ჩართულობით, გროვდება სამუზეუმო ექსპონატები, კახეთში ყველის წარმოებასთნ დაკავშირებული უძველესი აქსესუარები, ისტორიულ დოკუმენტალური მასალა, მზადდება ყველის მულაჟებიც.

2. გამოიცემა საწარმოს შესახებ ბუკლეტი მაღალპოლიგრაფიულ დონეზე. გაიხსნება სასუვენირო მაღაზია, სადაც გაიყიდება ადგილობრივი ხალხური რეწვის ნიმუშები და განსაკუთრებით აქცენტი გაკეთდება, თემატურად ყველთან დაკავშირებულ სუვენირებზე.

4. ზემოაღნიშნულის საფუძველზე მოხდება ტურისტების მთელი წლის განმავლობაში ყველა სეზონზე მოზიდვა.

5. მოხდება ზრუნვა სოფლად სიღარიბის დაძლევაზე, სოფლის პოპულარიზაციაზე მრავალი სოფლის მცხოვრები ჩაერთვება, როგორც ყველის ტურიზმის განვითარებაში.

6. საწარმოს გაფართოვებით და ყველის ტურიზმზე მოთხოვნით გაიზრდება ვიზიტორთა რიცხვი. რაც სასიკეთოდ აისახება, როგორც სოფლის, ისევე რეგიონის ბიუჯეტზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

- სამეცნიერო შრომათა კრებული „მასალები საქართველოს ეთნოლოგიისათვის.“(1975).xviii. თბილისი
- სამეცნიერო შრომათა კრებული საქართველოს აგრალური უნივერსიტეტი (2009) ტომი 2. №2 (47)თბილისი
- ხარიტონაშვილი.ლ. (2018)ტურიზმი სოფლად დამხმარე სახელმძღვანელი ოჯახური სასტუმროებისათვის.თბილისი
- ფირანიშვილი ნ. 1949 ,,როგორ გავაკეთოთ კარგი ხარისხის ყველი“ თბილისი.
- მიქაძე ა. 2010 „ქართული ყველი“
- ჟურნალი „აგრალური საქართველო“ 2012წ. №5 (13)
- ჟურნალი მკურნალი, 2012 № 5(13).
- ჟურნალი რეიტინგი 2011.№21(450)
- გაზეთი ,,რეზონანსი ‘’ 23 .04 2012. №106.
- http://www.lma.gov.ge/files/ss/8.pdf
- http://rch.ge/tags/

გვახსოვდეს აფხაზეთი

ავტორი: **ანა ხარჩილავა**
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი **სერგო ცაგარეიშვილი**

აფხაზეთი საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი რეგიონია, რომელიც გამოირჩევა მდიდარი ბუნებითა და უნიკალური კლიმატური პირობებით, იგი გადაშლილია ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში კოლხეთის დაბლობზე.

წარმოგიდგენთ აფხაზეთის მხარის უნიკალურ ტურისტულ-რეკრეაციულ რესურსებს. სამწუხაროდ დღეს ეს რეგიონი დროებით ოკუპირებულია და მე როგორც აფხაზეთში, კერძოდ, გალის რაიონში მცხოვრებ ქართველს, მინდა მჯეროდეს, რომ სულ მალე ჩვენი მხარე მნიშვნელოვან ადგილს დაიჭერს ტურიზმის განვითარების საქმეში საქართველოს სხვა რეგიონების გვერდით.

იმის გამო, რომ ფრაზა ,,გვახსოვდეს აფხაზეთი'', მხოლოდ მოწოდება არ იყოს, საჭიროდ ჩავთვალე, როგორც ტურიზმის სპეციალობის სტუდენტს, ფეხდაფეხ მომევლო აფხაზეთის ქალაქები სოხუმი, ახალი ათონი, გაგრა, ტყვარჩელი, ასევე ოჩამჩირის რაიონის კურორტი კინდღი და საკუთარი თვალით მენახა და შემეფასებინა რა მდგომარეობაშია ჩვენი ულამაზესი კუთხე და მისი ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები.

უნდა აღინიშნოს, რომ თვალის ერთი გადავლებითაც ჩანს, რომ აფხაზეთის სილამაზესა და უნიკალურ ბუნებას უდიდი ზიანი მიაყენა 1992-1993 წლებში ქართველთა და აფხაზთა თავს მოხვეულმა ომმა.

წარმოგიდგენთ ქალაქ სოხუმს, რომელიც მდებარეობს მდინარე გუმისთასა და კელასურის ქვემო დინებათა შორის მოქცეულ დაბლობზე.

ქალაქის ნაკრძალები, ისტორიული ადგილები, ხიდები, ეკლესიები, ქუჩები, სანაპირო ზოლი, პორტი დაზიანებულია. ის ადგილები, რომლებიც საუკუნეებს ითვლის, მოუვლელი, დაუცველი და ნანგრევებად არის ქცეული.

სოხუმის მახლობლად, მდინარე ბესლეთზე XII საუკუნის ისტორიულ ძეგლზე თაღოვან ,,ბესლეთის ხიდზე''(თამარის ხიდი), ასომთავრული წარწერა წაშლილია. ხიდი მოუვლელია და საჭიროებს რესტავრაციასა და გასუფთავებას.

ბაგრატის ციხე X-XII საუკუნის ძეგლია, აქაც რთული მდგომარეობაა, ციხის ნანგრევები იშლება და საჭიროა მისი რესტავრაცია.

ტურისტული თვალსაზრისით გამორჩეული ადგილებია: სოხუმის ბოტანიკური ბაღი, აფხაზური დრამატული თეატრი, მაჰაჯირის სანაპირო და მაიმუნების საშენი.

სოხუმის ბოტანიკური ბაღი ერთ-ერთი უძველესი ბოტანიკური ბაღია მსოფლიოში. იგი დაარსდა 1838 წელს. ბაღში იყო 5 ათასზე მეტი სახეობის მცენარე. 1992-1993 წლებში თავს მოხვეულმა ომმა დიდი ზიანი მიაყენა მას. თუმცა მოხდა მისი აღდგენა და ნაწილი მცენარეების გადარჩენა. ბოტანიკური ბაღი მოიცავს 50 ჰა. ამ ბაღის ერთ-ერთი მთავარი ექსპონატი არის 300 წლის კავკასიური ცაცხვის ხე, რომელიც ბაღის გაშენებამდე იყო იმ ადგილას. ბოტანიკურ ბაღს სტუმრობენ როგორც ადგილობრივი ისე სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული ტურისტები.





სოხუმის მაიმუნების საშენი, ყველასათვის საინტერესოა. ომამდე საშენში 7 ათასამდე მაიუმუნი იყო და აქ მათზე სხვადასხვა სახის სამედიცინო კვლევებს ატარებდნენ. დღესდღეობით საშენში

ათი სახეობის 300 - მდე მაიმუნი ცხოვრობს აფრიკიდან, აზიიდან და სამხრეთ ამერიკიდან. საშენის ინფრასტრუქტურა ძლიერ დაზიანებულია, მიუხედავად იმისა, რომ მაიმუნები აგრესიულები არიან, ტურისტები მაინც სტუმრობენ აღნიშნულ ობიექტს.

სოხუმის სამსონ ჩანბას სახელობის აფხაზური დრამატული თეატრი, რომელიც მდებარეობს მაჰაჯირის (ადრინდელი რუსთაველის ქუჩა) სანაპიროზე, გათვლილია 700 ადგილზე. აქ სპექტაკლები იმართება რუსულ და აფხაზურ ენებზე. თეატრის ცენტრალური შესასვლელის წინ ულამაზესი შადრევანია მითიური გრიფონებით. ეს ადგილი ერთ-ერთი უსაყვარლესი ადგილი იყო სოხუმელებისათვის და ჩამოსული ტურისტებისთვის სამახსოვრო სურათების გადასაღებად.

ახალი ათონი ლამაზი საკურორტო ადგილია, რომელიც მდებარეობს შავი ზღვის სანაპიროზე, გუდაუთის რაიონში, ივერიისა და ათონის მთებს შორის. ახალი ათონი 22 კილომეტრით არის დაშორებული სოხუმიდან. ქალაქის შუაგულში ჩამოედინება მდინარე ,,ფსირცხა'', რომელიც ქმნის ულამაზეს სანახაობას.

ზღვისპირა პარკში, რომელიც ასი წლის წინ დაარსდა, არის გედების ტბა. პალმების, ბანანების, მაგნოლიებისა და ევკალიპტების ფონზე ზღვის სანაპიროზე ულამაზესი ხედი იშლება. მიუხედავად იმისა, რომ ინფრასტრუქუტურა ნაწილობრივ დაზიანებულია, ახალი ათონის ბუნებრივი სილამაზე მაინც იზიდავს ტურისტებს.

ახალი ათონი ტურისტული თვალსაზრისით ცნობილია ორი განსაკუთრებული და გამორჩეული ადგილით: ახალი ათონის მამათა მონასტრით და ახალი ათონის მღვიმით.



ახალი ათონის მართმადიდებლური მამათა მონასტერი (სრული სახელი წმინდა მოციქულის სვიმონ კანანელის მონასტერი ახალ ათონზე) 1875 წელს დაარსდა. სამონასტრო კომპლექსის მშენებლობა 1884-1896 წლებში მიმდინარეობდა. სამწუხაროდ, ომის შემდგომ, მონასტერი უცნაურად შეღებეს და დაუკარგეს პირვანდელი სახე. ამის შემდგომ მონასტერს 2004-2010წ.წ. რესტავრაციაც ჩაუტარდა, რომელიც შემდგომ მას რუსული ეკლესიის მსგავსი გუმბათი და ინფრასტრუქტურა აქვს. ამჟამად აქ წირვა-ლოცვა რუსულ ენაზე ტარდება, ქართული წარწერები სამწუხაროდ თითქმის ყველგან წაშლილია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ქართველებს, კერძოდ გალში მცხოვრებ მოსწავლეებს, ადგილობრივი მამაოს ნებართვით და კურთხევით, არა ერთხელ უგალობიათ ქართულად და გაჟღერებულა ქართული გალობა მონასტერში.

ახალი ათონის კარსტული მღვიმე მდებარეობს ივერიის მთის ძირას. მის შესახებ საზოგადოებამ შეიტყო 1961წ. მღვიმის აღმოჩენის პირველ ექსპედიციაში ადგილობრივი მცხოვრები გივი სმირიც მონაწილეობდა. მღვიმეში ტემპერატურა მუდმივად

11გრადუსია. ის ოფიციალურად გაიხსნა 1975 წელს. მღვიმე შედგება 11 დარბაზისაგან, ამჟამად 6 ფუნქციონირებს, დანარჩენი კი ტურისტებისთვის დახურულია. მღვიმის შიგნით არის ულამაზესი ტბები, მათი სიღრმე დაახლოებით 25მ. ტურისტების რაოდენობა საკმაოდ ბევრია, ძირითადად რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები. მღვიმე ნორმალურ მდგომარეობაშია, უსაფრთხოების ნორმები თითქმის დაცულია.

აფხაზეთის ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქი გაგრა, რომელსაც ძალიან ლამაზი და გამორჩეული ლანდშაფტი ჰქონდა, ომმა ძლიერ დააზიანა, თუმცა შემდგომ მოხდა მისი აღდგენა. დღეს ქალაქს საკმაოდ დიდი ტურისტული პოტენციალი გააჩნია - აშენდა სასტუმროები, განახლდა პარკები, სპორტული მოედნები, აკვაპარკები.

სხვა ქალაქებთან შედარებით, არასახარბიელო მდგომარეობაშია ქალაქი ტყვარჩელი, იგი მდებარეობს მდინარე ღალიძგას მარცხენა სანაპიროზე. ტყვარჩელის განაშენიანებაში გერმანელი არქიტექტორები და ინჟინრები მონაწილეობდნენ. ქალაქის საკურორტო ღირებულება მცირეა, მაგრამ ლანდშაფტური თვალ-

საზრისით ქალაქი მთაში საკმაოდ ლამაზი და საინტერესოა. სამწუხაროდ, 1992-1993 წლების ომის დროს, ქალაქის დიდი ნაწილი განადგურდა და ამჟამად ერთადერთი რაც ტყვარჩელის რაიონში იწვევს ტურისტების დაინტერესებას ეს არის ველიკანის ჩანჩქერი სოფელ აკარმარაში. შეიძლება ითქვას, რომ ქალაქი ტყვარჩელი აღარ არსებობს და მისგან დარჩა განადგურებული და სრულიად დამწვარი შენობები, აქ მოსახლეობა თითქმის აღარ ცხოვრობს. გაუსაძლისად ცუდი მდგომარეობაა ტყვარჩელის მიმდებარე სოფლებშიც, ეს სოფლებია აკარმარა, ჯანტუხა და პოლიანა, სადაც ბევრი სახლი უპატრონოდ არის მიტოვებული და აქაურობას სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობა.

რეკრეაციული და გამაჯანსაღებელი თვალსაზრისით მეტად საინტერესოა ოჩამჩირის რაიონის სოფელი კინდღი, სადაც არის თერმული წყლები და სამკურნალო ტალახი. ეს არის ცნობილი და საყვარელი ადგილი არა მარტო ადგილობრივი მოსახლეობისთვის, არამედ ჩამოსული ტურისტებისთვისაც. აქ დასვენებასთან ერთად ჯანმრთელობის გაუმჯობესებასაც შეძლებთ. ეს ის ადგილია საიდანაც 12 სხვადასხვა ტემპერატურის სამკურნალო წყალი ჩამოედინება აუზებში.

ილორის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია ოჩამჩირის რაიონში მდებარეობს. როგორც აფხაზეთის სხვა დანარჩენ ეკლესიებს, მასაც ჩაუტარდა ევრეთწოდებული „რესტავრაცია“, რის შედეგაც ისიც გადაკეთდა რუსულ სტილზე - ფასადები შეიღება თეთრად, გუმბათი კი რუსული ტაძრის მსგავსად მოოქროვილია. ეკლესიის ეზოს შესასვლელთან საფლავის ქვაზე შემორჩენილია ერთადერთი ქართული წარწერა, რომლის წაშლაც ვერ შეძლეს.

რაც შეეხება ქალაქ გალს, ის განადგურებულია და თითქმის არ გააჩნია ტურისტული პოტენციალი. ზღვისპირა სოფლები და სანაპიროები მოუვლელია.

აფხაზეთის რეგიონის და დანარჩენი საქართველოს მოსახლეობას შორის ურთიერთობების აღდგენის ერთ-ერთი და ამავე დროს ძალზედ ხელისშემშლელი ფაქტორია ახლანდელი მდგომარეობა საზღვარზე.

მიმაჩნია, რომ გზის გახსნა ხელს შეუწყობდა სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობების დარეგულირებას და მიმდებარე რაიონების განვითარებას. ტურიზმმა, როგორც მშვიდობის ელჩმა, ჩვენი აზრით გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს აფხაზეთის რეგიონის აღორძინების საქმეში.

ამრიგად, წარმოგიდგინეთ ჩემი, როგორც ერთი რიგითი ტურისტის, თვალით დანახული აფხაზეთი და მისი ტურისტულ - რეკრეაციული რესურსები. მიმაჩნია, რომ არა მარტო დანარჩენ საქართველოს უჭირს აფხაზეთის გარეშე, არამედ აფხაზეთსაც ძალიან სჭირდება ჩვენთან ურთიერთობა. როგორც პოეტი შ.ნიშნიანიძე ამბობს:

ო, აფხაზეთო, ბევრი კარგი მოემის გამზრდელო, ამორძალი ხარ მკერდ მოჭრილი უსაქართველოდ.



სამთო-სათხილამურო ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

ავტორი: **ხატია გელაშვილი**
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ხელმძღვანელი: **იოსებ ხელაშვილი**

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია საქართველოში ტურიზმის ერთ-ერთი პოპულარული მიმართულების, - სამთო-სათხილამურო ტურიზმის არსებული მდგომარეობა ბაკურიანისა და გუდაურის მაგალითზე. ნაშრომის მიზანს წარმოადგენს სამთო-სათხილამურო ტურიზმის პერსპექტივების გამოვლენა მდგრადი განვითარების კუთხით. მიზნის მისაღწევად გამოვიყენე ტურიზმის მდგრადი განვითარების კონცეფცია, რომლის პრინციპებსაც მოვარგე აღნიშნული კურორტები და ასევე, მომხმარებლების თვისობრივი კვლევა. კვლევის საფუძველზე გამოვლინდა პრობლემები, რომელიც შემაფერხებელი ფაქტორია ტურიზმის მდგრადი განვითარებისთვის. არსებული პრობლემების დაძლევისთვის შემოთავაზებულია რეკომენდაციები, რომლის გათვალისწინების შემთხვევაში ჩანს საქართველოში სამთო-სათხილამურ ტურიზმის პერსპექტივები.

შესავალი

საქართველოში ტურიზმი ერთ-ერთი სწრაფად მზარდი სექტორია. ჩვენს ქვეყანაში მრავალი მიმართულების ტურიზმი არსებობს. მათ შორის, კი სამთო-სათხილამურო ტურიზმი პოპულარული ხდება. ქვეყნის ¾ მთიან რელიეფს წარმოადგენს და ის ასევე მოიცავს მაღალმთიან ზონებს, სადაც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში შენარჩუნებულია თოვლის მყარი საფარი, ეს კი წინაპირობაა სამთო-სათხილამურო ტურიზმის განვითარებისა.

ჩემი კვლევის მიზანია განვსაზღვროთ საქართველოში სამთო-სათხილამურო ტურიზმის განვითარების ძირითადი პერსპექტივები.

მიზნის მისაღწევად დავისახე შემდეგი ამოცანები:

1. სამთო-სათხილამურო კურორტების არსებული მდგომარეობის ანალიზი;
2. კვლევის ჩატარება არსებული პრობლემების გამოსავლენად;
3. ძირითადი პერსპექტივების განსაზღვრა გამოვლენილი პრობლემების დაძლევის გათვალისწინებით.

ნაშრომში განსახილველად შეირჩა ორი კურორტი: ბაკურიანი და გუდაური, - რადგან სამთო-სათხილამურო კურორტების განვითარების ისტორია მათთან არის დაკავშირებული და ასევე, წარმოადგენენ ორ სხვადასხვა მიმათულებას: რეკრეაციულ და ზამთრის სპორტულ კურორტს.

კურორტების განხილვა მდგრადი განვითარების კონცეფციის ფარგლებში

ვინაიდან, მიზნად ვისახავ მდგრად განვითარებას და ეს არის სტაბილურობასთან დაკავშირებული, ამიტომ გადავწყვიტე, კვლევისათვის გამომეყენებინა მდგრადი განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც გამიზნულია სტაბილურ განვითარებაზე და არის შედარებით ახალი მიდგომა.

კვლევისათვის, როგორც შესავალში აღვნიშნე, შეირჩა საქართველოს ორი სამთო-სათხილამურო კურორტი: ბაკურიანი და გუდაური. ისინი მეტნაკლებად ასახავენ საქართველოში სამთო-სათხილამურო კურორტების მრავალფეროვნებას.

ბაკურიანი არის ტრადიციული სამთო-სათხილამურო კურორტი რეკრეაციული ფუნქციებით, რომელიც არის მოშორებით თბილისიდან და კვირის ბოლო დღეების გატარება ნაკლებად არის მიღებული პრაქტიკაში, ხოლო მის საპირისპიროდ შეირჩა გუდაური. იგი თბილისიდან 1.5-2 საათის სავალ გზაზე მდებარეობს, არის ალპურ ზონაში, აქვს მკვეთრად გამოხატული სამთო-სათხილამურო სპორტის ფუნქცია, შედარებით ახალი კურორტია და იმყოფება დედაქალაქის წვდომის ზონაში, რაც მოკლევადიანი ვიზიტების საშუალებას იძლევა.

მდგრადი განვითარების კონცეფცია ითვალისწინებს ხუთ პრინციპს:

პრინციპი N1. ტურისტთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, მომავალი თაობების მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობის გათვალისწინებით.

რადგან კურორტებს მაკფიოდ აქვთ ჩამოყალიბებული მიმართულება სამთო-სათხილამურო ტურიზმის განხრით, ნაკლებად მოსალოდნელია მისი ფუნქციის შეცვლა (ფუნქციის შეცვლა კურორტებზე მრავალი პრობლემის საწყისი შეიძლება გახდეს). აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ყოველ წელს კურორტებზე მოთხოვნა იზრდება. ამას ადასტურებს სტატისტიკური მონცემები (ნახ.N1). შესაბამისად, კურორტები ემზადებიან უფრო მეტი ვიზიტორის მიღებისთვის, ეწყობა ახალი ინფრასტრუქტურა და შენდება ახალი სასტუმრო სახლები. ეს ფაქტი შეიძლება ვიგულისხმოთ მდგრადი განვთარების ერთ-ერთ ხელისშემშლელ ფაქტორად, რადგან, მდგრადი განვითარება გულისხმობს სტაბილურ, დაბალანსებულ განვითარებას.

ნახაზი N1



წყარო:მთის კურორტების განვითარების კომპანია

პრინციპი N 2. ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესების გათვალისწინება.

დაინტერესებულ პირებში იგულისხმება ყველა ის პირი, რომელიც პირდაპირ ან ირიბად ჩართულია განვითარების პროცესში. ბაკურიანის და გუდაურის მაგალითზე ძირითადი დაინტერესებული პირები არიან: ადგილობრივი მოსახლეობა, დასაქმებულები, ადგილობრივი მეწარმეები, რეგიონების გამგეობები, საქართველოს მთის კურორტების კომპანია, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. მნიშვნელოვანია დაინტერესებულ პირებს შორის კომუნიკაციის უწყვეტობა და საერთო ინტერესის გამონახვა, წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოიშობა შემაფერხებელი ფაქტორები, რომელიც განვითარებისთვის ხელისშემშლელი იქნება.

პრინციპი N3. ტურიზმის განვითარების ხედვა გარემოსთან ურთიერთბაში.

ტურიზმის განვითარების განხილვა გარემოსთან ურთიერთობაში გამოირჩევა მისი კომპლექსური მიდგომით. გარემო პირობითად იყოფა ბუნებრივ, სოციალურ და ეკონომიკურ შემადგენლებად, რომლებიც მოიცავს ტურისტთა მრავალფეროვან მოთხოვნებს დაკმაყოფილებას გარემოზე მრავალმხრივი ზემოქმედებით, სადაც გამოყოფილია როგორც მომსახურების სფერო, ასევე ინფრასტრუქტურა. სამივე სფერო ხშირად ერთმანეთთან არის დაკავშირებული და ერთის ცვლილება ზეგავლენას ახდენს დანარჩენ შემადგენლებზე.

ბუნებრივი გარემოს გამოყენება (ბუნებრივი ფაქტორები) სამთო-სათხილამურო ტურიზმის შემთხვევაში ძირითადად არის კურორტებზე არსებული მთის ფერდობები, რომლებიც სათხილამურო ტრასებად გამოიყენება, სასტუმროები, ტურისტული ობიექტები და ინფრასტრუქტურა.

სოციალური გარემო გულისხმობს ადგილობრივი მოსახლეობის და ტურისტების კულტურის თანხვედრას. ვინაიდან, სათხილამურო კურორტებზე უხვადაა წარმოდგენილი ბიზნესის წარმოების ობიექტები, მოსახლეობას/დამსაქმებლებს გათვითცნობიერებული აქვთ პასუხისმგებლობა. შესაბამისად, რისკი იმისა, რომ ადგილობრივებს ტურისტებთან რაიმე განმასხვავებელი ნიშნით კონფლიქტური ვითარება შეექმნათ, დაბალია.

ეკონომიკური გარემო მოიცავს ტურისტების მზად ყოფნას, რომ დამატებით მომსახურება ან პროდუქტი შეიძინონ. დღეს კურორტები, რეალურად, რასაც სთავაზობენ მომხმარებლებს არის: სათხილამურო აღჭურვილობის ქირაობა, ტრენერის მომსახურება, კვების ობიექტებით, საბაგიროებით, ტობოგანით, ციგებით, ცხენებით, ბურანით და პარაპლანით მომსახურება.

პრინციპი N 4. გარემოსთან ურთიერთობა განიხილება ორმხრივად - დარგის ზეგავლენა ბუნებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ გარემოზე და ამ გარემოს ზეგავლენა ტურიზმის განვითარებაზე

ეს პრინციპი წარმოადგენს წინა დებულების გაგრძელებას, რომელიც გულისხმობს ბუნებრივი, ეკონომიკური და სოციალური გარემოს ზეგავლენას ტურიზმზე. რადგანაც ტურიზმი დაკავშირებულია გარემოს რესურსების გამოყენებასთან, შეიძლება დავყოთ ორ მიმართულებად: გარემოზე ზეგავლენა და მის წიაღში მიმდინარე პროცესებზე ზეგავლენა. სამთო-სათხილამურო ტურიზმს განვიხილავ როგორც გარემოზე ზეგავლენის მიმართულებას. საქართველოს კურორტებზე შეიძლება გამოვყოთ გარემოზე ზეგავლენის ძირითადი საკითხები: ხე-ტყის ჩეხვა სათხილამურო ტრასების გასაყვანად (განსაკუთრებით ბაკურიანის შემთხვევაში), სასტუმროების შეუჩერებელი მშენებლობა, მყარი ნარჩენებით დაბინძურება.

პრინციპი N 5. პროცესების განვითარების სპეციფიკა ტურიზმის დანიშნულების ადგილებში.

აღნიშნული მოდელი სრულყოფილად ვლინდება ისეთ შემთხვევებში, სადაც ტურიზმი განსაკუთრებულად არის განვითარებული და ხდება კურორტების, როგორც დესტინაციის სპეციფიკის აღწერა:

ბაკურიანი მდებარეობს სუბალპური ზონაში, რომელიც მოიცავს ტყიან მასივს და გადადის ალპურ ზონაში. მდებარეობს ბორჯომის რაიონში. არის თბილისიდან მოშორებით და შაბთ-კვირის გატარების მიზნით დამსვენებლები ნაკლებად სტუმრობენ. ბაკურიანი ტრადიციული კურორტია, რომელიც 1935 წლიდან არის განვითარებული.

გუდაური მდებარობს ალპურ ზონაში, სატრანზიტო გზის ერთ-ერთ მონაკვეთზე. გუდაური არ არის დასახლებული პუნქტი, ის თავიდან აუთვისებელი ტერიტორია იყო, ამიტომ, კურორტის ფუნქციონირებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა შენდება თავიდან. კურორტმა ფუნქციონირება დაიწყო 1985 წლიდან.

მომხმარებლების კვლევა

პრობლემების გამოვლენისთვის გამოვიყენე თვისობრივი კვლევა - მომხმარებლების გამოკითხვა სტანდარტული კითხვარით. ელექტრონულად გამოიკითხა 100 მომხმარებელი, რომლებიც სარგებლობენ საქართველოს სამთო-სათხილამურო კურორტებით. ჩატარებული კვლევის შედეგად მივიღე შემდეგი მონაცემები:

57,5% არის 14-25 წლამდე ადამიანი, 25% - 25-35 წლამდე, 12% - 36-49 წლამდე, 5% - 50-64, ხოლო 0,6% - 65 წელს ზემოთ.

კითხვაზე: „საქართველოს რომელ სამთო სათხილამურო კურორტს ანიჭებთ უპირატესობას?“ გამოკითხულთა 55% ირჩევს გუდაურს, ხოლო 45% ბაკურიანს.

მიზეზები, რის გამოც დადიან შერჩეულ კურორტებზე (მომხმარებელს საშუალება ჰქონდა რამდენიმე პასუხი დაეფიქსირებინა ერთდროულად), არის:

კურორტის ადგილმდებარეობა - 71.6%

ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა - 34%

სათხილამურო აღჭურვილობის ქირაობის შესაძლებლობა - 22.2%

უსაფრთხოება - 17%

მომხმარებლებმა, დაასახელეს პრობლემები, რომლებიც კურორტებზე ხშირად ხვდებათ: კურორტებამდე მისასვლელი გზების და ტროტუარების მოუწესრიგებლობა, კომუნალური ინფრასტრუქტურის პრობლემა, გარემოს დანაგვიანება, სავალი გზების თოვლისაგან გაწმენდა, შშმ პირებისთვის კურორტების ადაპტირების პრობლემა, პარკინგის პრობლემა და გართობის ობიექტების ნაკლებობა.

ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა შემდეგი პრობლემები:

ბაკურიანი:

1. მშენებლობის ქაოტური განვითარება;
2. გათბობის პრობლემა;
3. ხე-ტყის ჭრა.

გუდაური:

1. სატრანსპორტო ზეწოლა;
2. ქანქარისებრი მიგრაცია;
3. მშენებლობის მიმართ მოწყვლადობა.

ბაკურიანის და გუდაურის საერთო პრობლემები:

1. გარემოს დაბინძურება;
2. ქცევითი პრობლემები;
3. კომუნალური ინფრასტრუქტურა;
4. სოციალური ინფრასტრუქტურა;
5. სეზონური დასაქმება;
6. გართობის ობიექტების ნაკლებობა.

პერსპექტივების განსაზღვრა

რეკომენდაციები განვითარების პერსპექტივები არსებული პრობლემების დაძლევის გათვალისწინებით:

1. მშენებლობის ქაოტური განვითარების დაძლევისთვის საჭიროდ მივიჩნევ გენერალური გეგმის შედგენას და რეგულირების მიღებას.
2. გარემოს დაბინძურების პრობლემის აღმოსაფხვრელად საჭიროა დამონტაჟდეს სეპარირებული სანაგვე ურნები და მოეწყოს თანამედროვე სტანდარტის შესაბამისი ნაგავსაყრელი. მოხდეს ისეთი მყარი ნარჩენების გადამუშავება, რომელიც არ არის მოკლე ვადაში დეგრადირებადი.
3. კომუნალური ინფრასტრუქტურის მოწესრიგება წარმოადგენს სახელმწიფოებრივ სტრატეგიას, რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს გენერალური გეგმით და ერთ-ერთი პუნქტი უნდა იყოს მისი მოწყობა.
4. სოციალური ინფრასტრუქტურის დეფიციტის აღმოსაფ-ხვრელად საჭიროა კურორტებზე აშენდეს სამედიცინო პუნქტები, სადაც სწრაფად მოემსახურებიან დაშავებულებს.
5. გართობის ობიექტების დეფიციტის დაძლევისთვის საჭიროა დამატებით შეიქმნას ახალი გასართობი და კვების ობიექტები.
6. ხე-ტყის უკანონო თუ გამიზნული ჭრის შეჩერებისთვის საჭიროა მკაცრი რეგულაცია და მონიტორინგი.

დასკვნა

საქართველოში სამთო-სათხილამურო ტურიზმი პოპულარულია. ამას ადასტურებს როგორც ჩემ მიერ ჩატარებული კვლევები, ასევე საქართველოს მთის კურორტების სააგენტოს სტატისტიკური მონაცემები. განსაკუთრებით გამოირჩევა გუდაური, რადგან ის თბილისთან ახლოს მდებარეობს.

იმისათვის, რომ გამომევლინა კურორტზე არსებული პრობლემები, ჩავატარე პირველადი და მეორადი კვლევები. კერძოდ, მეორადი კვლევისთვის გამოვიყენე მდგრადი განვითარების კონცეფცია და მის პრინციპებს მოვარგე საქართველოს სამთო-სათხილამურო კურორტები. ხოლო, პირველადი კვლევისთვის გამოვიყენე მომხმარებლების სტანდარტული კითხვარი.

კვლევების საფუძველზე დადგინდა, რომ საქართველოს სამთო-სათხულამურო კურორტებს აქვთ პოტენციალი მდგრადი განვითარების კუთხით. მაგრამ გამოვლინდა რიგი პრობლემებისა, რაც მის სტაბილურ განვითარებას უშლის ხელს. ამიტომ, გამოვლენილი პრობლემების დაძლევისათვის, რომლებიც შედარებით აქტუალურია, შემოთავაზებულია რეკომენდაციები.

პრობლემების დაძლევის შემთხვევაში, საქართველოში იარსებებს სამთო-სათხილამურო კურორტები, რომლის რესურსების გამოყენებაც მოხდება ეფექტიანად. ხოლო, მომხმარებლების მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მოხდება, მომავალი თაობების მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობის გათვალისწინებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ი. ხელაშვილი, სალექციო კურსი „ტურიზმის მდგრადი განვითარება“
- მ. უკლება, “*ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები*” თბ. 2009
- http://www.mrg.gov.ge/geo/main/index/17
- https://www.skigeorgia.ge/ka/resorts/
- http://www.economy.ge/?page=news&nw=691&s=saqartvelos-samto-kurortebze-turistebis-raodenoba-2012-wlis-shemdeg-491-procentit-gaizarda

ტურიზმი – საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში მიგრაციის შემაჩერებელი მექანიზმი

ავტორი: **ლუკა ბაბუნაძე**
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ხელმძღვანელი: **გიორგი ქემერტელიძე**

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის განსახილველი თემაა ერთ-ერთი ალტერნატიული გზა თუ როგორ უნდა შევაჩეროთ მიგრაცია საქართველოს მაღალმთიანი სოფლებიდან, კერძოდ, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონიდან. თემაში გაგაცნობთ პროექტს, რომლის საშუალებითაც იტალიის ისტორიული სოფლის, გროტოლის, ადგილობრივებმა მიიქციეს უცხოელი ტურისტებისა და დამსვენებლების ყურადღება. აღსანიშნავია, რომ კამპანიას დიდი გამოხმაურება მოჰყვა Youtube_სა და Airbnb_ზე. გროტოლში, საქართველოს მაღალმთიანი სოფლების მსგავსად, დემოგრაფიული პრობლემა გამწვავებულია. აქ 600-მდე მიტოვებული სახლი და სულ რაღაც 300 მოსახლეა. გროტოლის გეოგრაფიულ-სოციალური გარემო ანალოგიურია რაჭა-ლეჩხუმის მაღალმთიანი სოფლებისა, ამიტომ მსგავსი პროექტის განხორციელება საქართველოზეც დადებითად აისახება.

შესავალი

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს დემოგრაფიული პროფილი საგრძნობლად შეიცვალა. თვალსაჩინოებისთვის 1985 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგად საქართველოს მოსახლეობა უდრიდა 5.5 მილიონს, 2014 წლის მონაცემებით კი ეს მაჩვენებელი თითქმის 2 000 000-ითაა შემცირებული, რაც პირდაპირ ნიშნავს იმას, რომ საქართველოში დეპოპულაციაა, ანუ სიკვდილიანობა აჭარბებს შობადობას, რასაც ემატება მოსახლეობის ემიგრირება საზღვარგარეთ. შესაბამისად დემოგრაფიული პრობლემების შესწავლა და მათი გადაჭრის გზების ძიება საქართველოსთვის ძალზედ მნიშვნელოვანია.

მოსახლეობის დინამიკა ძირეულად განსხვავდება საქართველოს ყველა რეგიონში. შიდა მიგრაციები, ძირითადად სოფლიდან ქალაქში, კიდევ უფრო ამძიმებს ამ დემოგრაფიულ პროფილს, სოფლის მოსახლეობა კატასტროფულად მცირდება, ხოლო ქალაქისა კიდევ უფრო იზრდება. ნაშრომში აქცენტი გადატანილია საქართველოს მაღალმთიან რეგიონებზე, კერძოდ, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთზე, ვინაიდან აღნიშნული პრობლემა ყველაზე მწვავე სახით სწორედ აქ გვხვდება. რიცხოვნობის შემცირების ყველაზე მნიშვნელოვანი ტენდენცია საქართველოს ორ რეგიონში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (37.4%) და სამეგრელო-ზემო სვანეთში (29%) დაფიქსირდა. **„გროტოლის პროექტი“, რომლის მიზანიცაა ცნობადობის ამაღლება, ტურისტებისა და დამსვენებლების ჩართვით სოფლის ცხოვრების სტილსა და მეურნეობაში, მნიშვნელოვან როლს ითამაშებს მაღალმთიანი რეგიონის ეკონომიკური და დემოგრაფიული პრობლემების გადაჭრაში.**

ძირითადი ნაწილი

ტურიზმი არის სფერო, რომლისგანაც მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებლის ნახვაა შესაძლებელი თუ სწორად იქნება დაგეგმილი გარკვეული პროცესები. ამის მაგალითად განვიხილავ იტალიას. ამ ქვეყნის ქალაქების უმეტესობა ცოცხალი მუზეუმია: რომი, ვენეცია, ტურინი, ფლორენცია (რენესანსის აკვანი) და ა.შ. მათი ისტორია ასწლეულებს და ათასწლეულებს ითვლის, იტალიის ეკონომიკაც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ამ ქალაქების ტურისტულ შემოსავლებზე. მაგრამ ჩამოთვლილების ფონზე არ ჩანს იმ პატარა სოფლების მდგომარეობა, რომლებიც მაღალმთიან იტალიას ეკუთვნის. სწორედ ასეთი დასახლებაა გროტოლი. იგი ზღვის დონიდან 481 მეტრზე მდებარეობს ქვეყნის სამხრეთ ნაწილში, რომლის შესახებ ცნობებიც ჯერ კიდევ მე-12 - მე-13 საუკუნეებიდან მოიპოვება. აქაური მოსახლეობა აქტიურადაა ჩართული სოფლის მეურნეობაში, კერძოდ, ისინი მისდევენ მეფუტკრეობას, მოჰყავთ ბოსტნეული, ხდიან ზეითუნის ზეთს და აკეთებენ პასტას (იტალიის სავიზიტო ბარათს). თუმცა გროტოლში დემოგრაფიული პრობლემა განსაკუთრებულად იჩენს თავს. 1300 მოსახლიდან, მხოლოდ 300 ადამიანი დარჩა. პრობლემის მოსაგვარებლად ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციამ - Wonder Grottole-მ, Airbnb_სთან თანამშრომლობით გადაწყვიტა

(გროტოლის ადგილობრივი მცხოვრებნი)

წამოეწყო ახალი პროექტი, რაც ითვალისწინებს შემდეგს - Airbnb აცხადებს კონკურს უცხოელებისთვის, ვისაც სურვილი აქვს გაეცნოს იტალიურ კულტურასა და გარემოს. მიღებული აპლიკაციებიდან ამოირჩევა 4 მოხალისე, რომელიც მთელი ზაფხულის განმავლობაში იცხოვრებს გროტოლში ადგილობრივ მოსახლეობასთან. ამასთანავე სრულად იქნება დაფინანსებული მოხალისეების კვება და სხვა საცხოვრებელი ხარჯები. პროექტი უცხოელებს აძლევს შესაძლებლობას გაეცნონ გროტოლელების ყოველდღიურ ცხოვრებას, მათთან ერთად ჩაერთონ სოფლის მეურნეობაშიც (როგორც უკვე აღვნიშნე, ამ სოფელში მისდევენ მეფუტკრეობას, მებოსტნეობას, ზეითუნის ზეთის წარმოებას, პასტის კეთებას და ა.შ.), ისწავლონ ან გაიღრმავონ იტალიური ენის ცოდნა, მიიღონ მონაწილეობა კულტურულ საღამოებში და სხვა. გროტოლის პროექტის სარეკლამო კამპანიას Youtube-ზე საკმაოდ დიდი გამოხმაურება მოჰყვა - 300 000 ათასზე მეტი ნახვა. **Trends.google.com-ის მიხედვით ყველაზე ხშირად სახელი Grottole გუგლში იქნა მოძებნილი 2019 წლის იანვარში, როდესაც პროექტის შესახებ ინფორმაცია დაიდო Airbnb-ზე**. წინა უმაღლეს მაჩვენებელთან შედარებით ეს 40%-ით მეტია.

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ტერიტორიაზე „გროტოლის პროექტისთვის“ შესაფერისი რამდენიმე ქალაქი თუ დაბაა. მაგალითისთვის: ონი, ცაგერი, ლენტეხი, ხოტევი, ნიკორწმინდა და ა.შ. ამ ადგილებში ყველა ის რესურსი მოიპოვება, რომელიც საჭიროა პროექტის განსახორციელებლად. მოცემულობა მიმსგავსებულია გროტოლის მაგალითს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ორივე შემთხვევაში პრობლემა და მიზანი ერთნაირია. მოსახლეობის რაოდენობის კლების შეჩერება აღნიშნულ რეგიონში, ამასთანავე მათი პოპულარიზაცია და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. პრობლემის მოსაგვარებლად საჭიროა ადგილობრივ მთავრობასთან თანამშრომლობა და „გროტოლის“ მაგალითის გადმოღება. შესაძლებელია მოხდეს აპლიკანტების შერჩევა, რომლებსაც ექნებათ საშუალება იცხოვრონ წინასწარ შერჩეულ სოფელში, დაბაში ან ქალაქში. სადაც მათ ექნებათ საშუალება გაეცნონ იმ კულტურას, რომელიც რაჭა- ლეჩხუმის რეგიონს ახასიათებს. რა თქმა უნდა, მოხალისეები შეძლებენ მონაწილეობა მიიღონ სოფლის მეურნეობაშიც. გაეცნობიან ღვინის დაყენების წესს, დააგემოვნებენ და ისწავლიან ქართული კერძების მომზადებას. მეფუტკრეობა, მეცხოველეობა და მემცენარეობა (ყურძნის მოყვანა - ალექსანდროულისა და მუჯურეთულის, რომლისგანაც მზადდება ხვანჭკარა) ეს სფეროები მოხალისეებს არჩევანის არეალს უფართოებს, შესაბამისად საქმიანობა რომლითაც შესაძლებელია უცხოელების დაინტერესება, არც თუ ისე ცოტაა. ასწლოვანი ტაძრები, ციხეები, სამკურნალო და მინერალური წყლების სიმრავლე, ფიჭვნარი ტყის სიხშირე და ლამაზი ბუნებრივი ლანდშაფტები - უცხოელი მოხალისეების მოსაზიდად ყველაზე ხელსაყრელი გზაა.

(გროტოლი,იტალია)

(ცაგერი, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონი, საქართველო)

დასკვნა

2014 წლის მონაცემებით ტურიზმს საქართველოს მთელი მშპ-დან 6% ეკავა, გასულ წელს ეს რიცხვი 9.3% უტოლდებოდა, რაც ჯამში 4,7 მილიარდი დოლარია. ამ სფეროს როლი წლიდან წლამდე მნიშვნელოვნად იზრდება. ყაზბეგი, გუდაური, ბაკურიანი, მესტია, უშგული და სხვა - ამ დასახლებებისთვის ტურიზმი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შემოსავლის წყაროა, შესაბამისად, ეკონომიკური მდგომარეობა სახარბიელოა, ვინაიდან ადგილობრივ მოსახლეობას პროდუქციის რეალიზება არ უჭირს. აშკარაა, რომ ამ დასახლებებში არ ვხვდებით დემოგრაფიულ პრობლემებს. რაჭა- ლეჩხუმი - ქვემო სვანეთის რეგიონში ტურისტული აქტივობები არ ფიქსირდება. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია ამაღლდეს ცნობადობა ამ ტერიტორიის შესახებ უცხოელ ტურისტებში. ამის მიღწევა კი შესაძლებელია ამ ნაშრომში განხილული პროექტით. „გროტოლის“ პროექტი პრაქტიკული მაგალითია იმისა თუ როგორ უნდა გავხადოთ პოპულარული ისეთი სოფლები, რომლებსაც ცოტა მოსახლეობა, მაგრამ დიდი ისტორია აქვს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია აღნიშნული რეგიონის მთიანი სოფლებისა და გროტოლის რესურსები ერთმანეთის მსგავსია. ამ რეგიონში კულტურული ძეგლების სიმრავლე უფრო აქტუალურს გახდის მას და უცხოეთშიც დიდ გამოხმაურებას ჰპოვებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- https://press.airbnb.com/discover-lesser-known-italy-with-airbnb/
- https://trends.google.com/trends/explore?date=all&q=grottole
- https://italiansabbatical.com/
- https://www.youtube.com/watch?time_continue=1&v=DWNidywEJ0g
- https://forbes.ge/news/3662/turizmis-wili-ekonomikebSi
- http://forbes.ge/blog/137/Sida-turizmi-saqarTveloSi

მრავალპროფილიანი სოფლის ტურისტული ბიზნეს-ობიექტის სამეურნეო გამოცდილება

ავტორი: **დიდებაშვილი გურამი**

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის შეფასებით სოფლის ტურიზმი შედის 2020 წლამდე ტურიზმის განვითრების სტრატეგიული მიმართულების ხუთეულში. იგი მიჩნეულია სოფლის მოსახლეობის დასაქმების ყველაზე პერსპექტიულ მიმართულებად. სოფლის ტურიზმი საქართველოში ჯერ კიდევ განვითარების საწყის სტადიაზე იმყოფება. მოხსენებაში კონკრეტული ბიზნეს-ობიექტის - კერძოდ ტურიტული კომპლექსის „შარეულას" სამეურნეო გამოცდილების მაგალითზე ნაჩვენებია თუ როგორ ხდება სოფლის ტურიზმის სხვადასხვა მიმართულებების განხორციელება.

ახალი ათწლეული სწრაფი ცვლილებებით არის გამორჩეული, ეს ცვლილებები განსაკუთრებით ნიშანდობლივია ტურიზმის სფეროსათვის. ქვეყნები ორიენტირებულები არიან, რაც შეიძლება მეტი ტურისტის მიღებაზე. ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ისინი გამუდმებით სთავაზობენ მომხმარებლებს ინოვაციებს: ცვლილებები შეაქვთ მომსახურებაში, ქმნიან ახალ ტურებს, ანახლებენ სასტუმროებს და სხვ. შესაბამისად, იღებენ მაღალი დონის პროდუქტს, რომელიც შეესაბამება ტურისტთა გარკვეული ჯგუფების მოთხოვნილებებს.

ტურისტები ახალ გამოცდილებას იღებენ ტურში მონაწილეობით, უკეთ აცნობიერებენ თავიანთ სურვილებს და შესაბამის აქტივობებს ეძებენ. მოგზაურობასთან ერთად, ტურისტებს უჩნდებათ ახალი მოთხოვნილებები, ახალი მოთხოვნილებები წარმოშობს ტურიზმის ახალი მიმართულებების შექმნის აუცილებლობას. შესაბამისად წარმოიშვა და ვითარედება ტურისტული ინდუსტრიის ახალი მიმართულება -სოფლის ტურიზმი.

სოფლის ტურიზმი, რომელიც შედარებით ახალი მოვლენაა ტურიზმის ინდუსტრიაში, ბოლო პერიოდში ძალიან აქტუალურია. ასეთი ფორმით დასვენება სხვადასხვა უცხოურ ქვეყანაში დიდი ხანია ძალიან პოპულარულია, განსაკუთრებით ქალაქის მაცხოვრებლებს შორის.

სოფლის ტურიზმი თანამედროვე მსოფლიოში აღიარებულია ტურისტული ინდუსტრიის ყველაზე დინამიურ, სწრაფადმზარდ და პერსპექტიულ მიმართულებად. 2019 წლის 25 მარტის ტურიზმის მსოფლიო ფორუმზე (სეგოვია, ესპანეთი) გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის გენერალური მდივნის ზურაბ პოლოლიკაშვილის განცხადებით 2020 წელი სოფლის ტურიზმის ხელშეწყობის წლად გამოცხადდა.[1]

მსოფლიო გამოცდილება მოწმობს, რომ სოფლის ტურიზმი არის მეურნეობის სფერო, სადაც უკანასკნელ პერიოდში ინტენსიურად ვითარდება მცირე ბიზნესი, რასაც განაპირობებს ამ სფეროში ადგილობრივი რესურსების ეფექტიანი გამოყენების დიდი შესაძლებლობას. სოფლის ტურისტული ბიზნესი არის რენტაბელური და შემოსავლიანი სფერო, რომელიც მიჩნეულია სოფლის მოსახლეობის დასაქმების ყველაზე პერსპექტიულ მიმართულებად. სოფლის ტურიზმი საქართველოში ჯერ კიდევ განვითარების საწყის სტადიაზე იმყოფება და შორსაა იმ მდგომარეობიდან, რაც დამახასითებელია განვითრებული ტურისტული ინდუსტრიისათვის, თუმცა ერთის მხრივ სოფლის ტურიზმის სფეროში მსოფლიოს გამოცდილებისა და მეორეს მხრივ ქვეყნის ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებისა და სხვა მდიდარი ტურისტული რესურსების გათვალისწინების საფუძველზე შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, რომ ტურისტული ინდუსტრიის ეს მიმართულება შეიძლება წარმატებით განვითარდეს საქართველოში.

სოფლის ტურიზმს ვუწოდებთ ყოველგვარ ტურისტულ აქტივობას, რომელიც ხორციელდება სოფლად ადგილობრივი რესურსებისა და სპეციფიკური ტექნოლოგიის გამოყენებით, უზრუნველყოფს სპეციფიკური ტურიტული პროდუქტის შექმნას და რომელსაც ახასიათებს ტურიზმის ყველა ნიშან-თვისება. სოფლის ტურიზმი ტურისტული პროდუქტის შექმნისათვის ძირითადად იყენებს სოფლის ტერიტორიის სხვადასხვა ბუნებრივ, კულტურულ-ისტორიულ, სამეურნეო და სხვა სახის რესურსებს. ადგილობრივი რესურსებით სარგებლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სპეციფიკური მაჩვენებელია სოფლად მცხოვრები მასპინძლის -გლეხის, ფერმერის სახლის და საერთოდ კარ-მიდამოს გამოყენება ტურისტთა განთავსების საშუალებად. მსოფლიო პრაქტიკით დადასტურებულია, რომ სოფლის ტურიზმიდან მიღებული შემოსავლის ნაწილს ქვეყნები ახმარენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებას. ამრიგად, სოფლის ტურიზმის განვითარება იმავდროულად ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის განვითრებას.

ამ კონტექსტში ჩვენთვის საინტერესო აღმოჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კონკრეტულ ბიზნეს-ობიექტზე ხდება სოფლის ტურიზმის სხვადასხვა მიმართულებების განხორციელება. მხე-დველობაში გვაქვს შპს „რაჭა თრეველი"-ის საოჯახო სასტუმრო „შარეულა". სასტუმროს ტერიტორიას ცენტრალური ადგილი უჭირავს ამბროლაურის ულამაზეს სოფლებს — ზემო და ქვემო ღვარდიას და გოგოლათს შორის. რაჭის ცენტრალური გზიდან დაშორებულია ერთი კილომეტრით. შიდა სასოფლო გზა იძლევა ნებისმიერ ამინდში ადგილამდე მანქანით მისვლის შესაძლებლობას. თავისი მდებარეობით სასტუმროს ტერიტორია პოპულარულია ადგილობრივ მოსახლეობაში და, ამასთან, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს ტურისტთა დიდ მოწონებას იმსახურებს. ხის პატარა სასტუმრო ექვსი ნომრით, გამოირჩევა რაჭისათვის დამახასიათებელი ხის ჭვირული აივნებით, რაც სტუმარს უქმნის ადგილობრივი ეთნიკური არქიტექტურის გაცნობის საშუალებას. სასტუმროს ტერიტორიაზევეა კოტეჯები 16 დამსვენებელზე, ფაცხები და პატარა რესტორანი. გაკეთებულია დაკიდებული ხიდი მდინარე შარეულაზე, რომელსაც საკომუნიკაციოსთან ერთად ატრაქციული მნიშვნელობაც აქვს

1. www2.unwto.org/..

და ტურისტთა დიდ მოწონებას იმსახურებს. სასტუმროს ეზოში მოწყობილია ფანჩატურები და ბავშვთა სათამაშო მოედანი. სტუმრებს აქვთ სასტუმროს ტერიტორიაზე კარვებში მოსვენების, ფრენბურთით, ფეხბურთით, კალათბურთით, მაგიდის ჩოგბურთით გართობის შესაძლებლობა.

სასტუმროს ტერიტორიაზე ფუნქციონირებს მარანი, რომელშიც ტურისტს შეუძლია მეღვინეობასთან დაკავშირებული სამეურნეო აღჭურვილობის და საწარმოო პროცესების გაცნობა. გარდა ამისა ობიექტის მატერიალური აქტივები მოიცავს 8 ცხენს, 4 ჯიპს, ორ კვადროციკლს, 4 გასაბერ ნავს და სხვა სპორტულ აღჭურვილობას, რაც საჭიროა ჯომარდობის განხორციელებისათვის.

ტურისტული ობიექტი ახორციელებს სოფლის ტურიზმის პროფილისათვის დამახასიათებელ შემდეგ ტურისტულ აქტივობებს: სათავგადასავლო-ექსტრემალურ ტურიზმს, ეკოტურიზმს, რეკრეაციულ ტურიზმს, აგროტურიზმს, ღვინის ტურიზმს. ამ ობიექტში განხორციელებული რეკრეაციული ტურიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურებაა საოჯახო (ბავშვებთან ერთად) დასვენება.

ტურისტული ობიექტი წარმოადგენს ტიპიურ მცირე ბიზნესს და არ გამოირჩევა სტუმრების ძალიან დიდი სიმრავლით, მიუხედავად ამისა ჩასვლების დინამიკა თვალნათლივ აჩვენებს ზრდის ტენდენციას.

ობიექტს ძირითადად პოსტსაბჭოური ქვეყნების — უკრაინის, რუსეთის, ბელორუსიის, ყაზახეთის, ლიეტუვასა და ლატვიის ტურისტები სტუმრობენ. უნდა აღინიშნოს, რომ ტურისტები ჩამოდიან ევროპის ქვეყნებიდან (გერმანია, საფრანგეთი, პოლონეთი, ჩეხეთი, ჰოლანდია), ასევე ირანიდან, არაბეთიდან და ისრაელიდან. ქართველი ტურისტები ძირითადად ობიექტში ხვდებიან კორპორაციული და საოჯახო ტურების ფორმით. აქ სტუმრობენ როგორც ბავშვები (3 წელი და ზევით), ასევე ასაკიანი ტურისტები. ტურისტის საშუალო დღიური დანახარჯი მერყეობს 30-დან 150 ლარამდე.

ობიექტი განთავსებულია მდინარე შარეულას გასწვრივ. ეს არის საკალმახე მდინარე, რომელზედაც ამჟამად თევზაობა აკრძალულია. ტერიტორიას 200 მეტრის დაშორებით ჩამოუდის მდინარე რიონი. რიონზე ნებადართულია ანკესით თევზაობა შარეულაზე დიდი სიამოვნებით ბანაობენ და ირუჯებიან ტურისტები. ტერიტორია ოთხივე მხრიდან გარშემორტყმულია ტყით და ულამაზესი მთებით. რიონზე შესაძლებელია ნავებით დაშვება. ჯომარდობა ხორციელდება უწერა-ხიდიკარის, ამბროლაური-შარეულას, შარეულა-ტვიშის მარშრუტებით. ობიექტის მნიშვნელოვან ტურისტულ აქტივობას წარმოადგენს საფეხმავლო ტურები: შარეულას ხეობა, სოფელი ზედა ღვარდიის ტერიტორია, საირმის კლდოვანი მასივი.

ტურისტული აქტივობებიდან ობიექტისათვის ტიპიურია ღვინის ტურები. ობიექტს ორი ჰექტარი ვენახი აქვს საკუთრებაში, რომელზედაც გაშენებულია ყურძნის ენდემური ჯიშები: ალექსანდროული, მუჯურეთული და წულუკიძის თეთრა. აღსანიშნავია ის, რომ ვენახები გაშენებულია ხვანჭკარის ზონაში, რაც განსაკუთრებულ პოპულარობას სძენს აქაურ ღვინოებს. ტურისტებს შეუძლიათ ღვინის დეგუსტაცია, რთველში მონაწილეობა და საკუთარი ხელით ყურძნის დაკრეფა, ჩურჩხელების ამოვლება. ტურისტული ობიექტის საქმიანობის სფეროში შედის გასტრონომიული ტურიზმიც: აქ ტურისტს შეუძლია საკუთარი ხელით ჩააცხოს თონეში „ლობიანი" და „ყველიანი", გამოაცხოს მჭადი კეცებზე, ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ობიექტს აქვს სათანადოდ აღჭურვილი ლორის მინიწარმოება, სადაც ტურისტი გაეცნობა ადგილობრივი პროდუქტის წარმოების ტექნოლოგიას. მას შეუძლია ნახოს წისქვილის მუშაობა, მარცვლეულის დაფქვის ტექნოლოგია. განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ ადგილობრივი სამზარეულოს მიმართ.

ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულება ტურისტული ბიზნესისა და ტურისტების მიმართ არის ძალიან პოზიტიური. ისინი ინტენსიურად თანამშრომლობენ მწარმოებლებთან, რაც გამოიხატება პროდუქტის მოწოდებაში. მომსახურე პერსონალი შედგება ოჯახის წევრებისა და ადგილობრივებისაგან. .

ობიექტში დასაქმებულია 16 ადამიანი: სასტუმროს მენეჯერი, შეფმზარეული, ორი დამხმარე, ორი დამლაგებელი, ორი მძღოლი, ორი ჯომარდობის ინსტრუქტორი, ორი გამყოლი, ორი დარაჯი და ორი მეჯინიბე.

კომპლექს „შარეულაში" დანერგილია მიმდინარე საქმიანობის ამსახველი მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების სისტემა. მონაცემები ძირითადად ასახავს სტუმართა მიერ გამოთქმულ შთაბეჭდილებებს და სურვილებს. ქვემოთ ნაჩვენები იქნება, რომ ამ ინფორმაციის ანალიზის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს არამხოლოდ კონკრეტული ბიზნეს-ორგანიზაციის საქმიანობის შეფასებისა და გაუმჯობესების მიზნით, არამედ რაჭის სოფლის ტურისტული ბიზნესის მარკეტინგული გამოწვევების დაძლევისთვისაც. დადგენილი წესის მიხედვით, რეგისტრაციის პროცედურის გავლის შემდეგ სტუმარს ეძლევა ფორმა რომლის შევსებაც მას შეუძლია სურვილისამებრ. შევსებულ ფორმას სტუმარი აბრუნებს ვიზიტის დასრულებისას. შეგროვებული მონაცემები ხარისხდება თემატური ნიშნით, რაც გულისხმობსსოფლის ტურიზმის სახეობების დალაგებას პრეფერენციული პრინციპით და იძლევა ყველაზე „მოთხოვნადი" სახეობების გამოყოფის საშუალებას. 2015-2018 წლებში „შარეულას" სტუმრობდა 1780 ტურისტი, დარიგებული იყო შესაბამისი რაოდენობის ფორმა. დაბრუნდა 873. ქვემოთ მოცემულია „შარეულას" ვიზიტორების მიერ შევსებული ფორმების ანალიზის შედეგები[2].

ანალიზმა აჩვენა, რომ ყველა გამოკითხული (100%) მოხიბლულია ადგილის ულამაზესი პეიზაჟით, გარემოთი და სტუმართმოყვრული მასპინძლობით. ადგილობრივი სამზარეულო მოსწონს 812 ვიზიტორს (93%). ანკეტის შევსების დროისათვის „შარეულას"

- პირველად სტუმრობდა 409 ვიზიტორი (46.8%)
- მეორედ სტუმრობდა 354 ვიზიტორი (40.5%)
- მესამედ სტუმრობდა 85 ვიზიტორი (9.7%)
- მეოთხედ სტუმრობდა 25 ვიზიტორი (2.9%)

2. ინფორმაცია მოწოდებულია სასტუმრო ,,შარეულას" მენეჯერის მიერ

ვიზიტორთა ყველაზე მეტი რაოდენობის (450 ადამიანი, ანუ 51.5%) ჩამოსვლის ძირითადი მოტივი იყო ოჯახური ტურიზმი. ამ ადამიანებს განსაკუთრებით მოსწონთ ის, რომ ,,შარეულაში" შექმნილია ოჯახური ტურიზმის საუკეთესო პირობები — სუფთა, წყნარ და მწვანე გარემოში დასვენების შესაძლებლობა. ,,შარეულას" პრაქტიკა აჩვენებს, რომ ამ სეგმენტის ვიზიტორები ბავშვებთან ერთად მონაწილეობენ გაცნობით ექსკურსიებში, კულტურულ-ისტორიული ძეგლების დათვალიერებაში, დიდი ინტერესს იჩენენ ბუნებაში გასეირნებისა და მდინარის ნაპირზე დასვენებისადმი და ა. შ. ტურის განხორციელების დროს ეწყობა სტუმარი ბავშვების დაბადების დღეების აღნიშვნა. ბავშვები ერთობიან სასტუმროს მიმდებარე ტერიტორიაზე მოწყობილ სათამაშო მოედნებზე. ვიზიტორები დიდ კმაყოფილებას გამოთქვამენ კვებითი მომსახურების ორგანიზაციის, კერძოდ, ბავშვებისა და უფროსებისათვის სპეციფიკური მენიუებით მომსახურების გამო. ყოველივე ეს განაპირობებს ბავშვებიანი ტურისტების განმეორებით სტუმრობას.

საოჯახო ტურიზმის ძირითად მონაწილეებს შიდა ვიზიტორები (232 სუბიექტი, ანუ 51.5%), კერძოდ საქართველოს მოქალაქეები შეადგენდნენ. რუსეთის ფედერაციიდან ისვენებდა 157 მოქალაქე (34.9%), ხოლო 61 ვიზიტორი, ანუ 13.5% სხვა უცხოური ქვეყნების მოქალაქეები იყვნენ. მეორე დიდი სეგმენტს ქმნის ტურისტები, რომლებიც დაინტერესებული არიან ღვინის ტურებით (375 კაცი ანუ 43%).

„შარეულას" სტუმრებიდან 225 ადამიანი, ანუ 25.8% ჩამოსვლის ძირითად მოტივად ასახელებს ჯომარდობას. ჯომარდობის მოყვარულთა შორის აღმოჩნდნენ ძირითადად ქართველი და რუსი ტურისტები, რომელნიც 61%-ს შეადგენდნენ< დანარჩენი 88 ტურისტის ძირითად ნაწილს შეადგენდნენ უცხოელები.

ქვემოთ მოტანილი მონაცემები უჩვენებენ ტურისტთა დაინტერესებას სხვადასხვა ტურებით:

„შარეულას" გამოცდილების ანალიზი აჩვენებს:

- ტურისტულ ობიექტში მომსახურების ხარისხისა და შესაბამისად, ტურისტული გამოცდილებით განცდილი კმაყოფილების მაღალ დონეს, რაც დასტურდება განმეორებითი სტუმრობის მაჩვენებლით (ობიექტს 2015-2018 წლებში განმეორებით ესტუმრა 53% ტურისტი);
- პერსპექტიულია რეკრეაციული ტურიზმის, კერძოდ მისი ნაირსახეობის — საოჯახო ტურიზმის განვითარება. ამასთან, გამოიკვეთა ღვინის ტურიზმის პერსპექტიულობაც;
- არსებობს რეკრეაციული ტურისტული პროდუქტის გამრავალფეროვნების დიდი შესაძლებლობები (საფეხმავლო, საცხენოსნო, და კულტურული ტურები);
- განსაკუთრებულ გარემოში, კერძოდ მდინარესთან სიახლოვის, შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური აქტივების ფლობის პირობებში შესაძლებელია ექსტრემალური ტურიზმის სხვადასხვა ფორმების — ჯომარდობის, სპელეოტურიზმის, კლდეზე ცოცვისა და ა. შ. განვითარება.

ტურისტული ობიექტის მენეჯმენტმა საჭიროდ ჩათვალა ტურისტთა გარკვეული ნაწილის მიერ გამოთქმული მოსაზრების გათვალისწინება:

1. ობიექტში სხვადასხვა დროს ჩამოსულმა სტუმრებმა (515 ვიზიტორი, ანუ 59%) აღნიშნეს, რომ „შარეულაში" მიღებული შთაბეჭდილება გაცილებით მდიდარი იქნებოდა მის ტერიტორიაზე საცურაო აუზის არსებობის შემთხვევაში;
2. აღმოჩნდა, რომ სტუმართა გარკვეული ნაწილისათვის (27 ვიზიტორი, ანუ 3%) უფრო კომფორტული იქნებოდა კაპიტალურად,აგურით,ქვითადა ა.შ.ნაგებსახლშიღამისთევა, ვიდრე ადგილობრივი ეთნოგრაფიული არქიტექტურისათვის დამახასიათებელ ხის მსუბუქი კონტრუქციის სახლში. ეს არის მაღალგადახდისუნარიანი სეგმენტი, რომლის მომსახურებაც განსაკუთრებით ხელსაყრელია ეკონომიკური სარგებლიანობის თვალსაზრისით.
3. უცხოელი, განსაკუთრებით ინგლისურ ენაზე მოსაუბრე ტურისტების (65 კაცი ანუ 7%) ძირითადი შენიშვნა შეეხება სასტუმროს პერსონალს შორის უცხო ენის მცოდნეთა დეფიციტს.

პირველი ორი ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით შეიქმნა სასტუმროს ტერიტორიაზე საცურაო აუზის და ახალი კაპიტალური შენობის პროექტები, მოძიებულია შესაბამისი ფინანსური რესურსები და მიმდინარეობს მშენებლობის პროცესი.

უცხო ენასთან დაკავშირებული პრობლემის გადაწყვეტისათვის სასტუმროს მენეჯმენტი უკვე იყენებს პერსონალის აქტიურ ტრეინინგს.

ბიზნესზე ძალიან უარყოფით გავლენას ახდენს ტურიზმის სეზონურობა, ობიექტი ფუნქციონირებს მხოლოდ ექვსი თვე, რაც დიდ პრობლემებს ქმნის პერსონალის დამაგრების თვალსაზრისით. ტურისტული სეზონის გახანგრძლივებისათვის აუცილებელია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება. ხელისშემშლელი ფაქტორია ბუნებრივი აირის არარსებობა.

გამოყენებული ლიტერატურა

- Kurleto M. The specificity of Roural Tourism development From the perspective of innovative driving forces //Journal Management Science and Education, volume 3, 2014, issue 2, p.51-57).
- Dashper K. Rural tourism: Opportunites and Chalenges. wignSi: Rural Tourism: An International perspective, Cambridge Scholars Publishing, UK 2014, p.423.
- ვაწაძე ი. „სოფლის ტურისტული ბიზნესის განვითარება როგორც ინკლუზიური ეკონომიკის ზრდის კონცეფციის რეალიზაციის ფაქტორი". თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი, 2018.-533 gv.
- ვაწაძე ი. ,,სოფლის ტურიზმი - არსი და განვითარების პერსპექტივები", საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში", თბილისი 2016;
- www2.unwto.org/..

ეკოსოფელი, როგორც ქართული მთის სოფლების მემკვიდრეობის შენარჩუნების საშუალება

ავტორი: **ნინო თიგიშვილი**
ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ხელმძღვანელი: **ნატალია ბახტაძე**

1. წინასიტყვაობა

აღნიშნული დოკუმენტში წარმოდგენილი იქნება ეკოსოფლების და ეკომუზეუმის კონცეფცია, მისი მნიშვნელობა, აქტულურობა და ეფექტიანობა. ასევე განხილული იქნება წარმატებული მაგალითები და ყველაზე მნიშვნელოვანი ამ კონცეფციის საქართველოში განვითარების შესაძლებლობები და ის მოცემულობა, რომელიც დღეს გააჩია ჩვენს ქვეყანას ამ თვალსაზრისით.

აღნიშნული კონცეფცია არაა ორიენტირებული მხოლოდ ეკონომიკურ მოგებაზე, არამედ ის ჭრის უამრავ პრობლემას სწორი მენეჯმენტის შემთხვევაში. პრაქტიკული გამოცდილება აჩვენებს რომ ხშირად ეს ის პრობლემებია, რაც ჩვენი ქვეყნის წინაშე გამომწვევად დგას, შესაბამისად ამ სახის განვითარება ვფიქრობ მნიშვნელოვანია საქართველოსთვის და განსაკუთრებით მთიანი რეგიონებისთვის.

2. ტურიზმის სტატისტიკა და ტენდენციები

მსოფლიოში ტურიზმის ერთ-ერთი ყველაზე მზარდი ინდუსტრიაა. 2018 საერთაშორისო ვიზიტორთა რიცხვმა 1.8 მილიარდს მიაღწია და წინა წლის მონაცემს 6%ით გადააჭარბა. მოგზაურობა თანამედროვე სამყაროს ყველაზე მნიშვნელოვანი ტრენდია, თუმცა მისი გაგება ყოველდღიურად იცვლება და იხვეწება. მაგალითად UNWTO-ს 2018 წლის ანგარიშში აგრეთვე ნათქვამია რომ გაიზარდა ტურისტული ნაკადების რაოდენობა აფრიკაში, აზიაში, აღმოსავლეთ ევროპაში და ამ ახალმა დანიშნულების ადგილებმა ბევრი მოგზაურისთვის ჩაანაცვლა პოპულარული ადგილები. შესაბამისად ტურიზმის გახდა ბევრი განვითარებადი ქვეყნისთვის პრიორიტეტული ეკონომიკური სექტორი. თუმცა ტურიზმის მკვეთრ ზრდასთან ერთად ცხადი გახდა მისი თანმდევი პრობლემები, ის ნეგატური ეფექტი რაც ჭარბ ტურიზმს მოაქვს და რომელიც ზოგჯერ ფარავს მიღებულ ეკონომიკურ სარგებელს. ამიტომ სახელმწიფოებმა და ადმიანებმა დაიწყეს ტურიზმის ნეგატიური ეფექტების აღმოფხვრის გზების ძიება და დღეს ტურიზმის მდგრადი განვითარება უმიშვნელოვანეს მიზნად იქცა გლობალური სამყაროსთვის. თემა რომელზეც შემდგომში ვისაუბრებ სწორედ ამ ტენდენციის ნაწილია.

ტურიზმის მკვეთრად მზარდი ტენდენციაა საქართველოშიც, შესაბამისად იზრდება ტურიზმის ინდუსტრიის ეკონომიკური სარგებელიც. გასულ წელს საქართველოს მშპ-ში ტურიზმის პირდაპირი კონტრიბუცია 9.3% იყო და მოსალოდნელია რომ აღნიშნული მაჩვენებელი 2028 წლამდე 10.5%-მდე გაიზრდება. თუმცა აღინიშნება ტურისტული ნაკადების კონცენტრირება პოპულარულ ადგილებზე, რომლებიც GNTA-ის მიერ ორგანიზებულ პიარ კამპანიებში ხვდება ან სოციალურ საიტებზეა პოპულარული. ეს ყოველივე კი იწვევს ჭარბ ტურიზმს, რაც ისევე საზიანოა გარემოსთვის, როგორც ბუნებრივი სტიქიები. კერძოდ, მასობრივი ტურიზმი აისახება ფიზიკურ, სოციალურ, ფსიქოლოგიურ და ვიზუალურ ტევადობაზე. უფრო გასაგებად იგი აზიანებს ბუნებრივ გარემოს, ფლორს და ფაუნას, ასევე იწყება ქაოსური, არაგეგმიური მშენებლობა, გარემოს დანაგვიანება, ადგილობრივი მოსახლეობა, რომლებიც არ არიან ჩართული ტურიზმის ბიზნესში ფსიქოლოგიურად იღლებიან მუდმივი ხმაურით. ტურისტების გარკვეულ ნაწილსაც არ სიამოვნებს როცა ინდუსტრიულ ცხოვრებას გაურბის, დასვენების მიზნით და ისევ ხალხმრავალ ადგილას ხვდება.

მაგალითისთვის უშგული არის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტურისტული დანიშნულების ადგილი, რომელიც UNESCO-ს

მსოფლიო მემკვიდრეობას წარმოადგენს მისი განსაკუთრებული არქიტექტურის გამო, რომელიც მნიშველოვნად ზიანდება ისეთი შეუსაბამო მიშენებებით, როგორიცაა წითელი ან სხვა მკვეთრად გამორჩეული ფერის მასალისგან აშენებული შენობა-ნაგებობები, რომლებიც ადგილობრივმა მოსახლეობამ სწორდ ტურიტული სერვისების მაღალი მოთხოვნის გამო გააკეთა.

კიდევ ერთი მაგალითია უფლისციხე, რომლის გამტარუნარიანობაც იმაზე გაცილებით ნაკლებია ვიდრე მნახველი ჰყავს, რაც დიდ საფრთხეს უქმნის ძეგლს, მისი გეოლოგიური აგებულებიდან გამომდინარე. ეს და სხვა მრავალი მაგალითია არსებობს ტურიზმის ნეგატიური გავლენებისა. შესაბამისად მნიშვნელოვანია სწორედ შეფასდეს მისი დადებითი და უარყოფითო შედეგები და მაქსიმალურად შეეცადოს ტურიზმის სექტორში მოღვაწე ყველა რგოლი მინიმუმადე დაიყვანოს ეს უარყოფითი გავლენა. ამისთვის კი მნიშვნელოვანია ტურიზმის მდგრადი განვითარება, მაღალი პასუხისმგებლობიანი ტურიზმის სახეობების განვითარება და დანერგვა, რომლებსაც მაღალი ეკონომიკური

სარგებელი და მინიმალური ზიანი მოაქვს ქვეყნისთვის. სწორედ ასეთია ტურიზმის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახეობა ეკოტურიზმი.

3. ეკოტურიზმი, ეკოსოფელი და ეკომუზეუმი

ეკოტურიზმი არის პასუხისმგებლიანი მოგზაურობა ბუნებაში, რომელმაც ეკონომიკური და სოციალური სარგებელი უნდა მოუტანოს ადგილობრივ თემს, და შექმნას ცოდნა და მაღალი ცნობიერება ინტერპრეტაციის და განათლების საფუძველზე. გამოიყოფა ეკოტურისტების გადაადგილების ორი მნიშვნელოვანი არეალი: დაცული ტერიტორიების ფარგლებში და მის ფარგლებს გარეთ. შესაბამისად ეკოტურიზმი როგორც განცალკევებული ტურიზმის სახეობა არ არსებობს და მას მნიშვნელოვანი კვეთა აქვს: სამეცნიერო, სათავგადასვლო, სოფლის, აგრო, კულტურულ და ტურიზმის სხვა სახეობებთან. ასევე ეკოტურიზმისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროდუქტია ადმაინების ყოველდღიური ყოფითი ცხოვრება და ტრადიციები, შესაბამისად იგი ხელს უწყობს ეკონომიკის ისეთი დარგის განვითრებასაც როგორიცაა სოფლის მეურნეობა და მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებელი მოაქვს პატარა თემებისთვის.

ჩვენს ქვეყანას დიდი პოტენციალი აქვს და შესაძლებელია ეკოტურიზმი იქცეს ტურიზმის წამყვან სახეობად, რაც გაცილებით უფრო დიდი სარგებლის მომტანია ვიდრე ეკონომიკური შემოსავალი. კერძოდ მას შეუძლია შეაჩეროს მიგრაცია მთიდან ბარში და ქვეყანას შეუნარჩუნოს ულამაზესი სოფლები, მათი განსაკუთრებული ტრადიციებით და წეს-ჩვეულებებით.

დროთა განმავლობაში ეკოტურიზმი დაიხვეწა განვითარდა სხვადსახვა მიმართულებით. სწორედ ერთ-ერთი მათგანია ეკოსოფელი ან ეკომუზეუმი, რომელიც მაქსიმალურად იცავს მდგრადი განვითარების პრინციპებს. 1991 წელს რობერტ გილმენმა პირველად ჩამოაყალიბა ეკოსოფლის განმარტება, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში გახდა სტანდარტი. მისი განსაზღვრებით ეკოსოფელი არის:

"ადამიანების სრულფასოვანი დასახლება, რომელშიც ადამიანის ისეა ინტეგრირებული ბუნებასთან, რომ მინიმალურ ზიანს აყენებს მას, რათა ხელი შეუწყოს ჯანმრთელი ადამიანის განვითარებას და წარმატებით განაგრძოს ცხოვრება განუსაზღვრელი ვადით."

კოშა ჯუბერტმა, GEN (Global Eco villages Network) აღმასრულე-ბელმა დირექტორმა, ცოტა ხნის წინ ჩამოაყალიბა ეკო სოფლის ახალი განმარტება, რაც უფრო მეტად ერგება თანამედროვე სტანდარტებს და მდგრადი განვითარების მიზნებს:

„საერთაშორისო; ტრადიციული; ურბანული ან სოფლის დასა-ხლება, რომელიც შეგნებულად არის ჩამოყალიბებული ადგი-ლობრივი მესაკუთრეების აზრის გათვალისწინებით და ჩართულობით, მდგრადობის ოთხივე რგოლზე დაყრდნო-ბით (საზოგადოება, კულტურა, ეკოლოგია და ეკონომიკა), მათი სოციალური და ბუნებრივი გარემოს დაცვისა და შენარჩუნებისთვის."

რაც შეეხება ეკო მუზეუმს, უნდა აღინიშნოს რომ ეს უკანასკნელი თავისი კონცეფციით თითქმის ანალოგიურია ეკო სოფლისა, თუმცა მის განმარტებაში მცირეოდენი ცვლილებაა. ტერმინი ეკო მუზეუმი ევროპის მასშტაბით უფრო მეტად გამოყენებადი და გავრცელებულია.

"ეკო მუზეუმი არის დინამიური გზა, სადაც თემების შენარჩუნება, ინტერპრეტაცია და მართვა მათი მემკვიდრეობისა ხდება მათი მდგრადი განვითარებისთვის. ეკომუზეუმი

იქმნება საზოგადოებასთან შეთანხმებით და ეფუძნება მათ ძირითად მატერიალურ და არამატერიალურ რესურსს."

უფრო მეტად რომ განვავრცოთ აღნიშნული განმარტებები ეკოსოფელი ეს არის ადგილი, სადაც მთავარი რესურსი ადამიანები და მათი ყოფითი ცხოვრებაა. მათ გაცნობიერებული აქვთ გარემო რესურსების მნიშვნელობა და მნიშვნელვნად ცდილობენ ბუნების დაცვას, იყნებენ ენერგოეფექტურ რესურსებს, გარემოსთან მეგობრულ ტექნოლოგიებს და ა.შ მიუხედავად საერთო კონცეფციისა და განმარტბისა ეკოსოფლები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან გმომდინარე მათი გეოგრაფიული და კულტურული მდებარეობისა.

4. GEN – ეკოსოფლების გლობალური კავშირი

იქედან გამომდინარე რომ ეკოსოფლის/ ეკომუზეუმის კონცეფცია საკმაოდ წარმატებული აღნორჩდა მათი რიცხვი სწრაფად გაიზრადა და შეიქმნა ეკოსოფლების გლობალური კავშირი (GEN).

GEN (Global Ecovillage Network) წარმოადგენს გაერთიანებას, რომელიც აერთიანებს ადამიანებს და თემებს, რომლებიც ემსახურებიან მდგრადი განვითარების პრინციპებს. კავშირის წევრები უზიარებენ ერთმანეთს ინფორმაციას და გამოცდილებას, გადასცემენ ერთმანეთს თანამედროვე ტექნოლოგიებს, ავითარებენ კულტურულ და საგანმანათლებლო პროგრამებს.

1991 წელს,Gaia Trust-მა მოაწყო შეხვედრა დანიაში ეკო-თემების წარმომადგენლებთან, რათა განეხილათ სტრატეგიები ეკოსოფლების კონცეფციის შემდგომი განვითარებისთვის. რამაც განაპირობა GEN-ის ჩამოყალიბება. 1994 წელს დაარსდა ეკოლოგიური საინფორმაციო სერვისი, ხოლო 1995 წელს, შოტლანდიაში, სკორონორში ჩატარდა ეკოსოფლების წევრთა პირველი საერთაშორისო კონფერენცია, სახელწოდებით "ეკოსოფლები და მდგრადი საზოგადოებები 21-ე საუკუნეში". მოძრაობა სწრაფად გაიზარდა ამ კონფერენციის შემდეგ.

2001 წლისთვის, GEN მიიღო საკონსულტაციო სტატუსი გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს (ECOSOC) მიერ. GEN-ს არ აქვს რაიმე პროცედურა წევრების ასარჩევად, არამედ შემუშავდა სათემო მდგრადობის შეფასების ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას იძლევა შეფასდეს, თუ რამდენად წარმატებულია კონკრეტული ეკოსოფელი მისი მდგრადობის კონცეფციით.

დღეს GEN შედგება ხუთი გლობალური რეგიონისგან: აფრიკა (GEN Africa), ევროპის (GEN Europe), ლათინური ამერიკა (CASA), ჩრდილოეთ ამერიკა (GENNA) და ოკეანია და აზია (GENOA). და წარმატებით ახორციელებს თავის საქმიანობას, რაშიც ეხმარებიან პარტნიორი ორგანიზაციები მსოფლიოს მასშტაბით.

GEN-ს ასევე ჩამოყალიბებული აქვს დეკლარაცია, სადაც გაწერილია აქვს ყველა ის ძირითადი პრინციპი, რომლის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც შეუძლიათ ამა თუ იმ საზოგადოებებს (ეკო სოფლებს) აქ გაწევრიანება. აღნიშნული პრინციპებს აქვს აგრეთვე ქვეპუნქტები, რომლების გამოყენებაც შესაძლებელია საორიენტაციოდ ამა თუ იმ ეკოსოფლის განვითარებისთვის. სამწუხაროა, რომ ამ დიდ ჩამონათვალში ისეთი რესურსის მქონდე ქვეყანა, როგორიც საქართველოა არსად არ ფიგურირებს. შესაბამისად აღნიშნული იდეა ემსახურება საქართველოს კიდევ ერთ ასპარეზზე წარმოჩენას.

5. ეკოსოფლები მსოფლიოში

დღეს უკვე მსოფლიოს 6 კონტინენტზე, 70-ზე მეტ ქვეყანაში არსებობს მსგავსი დასახლებები და მათი რიცხვი დღითი დღე იზრდება. ჯამში ამჟამად არსებობს დაახლოებით 300 მოქმედი ეკომუზეუმი მსოფლიოში; აქედან დაახლოებით 200 ევროპაში, ძირითადად საფრანგეთში, იტალიაში, ესპანეთში და პოლონეთში.

როგორც ზემოთ არის აღნიშნული მიუხედვად იმისა რომ ისინი საერთო პრინციპებზე დაყრდნობით იქმნება, მკვეთრდა განსხვავდება ერთამანეთისგან, რაც ლოგიკურია იმ გეოგრაფიული არეალის, კულტურული გარემოსი და რესრსების ფონზე რაც ამა თუ იმ ადგილს გააჩნია. შესაბამისად მსოფლიოში უამრავი განსხვავებული ტიპის და პროფილის ეკოსოფელი თუ ეკომუზეუმი არსებობს. ისნი განსხვავდებიან აგრეთვე მასშტაბებითაც.

მაგალითისთვის ინდოეთში პოპულარული არელიგიურ მოტივებზე დაფუძნებული ეკოსოფლები, ევროპაში საგანმანთლებლო დანიშნულების და ა.შ აქვე მოვიყვან რამოდენიმე კონკრეტულ წარმატებულ მაგალითს მსოფლიოდან, რათა უფრო ნათელი გახდეს ეკოსოფლების განვითარების მიზნობრიობა.

- **Munksøgård-ის ეკოსოფელი**, დანიაში არის სოფელი რომელიც ეფუძნება ეკომეგობრულ ტექნოლოგებს და გაწრილი აქვს სამოქმედო გეგმა ყველა ბუნებრივი რესურსის მიზნობრივად მოხმარებისთვის. ამ სოფლის მთავარი ღირებულება სწორედ ენერგო ეფექტურ რესურსებზე დაფუძნებული აგრომეურნეობები და რეკრაციული გარემოა.
- **ისტრია დე დიგნანის ეკო მუზეუმი**, ხორვატიაში, რომლის შექმნის მიზანიც ძველი ისტორიის, არქიტექტურის, წეს-ჩვეულებების შესწავლა და აღდგენა იყო. ძველი საუკუნის დაბრუნება თანამედროვე ეპოქაში და ქალაქში. დაგემოვნების, ტურების, კულტურული ივენთების, პრაქტიკული პრეზენტაციების, ვორქშოფების, სასწავლო ვიზიტების და აქტიური სოფლის ცხოვრებაში ჩართულობის ორგანიზებით.
- **Bosque ეკოსოფელი**, მექსიკაში რომელიც ჩამოყალიბებულია მდგრადი განვითარების ლაბორატორიად. ადამიანების შესვლა ხდება ლიმიტირებულად და წინასწარი რეგისტრაციით, იქედან გამომდინარე თუ რამდენად სურთ მათ იმ საგანმანათლებლო პროგრამებში ჩაბმა რაც ადგილზეა თავმოყრილი. შესაბამისად ამ სოფლის შექმნის მიზანი მხოლოდ საგანმანთლებლო ჭრილით შემოიფარგლება.

ჩამონათვალი დიდ და ვრცელია. ეკოსოფლები წარმატებით ფუნქციონირებს ისეთ ადგილებზეც კი სადაც თითქოს არაფერი ღირებული არ არსებობდა, თუმცა სწორი მენეჯმენტის საფუძველზე შექმნეს ის ღირებულება რასაც ეკოსოფელი ჰქვია და რაც საკმაოდ კარგად იყიდება თანამედროვე ტურიზმის ბაზრზე.

6. ეკოსოფლები საქართველოში

ეკოსოფლები და მსგავსი ტიპის ტურისტული ადგილების მოწყობა ჩვენი ქვეყნისთვის და განსაკუთრებით მთის რეგიონისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. რადგან იქ სადაც არ არის გზა და მოსახლეობა წლის დიდი ნაწილი მოწყვეტილია ცივილიზაციას, რთულია ცხოვრება, შესაბამისად მაღალია მიგრაციის მაჩვენებლი. რაც ავტომატურად ნიშნავს ამ სოფლებისთვის დამახასიათებელი წეს-ჩვეულებების და ყოფითი ცხოვრების

მნიშვნელოვანი დეტალების გაქრობას. ზოგადად ტურიზმი იქცა ბოლო წლების ერთ-ერთ ან ერთადერთ "ნათელ წერტილად" მთის ხალხისთვის, თუმცა პრობლემა მხოლოდ უგზოობაში არაა, პრობლემა ისიცაა რომ ადამიანებს არ აქვთ შესაბამისი მატერიალური და ადამიანური რესურსი რაიმეს შექმნისთვის და ყველაზე მნიშვნელოვანი არ აქვთ ცოდნა. შესაბამისად მნიშვნელოვანია სახელმწიფოს დახმარება, როგორც ცოდნის მიწოდების ისე მატერიალური კუთხით.

რადგანაც საქართველო ასეთი მნიშვნელოვანი გამოწვევებისა და პრობლემების წინაშე დგას, კარგი იქნება მსოფლიოში აპრობირებული პრაქტიკა ჩვენთანაც დაინერგოს და ეკოსოფლების განვითარება დავიწყოთ. მითუმეტეს რომ ჩვენს

ქვეყნას დიდი აუთვისებელი რესურსი გააჩნია, რომ უმრავი ერთმანეთისგან აბსოლიტურად განსხვავებული და საინტერესო ეკოსოფელი შეიქმნას და წარმოვაჩინოთ ჩვენი მრავალფეროვანი კულტურა და გარემო, რაც ზემოთ აღნიშნულის მოგვარების გარდა, აგრეთვე გადაანაწილებს ტურისტულ ნაკადებს და ჭარბი ტურიზმის პრობლემა ნაკლებად იქტუალური იქნება.

აქვე უნდა აღინიშნოს რომ უკვე დაწყებულია მსგავის ტიპის მოდელის შექმნა საქართველოში, რაც პოზიტიური პროგნოზის საშუალებას იძლევა. მაგ. **მაჭახელა**, სადაც შექმნილია კლასტერული სიტემა ტურიზმის სერვისის მიმწოდებლებისა: სადეგუსტაციო სივრცე, ღვინის მარანი, რეწვის სახელოსნოები და ა.შ ასევე საფეხნავლო მარშუტების სისტემა მაჭახელის დაცულ ტერიტორიებზე, მაგრამ ეკოსოფლის სტატუსი არც ამ და არც სხვა ადგილს ჯერ არ აქვს საქართველოში, ვინაიდან ეკომეგობრული ტექნოლოგიები საკმაოდ ძვირია და მათი არსებობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმია ამ სტატუსის მისაღებად, გარდა ამისა ჯერ კიდევ ბევრი რამ დასახვეწია მომსახურების კუთხითაც.

კიდევ ერთი განსაკუთრებული პოტენციალის მქონე ადგილია შატილი, სადაც აბსოლიტურად განსხვავებული არქიტექტურა, ბუნებრივი ლანდშაფტი და წეს-ჩვეულებებია. საწყის ეტაპზე შატილის განვითრებისთვის შეგვიძლია მაგალითი ავიღოთ მაჭახელადან. მართალია **შატილი** საკმაოდ პოპულარული ადგილია, თუმცა მას დაკარგული აქვს ის ფუნქციური ღირებულება რაც ჰქონდა, სწორი ინტერპრეტაციის შედეგად შესაძლებელია ეს ყოველივე აღდგეს. მაგალითად ერთ კოშკში მოეწყოს ლუდის სივრცე, მეორეში - ხევსური ქალის ხელსაქმის, მესამეში - საომარი იარაღის კეთების და ა.შ. ეს ყოველივე დაემსგავსება დროში მოგზაურობას და გაცილებით მეტ ინტერესს გამოიწვევს, რაც ავტომატურად გზარდის ეკონომიკურ სარგებელსაც.

თუკი მსოფლიო რეალობას გადავხედავთ თითქმის ყველა ქართულ სოფელში შეიძლება მსგავსი ტიპის მოდელის შექმნა, იქნება ეს ისეთი ისტორიის მქონე სოფელი, როგორიც შატილია თუ ერთი შეხედვით უბრალო სოფელი. ამიტომ კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვან. **სოფ.ჭაშა**, რომელიც შესაძლოა წარმოვაჩინოთ როგორც ორი განსხვავებული ეთნოსის (ქართველები და ოსები) მშვიდობიანი თანაცხოვრების ადგილად, იმ კონფლიქტური გარემოს ფონზე, რის გამოც დღეს, ამ სოფლიდან სულ რაღაც 2კმ-ში ოკუპირებული ტერიტორიაა, რაც უფრო დიდ ნიშვნელობას სძენს მას. ამ თანაცხოვრებამ და სოფლის გეოგრაფიულმა მდებარეობამ (მთის და ბარის გასაყარი) რა თქმა უნდა იმოქმედა ყოფით ცხოვრების ყველა დეტალზე. იქნება ეს სამეურნეო საქმიანობა, სამზარეულო, ტრადიციული დღესასწაულები თუ ა.შ

ასე რომ შეგვიძლია ეს სოფელი ვაქციოთ ეკოსოფლად, რომელიც საინტერესო იქნება კულტურული სიმბიოზმის კუთხით. უფრო ნათლად რომ წარმოვიდგინოთ: შესაძლებელია გაკეთდეს ღვინის მარანები, ხელსაქმის, კერძოდ მატყლის ძველი მეთოდით დამუშავების სივრცეები, გაქირავების ობიექტები (ცხენი, ველოსიპედი), მოეწყოს აგროტურისტული მეურნეობები, საგანმანათლებლო სივრცეები ბავშვებისთვის და არა მხოლოდ ბავშვებისთის, სოფლის ცხოვრების გასაცნობად. აღნიშნული სოფელი საკმაოდ ახლოს მდებარეობს ქ. თბილისთან და მსგავსი ტიპის აქტივობები პოპულარული იქნება ქართველი მომხმარებლისთვისაც, იქნება ეს მცირე სასკოლო ექსკურისები თუ ოჯახური დასვენება შაბათ-კვირა.

ეს მხოლოდ მცირე მონახაზია. შესაძლო აქტივობების და სერვისების, შესაძლებლობები გაცილებით დიდია და განსახორციელებლად მხოლოდ კაპიტალს საჭიროებს.

აქვე უნდა აღინიშნოს რომ მნიშვნელოვანია ეკომეგობრული ტექნოლოგიების დანერგვა: მზის პანელები, სეპტიკური ავზები, ნარჩენების გადამუშავების და გამოყენების სისტემა და ა.შ.

7. დასკვნა

დასკვნის სახით შეგვიძლია შევაჯამოთ და ვთქვათ რომ აღნიშნული მოდელების განვითარებას უამრავი პრობლემის გადაჭრა შეუძლია: მიგრაციის შეჩერება, სოფლის მეურნეობის განვითარება, ბუნების დაცვა (ტყის ჭრის მაგიერ მის დაცვას შეეცდებიან), თემის განვითარება, როგორც ეკონომიკური ისე მენტალური თვალსაზრისით, ქართული ადათ-წესების შენარჩუნება და აღდგენა, გასტრონომიული ტურიზმის გაძლიერება, ჩვენი ქვეყნის ახალ, საერთაშორისო ასპარეზზე გამოჩენა და ა.შ.

მოსახელობის მზაობაც ძირითად შემთხვევში საკმაოდ მაღალია, რადგან იციან ტურიზმის დადებითი ეფექტების შესახებ ქვეყნის სხვა რეგიონებში, საჭიროა მხოლოდ ფინანსური რესურსი, რომელიც სამწუხაროდ არ გააჩნია სოფლად, ხშირად სიდუხჭირეში მცხოვრებთ. ამ ნაშრომის დაწერის მიზანი კი სწორედ მისი საჭირო ადრესატამდე მიტანა იყო, რომელიც დაიწყებს ამ პროცესების განვითარებას და დაეხმარება ხალხს უკეთესი მომავლის შექმნაში. ძლიერი თემი ძლიერი ქვეყნის საწინდარია.

გამოყენებული ლიტერატურა:

- http://www2.unwto.org/press-release/2019-01-21/international-tourist-arrivals-re ach-14-billion-two-years-ahead-forecasts
- https://ecovillage.org/
- http://ecomuseo.comune.parabiago.mi.it/ecomuseo/risorse/icom2016/davis.pdf
- http://www.munksoegaard.dk/
- https://www.istrian.org/en/
- http://bosquevillage.com/en/
- https://gnta.ge/ge/publications/
- http://ecotourism.ge/library/31644034.pdf
- https://ecotourism.org/what-is-ecotourism/
- https://www.un.org/sustainabledevelopment/sustainable-development-goals

მთიანი სამეგრელოს ტურისტული პოტენციალი

ავტორი: **ქეთევან კვანტალიანი**
კავკასიის უნივერსიტეტი
ხელმძღვანელი: **თეიმურაზ ხუციშვილი**

საქართველოს საკმაოდ დამაიმედებელი ტურისტული პოტენციალი აქვს ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით, რაც გლობალური ტურისტული ბაზრისთვის ძალიან მიმზიდველია. ტურიზმის განვითარება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწორად არის შემუშავებული დარგის განვითარების სტრატეგია საწყის ეტაპზე.

საქართველოს ბევრ კუთხეში სავსებით შესაძლებელია ტურიზმის განვითარება და მსოფლიო დონის ტურისტულ პროდუქტად გარდაქმნა. მაგალითად, სამეგრელოს მხარეს, ტურიზმის განვითარების დიდი პერსპექტივა აქვს. ეს განპირობებულია მდიდარი და უნიკალური კულტურული მემკვიდრეობითა და წარსულით. სამეგრელო მდებარეობს კოლხეთის დაბლობზე, მას აღმოსავლეთით იმერეთი ესაზღვრება, სამხრეთით - გურია, დასავლეთით - შავი ზღვა, ჩრდილოეთით - სვანეთი, ჩრდილო-აღმოსავლეთით - რაჭა-ლეჩხუმი, ხოლო ჩრდილო-დასავლეთით აფხაზეთი. სამეგრელოში ვხვდებით დასავლეთ საქართველოსათვის დამახასიათებელ ყველა სახის ლანდშაფტს: კოლხეთის ტენიანი სუბტროპიკული, კოლხური მთის ტყის, კავკასიის საშუალო მთის, მუქწიწვოვანი ტყის და მაღალი მთის სუბალპური და ალპური ლანდშაფტები, როგორიცაა, მაგალითად, ასხის მასივი, შხარა და სხვა.

სამეგრელოს აქვს შესაძლებლობა და რესურსი, რომელიც ხელს შეუწყობს კუთხის ტურისტული პოტენციალის განვითარებას. კონკრეტულად კი ეს გულისხმობს სამეგრელოს მთიანი ადგილების ფართო ასპარეზზე გამოჩენას და ბაზრის მოთხოვნებზე დაყრდნობით არსებული პროდუქტის განვითარებისთვის სტრატეგიული ნაბიჯების დაგეგმვას. მაგალითად, განვიხილოთ ისეთი ადგილები, სადაც სავსებით შესაძლებელია ტურიზმის განვითარება. ასეთია, მაგალითად,ლებარდე.

ლებარდე მარტვილიდან დაახლოებით 55 კმ-ის დაშორებით, მდინარე ტეხურის მარცხენა შენაკადის, ლებარდეს ულამაზეს ხეობაში, ზღ.დ. 1500-1800მ. სიმაღლეზე მდებარეობს. პირველ მწყემსს, რომელსაც ეს კურორტი აღმოუჩენია ,აქ ბარდნარი დახვედრია და ლებარდე, ე.ი. „ბარდნარი" უწოდებია. ლებარდე თავისი მაღალი მთის ჰაერით და მინერალური წყლებით ეფექტურად მოქმედებს სუნთქვის ორგანოებისა და სასუნთქი გზების დაავადებებზე, საჭმლის მომნელებელი ორგანოების - კუჭ-ნაწლავის, ღვიძლის, ნაღვლის და საშარდე სისტემის ქრონიკული ანთების, ნერვულ დაავადებათა დროს და მისი საშუალებით 12 დაავადების განკურნებაა შესაძლებელი. მინერალური წყალი მიეკუთვნება ნახშირმჟავა-ჰიდროკარბონატურ-ნატრიუმ-კალციუმ-რკინიან წყლებს. XX საუკუნის 40-იან წლებში, მიუხედავად იმისა, რომ კურორტზე მისასვლელი გზა ტეხურის ციცაბო ხეობას მიუყვებოდა და საშიში იყო, სეზონზე დამსვენებელთა რიცხი რამდენიმე ათასს აღწევდა. თავდაპირველად, სამკურნალოდ და გასაჯანსაღებლად ჩასული მოაგარაკენი პატარა თავშესაფრებში - კარვებსა და მოწნულ სახლებში ცხოვრობდნენ. 1948-1950 წლებში, საავტომობილო გზის გაყვანის შემდეგ აქ სამკურნალო დაწესებულებები და დასასვენებელი სახლები აშენდა. 1980-იან წლებში მინერალური წყლის მინის ბოთლებში ჩამოსხმაც დაიწყო, თუმცა, 1990-იან წლებში განვითარებული პოლიტიკური მოვლენების გამო აქ საკურორტო ინფრასტრუქტურა მოიშალა. ლებარდიდან 4 კმ-ში მდინარე ლებარდე ტეხურს უერთდება. ტეხური სათავეს 2400 მ სიმაღლეზე, ეგრისის ქედის სამხრეთ კალთაზე, მწვერვალ ტეხურიშდუდთან ანუ ტეხურისთავთან იღებს. მისი კალაპოტი ულამაზესი კლდოვანი კანიონებითა და ქვაბულების სიუხვით გამოირჩევა, რაც იდეალურ პირობებს უქმნის ჯომარდობის მოყვარულებს.

ლებარდიდან 30 კმ-ის დაშორებით მდებარეობს მაღალმთიანი სამკურნალო ადგილი ჩეგოლა (თეთრი მთა), საიდანაც გამოდის 3 სახის მინერალური წყალი, მათ შორის - წყაროები „შაბისწყალის" სახელწოდებით და ნარზანის ტიპის მინერალური წყალი. ამ წყალს იყენებდნენ კუჭ-ნაწლავის, კანის, ნერვულის სისტემის და სახსრის ტკივილებით დაავადებულთთა სამკურნალოდ. იგი ოთხივე სეზონის კურორტია. შესაძლებელია, სათხილამურო ტრასის მოწყობა, აქვეა ალპური ზონაც, რომელიც ეკოტურიზმის განვითარებასაც შეუწყობს ხელს. ლებარდე და თეთრი მთა, მნიშვნელოვანი იყო ასთმით დაავადებულთათვის და მათვის, ვისაც ჰქონდა ფილტვების პრობლემა და თუ ვინმეს, მართლაც გამოუცდია ეს ყოველივე, მხოლოდ უფროსი თაობაა. თეთრი მთა განსაკუთრებულია იმითაც, რომ აქ ხარობს ისეთი იშვიათი ხეები, რომლებიც წითელ წიგნშია შეტანილი. ასევე ეს მთა გამოირჩევა ცხოველების მრავალფეროვნებით, ფაქტობრივად, ერთადერთი მთაა მთელ დასავლეთ საქართველოში, სადაც ბინადრობს დათვი. აგრეთვე ლებარდეს ჩრდილო-აღმოსავლეთ ზონაში 100-150 მეტრით მაღლა მდებარეობს ჩამჰონი, რომელიც არის მეგრული სახელწოდების და ითარგმნება როგორც ნეკერჩხალი. იგი თავისი დეკორატიულობით კიდევ უფრო ალამაზებს იქაურობას. ადრე, იქ ფუნქციონირებდა კლიმატური სადგური. აგრეთვე ლებარდიდან 15კილომეტრში, ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს, კემლაკესარი რომელიც მდიდარია ლებარდეს მინერალური წყალის მსგავსი წყაროთი.

მიუხედავად ასეთი დიდი პოტენციალისა ამჟამად, ბალნეოლო-გიური კურორტი ლებარდე არ ფუნქციონირებს და დაკარგულია ის ტურისტული პროდუქტი, რომელიც შეიძლება ერთ-ერთი წამყვანი ადგილი გახდეს გამაჯანსაღებელ ტურიზმში იქ არსებული მინერალური წყლებისა და კლიმატის დახმარებით. დასასვენებელი სეზონი ივნისიდან სექტემბრამდე გრძელდებოდა. ლებარდე საბჭოთა პერიოდში ძალზე დიდი პოპულარობით

სარგებლობდა რეგიონის მოსახლეობაში და სეზონზე მას საკმაო რაოდენობის დამსვენებელიც სტუმრობდა. ამჟამად, ლებარდე მხოლოდ საკურორტო ადგილია, რადგან აქ აღარ არსებობს კურორტის ფუნქციონირებისთვის საჭირო ელემენტარული ინფრასტრუქტურა. დაზიანებულია სოფელ დობერაზენიდან მიმავალი ერთადერთი საავტომობილო გზა, რამდენიმე ადგილას მდინარეს წაღებული აქვს ხიდი. თავად ლებარდეშიც მხოლოდ რამდენიმე ძველი ხის შენობაა შემორჩენილი, რომელსაც ზაფხულობით მცირე რაოდენობით დამსვენებელი სტუმრობს. ლებარდეს, როგორც კურორტის, სრულფასოვნად აღდგენისთვის მნიშვნელოვანი ინვესტიციის განხორციელებაა საჭირო. დღეს დამსვენებლებს უწევთ ფეხით დიდი მანძილის გავლა, მიდიან საკუთარი კარვებით და ღამეს საშიშ და სიცოცხლისთვის სახიფათო ადგილას ათევენ. ამიტომ აუცილებელია, სათანადო ყურადღება მიექცეს ამ უნიკალურ ადგილს, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო ბალნეოლოგიური კურორტი იყო საქართველოში და კვლავ მოხდეს მისი აღდგენა-განახლება. პირველ რიგში მნიშნელოვანია სწორი მარკეტინგული გეგმის შემუშავება, რომელიც მოიცავს მარკეტინგული გადწყვეტილებების მიღებას:

- აუცილებელია, მოწესრიგდეს ინფრასტრუქტურა, რაც დიდ ფინანსურ ხარჯებთან იქნება დაავშირებული;
- აგრეთვე კურორტის განვითარების საწყის ეტაპზე მნიშვნელოვანია განთავსების საშალებების კეთილმოწყობა, როგორიც არის, მაგალითად, საოჯახო ტიპის სასტუმრო;
- კვების თვალსაზრისით საჭიროა კონტაქტების დამყარება რესტორნებთან და ასევე სხვა ტიპის კვების ობიექტებთანაც.
- აგრეთვე მნიშვნელოვანია, გაითვალისწინონ უსაფრთხოების ფაქტორები, რაც ტურისტისთის ზოგადად დიდ პრობლემას წარმოადგენს;
- შემუშავდეს კარგი პრომოუშენის სტრატეგია, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ ღონისძიებებს: რეკლამირება, ბეჭდვა, სარეკლამო ბანერების განთავსება ქუჩებსა თუ სხვადასხვა სოციალურ ქსელებში, როგორებიცაა, მაგალითად, Facebook, Instagram, Twitter...
- რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, კურორტის განვითარება ხელს შეუწყობს ადგილობრივ მოსახლეობის დასაქმებას;
- პროექტის განხორციელებისათვის კი აუცილებელია ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მხარდაჭერა.

ამრიგად, კურორტ ლებარდეს მართლაც განვითარების დიდი პოტენციალი აქვს. სოფელი ბალდა ულამაზესი და საინტერესოა მისი ბუნების მშვენიერებით, მდიდარია ისტორიული ძეგლებით. მისი მიდამოები მოიცავს ასხის კირქვული მასივის სამხრეთ-დასავლურ ნაწილს. მდებარეობს მარტვილიდან 10 კილომეტრში. აგრეთვე აღსანიშნავია ბალდის ორი ულამაზესი ჩანჩქერიც, ტობა პირველის მღვიმისა და მისგან გადმომავალი ონიორეს ჩანჩქერის ერთობლიობა, რომელიც იშვიათ და ულამაზეს სანახაობას ქმნის. ბუნების ძეგლების კომპლექსი წარმოადგენს არსენ ოქროჯანაშვილის (ტობა II) მღვიმისა და მისგან გადმომავალი ტობას კასკადოვანი ჩანჩქერის ერთობლიობას. ტობას ჩანჩქერები დასავლეთ საქართველოში, მარტვილის მუნიციპალიტეტში, მდებარეობს ასხის კირქვული მასივის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. აბსოლუტური სიმაღლე 600-800 მ. მდინარე აბაშის მარცხენა შენაკადის - ტობის სათავის მიდამოებში მღვიმე ძნელად მისადგომია და სპეციალური აღჭურვილობის გარეშე იქ ასვლა არ არის რეკომენდირებული, ხოლო შიგნით სამოგზაუროდ საჭიროა რეზინის ნავი. მრავალგანშტოებიან მღვიმეში რამდენიმე დარბაზია. მათ შორის გამოირჩევა: „ნონას დარბაზი“, „ნანას დარბაზი“, „სალონი“, „უნივერსიტეტი 50“, „ტბიანი“ და სხვა დარბაზები. ქიმიური ნალექები მრავალფეროვანი ფორმებით არის წარმოდგენილი. ერთ-ერთი სტალაგმიტის სიმაღლე 7 მ აღწევს. მღვიმის ჯამური სიგრძე 1300 მ-ია. მღვიმიდან გამომავალი მდინარე, რომელიც მიწისქვეშ 4 ტბას აჩენს, წარმოქნის 234 მ სიმაღლის, (საქართველოში ყველაზე მაღალი) ტობის კასკადურ ჩანჩქერს. მღვიმე ტობა I-ის ნაკადიც წარმოშობს ეფექტურ ჩანჩქერს. თვით ამ მღვიმის შიგნით წყალი ერთგან 21 მ სიმაღლიდან ვარდება. ამავე მღვიმეში ოთხი ტბაა. აქაური ჩანჩქერები და მღვიმეები ქმნიან საინტერესო და პერსპექტიულ ტურისტულ კომპლექსს. მისასვლელი გზა იწყება მარტვილიდან 14 კილომეტრიანი საავტომობილო გზით სოფელ მეორე ბალდამდე, შემდეგ ფეხით 4 კილომეტრი მდინარე ტობის სათავის ქარაფის ძირამდე. იგი წარმოადგენს ბუნების ძეგლების უნიკალურ კომპლექსს. ტობის ჩანჩქერები შეტანილია საქართველოს „წითელ წიგნში“.

ტურისტული თვალსაზრისით აგრეთვე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ონიორეს ჩანჩქერსაც, რომელიც გამოირჩევა თავისი სილამაზით, იგი მდებარეობს სოფელ ბალდაში და გამოედინება ტობა I-ის მღვიმიდან.

გამოსარჩევია აგრეთვე ოჩხომურის ჩანჩერის ბუნების ძეგლი, რომელიც მიგარიას კირქვული მასივის სამხრეთ ნაწილში, მდინარე ოჩხომურის სათავეებში მდებარეობს. სამსაფეხურიანი კასკადის სიმაღლე 100-120 მ-ია. ჩანჩქერის თითოეული საფეხური დაცემისას ძირში პატარ-პატარა ტბებს ივითარებს. ჩანჩქერის გარშემო არსებული ტენიანობა იწვევს მის მიმდებარე ტერიტორიებზე თავისებური ფლორისა და ფაუნის ჩამოყალიბებას. აქ მრავლადაა სხვადასხვა იშვიათი, ენდემური თუ რელიქტური სახეობა, აგრეთვე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ბზის კორომებს.

აქედან გამომდინარე, მარტვილის ეს უნიკალური ბუნების ძეგლების კომპლექსი-ბალდის კანიონი, ონიორეს ჩანჩქერი, ტობას მღვიმე და ჩანჩქერი, არსენ ოქროჯანაშვილის მღვიმის ბუნების ძეგლი, ოჩხომურის ჩანჩქერი და კიდევ ბევრ მსგავს ადგილებს, დიდი ყურადღება და გაფრთხილება სჭირდება. სამეგრელოს ბუნების ძეგლების ამ არასრულ ჩამონათვალს დიდი პოტენციალი აქვს ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით.

არესბულ თემასთან დაკავშირებით ჩავატარე მცირედი კვლევა მარტვილის რაიონში გამოვკითხე 100 ადამიანი აქედან 50 იყო შუა ხნის, 35 დან 50 წლამდე, ხოლო დანარჩენი 20 დან 35 წლამდე. რესპონდენტებს ვკითხე, ა) რამდენად ცნობილი იყო მათთვის სოფელ ბალდაში მდებარე ჩანჩქერები; ბ) ვთხოვე

დაესახელებინათ მათი სახელწოდებები; გ) რა იცოდნენ კურორტ ლებარდეზე. შედეგები ასე გადანაწილდა: შუა ხნის ადამიანთა 70%-მა სამწუხაროდ, სრულად ვერ შეძლო ჩამოეთვალა მარტვილში არსებული ჩანჩქერები, თუმცა საკმაოდ ბევრი ინფორმაცია ჰქონდათ ლებარდეზე და მათი უმრავლესობა ძველად ფუნქციონირებადი კურორტის ხშირი სტუმარი იყო, ხოლო მეორე ასაკის კატეგორიაში უფრო კარგი შედეგი დაიდო იმ მხრივ, რომ თითქმის 90%-მა შეძლო სოფელი ბალდის ჩანჩქერების დასახელება და უმრავლესობამ დასძინა, რომ ნამყოფიც კი იყო იმ ადგილებში, თუმცა, ძალიან მწირი ინფორმაცია ჰქონდათ ლებარდეზე და მის დანიშნულებაზე. ამ გამოკითხვამ საბოლოო ჯამში აჩვენა, რომ მეტ-ნაკლებად გარკვეული ცნობა არის ადგილობრივ მოსახლეობაში, მაგრამ უფრო სასურველი იქნება, თუ მოსახლეობას საკუთარ კუთხეში არსებულ კულტურულ და უნიკალურ რესურსებზე უფრო მეტი ეცოდინება. ეს ეხება არამარტო სამეგრელოს, არამედ ნებისიმიერ სხვა კუთხეს. აუცილებელია, თითოეულ ჩვენგანს გარკვეული ცოდნა ჰქონდეს საკუთარ ქვეყანაში არსებულ ბუნებრივ რესურსებზე, რომელიც სავსებით შესაძლებელია ტურისტული თალსაზრისით ძლიერ განვითარდეს არამარტო საქართველოში, არამედ გაგვაჩნდეს იმის მოტივაციაც, რომ ჩვენი ქვეყანა კიდევ უფრო სიღრმისეულად გაიცნოს მთელმა მსოფლიომ.

- აუცილებელია, ზემოთ ჩამოთვლილ ჩანჩქერებს მიექცეს ყურადღება და შემუშავდეს სწორი მარკეტინგული გეგმა, მსგავსად კურორტ ლებარდისა.
- ჩანჩქერების განვითარების საწყისი ეტაპისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯია ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა, ამ მხრივ არ არის მოწესრიგებული საავტომობილო და ფეხით სავალი გზა. ეს არის სწორედ ის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რომელიც აბრკოლებს ზემოთ ჩამოთვლილი ჩანჩქერების ცნობადობას.
- ამავდროულად აუცილებელია მათი მარკირება, რადგან ტურისტებს ყოველთის ადგილობრივი მოსახლეობის დახმარება სჭირდებათ ჩანჩქერებზე მისასვლელად.
- აგრეთვე სასურველი იქნება, თუ გადამზადდება ადგილობრივი გიდები და შეიქმნება უსაფრთხო გარემო-პირობები.
- ზემოთხსენებული ფაქტორები არის ის საწყისი ნაბიჯები, რომლებიც ტურისტული თვალსაზრისით განავითარებს ზემოთხსენებულ ადგილებს და მსგავსად მარტვილის კანიონისა, გახდება სამეგრელოში ტურისტის ჩამოსვლის ერთ-ერთი მიზანი.

საქართველოს მრავალრიცხოვან კარსტულ მასივებს შორის ასხის მასივს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. იგი მდებარეობს ცხენისწყალსა და ტეხურას შორის. აქ აღმოჩენილ ასხის სუბალპური მთის მასივის კალთებს ზღვის დონიდან 1800 მეტრამდე წიწვოვანინი ტყე ფარავს. მისი გლუვზედაპირიანი ბორცვები გამოყენებულია საზაფხულო საძოვრებად. მათგან უმაღლესი ბორცვის — ლეხის სიმაღლე 2449 მეტრია. მასივის ეს ნაწილი ივნისის პირველ დეკადამდე დაფარულია თოვლით და თავისი ბუნებრივი პირობებით არ ჩამოუვარდება გუდაურსა და ბაკურიანს, სადაც შესაძლებელია სათხილამურო ტრასების მოწყობა, რომელიც დიდ ფინანსურ სახსრებთან არის დაკავშირებული. პირველ რიგში, უნდა ჩატარდეს კვლევა სათხილამურო ტრასის კეთილმოწყობის მიზნით, დადებითი პასუხის შემთხვევაში კი შემუშავდეს სწორი სტრატეგიული გეგმა.

ასხის მთა სპელეოლოგიური თვალსაზრისითაც ძალიან პერსპექტიულია. იგი მდიდარია კასტრული მღვიმეებით. მდინარე ტობის აუზში 17-მდე კარსტული მღვიმეა აღმოჩენილი, სადაც მრავლადაა სტალაქტიდები, ბუნებრივი სვეტები. ზოგიერთი მღვიმის ფსკერზე გაედინება მიწისქვეშა წყლების ნაკადი, რომლებიც მიწის ზევით ულამაზეს ჩანჩქერებად გვევლინება. მღვიმეები ერთმანეთთან დაკავშირებულია გვირაბების რთული სისტემით და მისი სავარაუდო სიგრძე 15 კილომეტრს აღწევს. შესწავლილია სამოცდაათზე მეტი მღვიმე, შახტი და უფსკრული. ასხის მასივიდან სათავეს იღებს მდინარე ოკაცე, რომლიც იმერეთში ყველაზე მაღალ, 70 მეტრი სიმაღლის წყალვარდნილს ქმნის და კინჩხის ტაფობში ეშვება. სოფელ ზემო გორდის მიდამოებში მდინარე აჩენს ბუნების საოცარ ძეგლს - 2-კილომეტრიან კანიონს, რომლის ფსკერზე ბუნებრივი ხიდები, მღვიმეები და ვოკლუზებია განლაგებული. ასხის მასივი თავისი ბუნებრივი პირობებით არ ჩამოუვარდება გუდაურსა და ბაკურიანს.

სამეგრელო აგრეთვე გამოირჩევა მღვიმეების სიმრავლით, რომლებიც დღეს ნაკლებად ცნობილია ტურისტებისთვის და ვფიქრობ, რომ ამ უნიკალურ ადგილებს აქვს შესაძლებლობა და კარგი განვითარების პერსპექტივა. ესენია, მაგალითად, მოთენას მღვიმე, ჯორწყუს მღვიმე, ტობა მეორეს მღვიმე და კიდევ ბევრი სხვა..

მოთენას მღვიმის ბუნების ძეგლი ასხის მასივზეა, ტაბაკელას ქედის ჩრდილო-დასავლეთის ფერდობზე, მდინარე აბაშის ხეობის მარცხენა მხარეს, ეოცენური ასაკის შრეებრივ კირქვებში. ორსართულიანი მღვიმე, რომელიც გაედინება მუდმივმოქმედი წყლის ნაკადი მდინარე აბაშას უერთება. მღვიმის წინა ნაწილი ჩამონგრეულია და ღია ხეობას წარმოადგენს. აქვე ამოყვანილია ქვითკირის კედელი, რომელზეც დატანილია სათოფურები. მღვიმე ორი დიდი დარბაზისაგან შედგება. პირველი დარბაზის სიგრძეა 30 მ, სიმაღლე — 24-25 მ. მღვიმის ჯამური სიგრძეა 75 მ. რომლებიც ერთმანეთს ვიწრო, მაგრამ მაღალი გასასვლელებით უკავშირდებიან. ბოლო დარბაზის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში 10 მ საფეხურია, რომლითაც მღვიმის მეორე სართულზე შეიძლება მოხვედრა. აქ მრავლადაა სტალაქტიტები, სტალაგმიტები, ტრავერტის კასკადები, გურები, ფარდები, ასევე დიდი ზომის ლოდები, გამოფიტვის ადგილობრივი მასალა და სხვ. აგრეთვე გაედინება მცირე მდინარე. იქვეა ისტორიული დროის ნაგებობა, რომელიც შუა საუკუნეებში გამოყენებული იყო ციხე-სიმაგრედ. მღვიმე ადვილი გასავლელია.

მოთენას მღვიმეს არ ჩამოუარდება აგრეთვე ჯორწყუს მღვიმეც, ბუნების ძეგლი წარმოადგენს ასხის კირქვულ მასივზე ზედაცარცული (ტურონ-დანიური) ასაკის თხელ შრეებრივ

კირქვებში, შრეთა დახრის საწინააღმდეგოდ გამომუშავებულ ორასართულიან მღვიმეს, რომელიც იწყება ვრცელი შესასვლელი დარბაზით. მღვიმე ორსართულიანია, რომელსაც 4-5 მ სიგანისა და 3-5 მ სიმაღლის დერეფანი აქვს. შესასვლელიდან 100 მ-ის დაშორებით ორ განშტოებას განავითარებს. ძირითადი მაგისტრალი მეანდრულია. ის ბოლოში მოზრდილ დარბაზში გადადის, რომლის კედელზეც მღვიმის 30 მ. სიგრძის მეორე სართული იხსნება. მღვიმის მთელ სიგრძეზე აღინიშნება მღვიმური ნალექები, მათ შორის სჭარბობს სტალაქტიტები, სტალაგმიტები კი იშვიათია. მდიდარია პლასტიკური თიხის, 3,5 — 4 მ სისქის ნაფენებით. ჰაერის ტემპერატურა მღვიმის შესასვლელში 18° C-ია, 100 მ-ის სიგრძეზე — 11,6°C, ბოლოში კი - 11,5°C. მღვიმეში გაედინება 4-5 ლ/წმ დებიტის მქონე ნაკადი, რომელსაც აღმოსავლეთ განშტოებასთან უერთდება მეორე ნაკადი. მიწისქვეშ 15 მეტრის გავლის შემდეგ იგი მდინარე ჯორწყუს ხეობის მარცხენა მხარეს წყაროს სახით გამოდის. მღვიმე პალეოლითური ადამიანის სადგომს წარმოადგენს. ნაპოვნია მღვიმური დათვის, ფოცხვერის, დომბის და სხვა ცხოველთა ძვლები.

ტობის მეორე მღვიმე (ზ.დ. 750 მ) გამომუშავებულია ზედაცარცულ შრეებიან კირქვებში. მღვიმე იწყება 5 მ სიგანისა და 5 მ სიმაღლის შესასვლელით, რომელიც გადადის გუმბათოვან დარბაზში. აქედან იგი სწორხაზოვნად ვრცელდება ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ.მღვიმე მოიცავს სამ განშტოებას. ძირითადი განშტოება შედგება სამი დარბაზისაგან, რომელთაგან ყველაზე დიდია მეორე. მღვიმის ჯამური სიგრძეა 235 მ. ქიმიური ნალექებიდან შეინიშნება სანთლისებური სტალაგმიტები, ფარდები და მიკროსტალაქტიდები; მექანიკურიდან — ლოდები და თიხის ნაფენები. იგი დინამიურია. ჰაერის ტემპერატურა 12 გრადუსია. მღვიმიდან გამოედინება წყლის უხვი ნაკადი, რომელიც ზედაპირზე წარმოქმნის ონიორეს ჩანჩქერს (80-85 მ). მღვიმური ნაკადი შუა ნაწილში განავითარებს ელიფსურ ფორმას , ხოლო სათავეში — სიფონურ ტბას. წყლის ტემპერატურა 10.2 გრადუსს, ხოლო დებიტი — 42 ლ/წმ-ს შეადგენს. მღვიმე ძნელად მისავალია. ჩანჩქერის ძირთან ახლოს არის ბზის უნიკალური კოროში.

- ზემოთ ჩამოთვლილი მღვიმეები ქმნის დიდ ტურისტულ პროდუქტს სპელეოტურიზმის განვითარების კუთხით;
- აუცილებელია სპელეოლოგებმა შეისწავლონ კონკრეტული მღვიმეები;
- გადამზადდეს ადგილობრივი მოსახლეობა გიდებად;
- მოხდეს გზების მარკირება;
- აგრეთვე საჭიროა მხარდაჭერა ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის და ადგილობრივი მუუნიციპალიტეტი მხრიდან.

ზემოთ ჩამოთლილი ბუნებრივი რესურსებით საქართველოს მართლაც გააჩნია ტურისტულად განვითარების პერსპექტივა. ამისათვის აუცილებელია ტურიზმის სექტორების სწორი შერჩევა და სტრატეგიული გეგმის შედგენა.

აგრეთვე, მინდა ბოლოს ავღნიშნო ის სილამაზეები, რომლებიც სამეგრელოს მართლაც გამოარჩევს სხვა კუთხისგან, ესენია მაგალითად, ტობავარჩხილის ტბა, როგორც მას მოიხსნიებენ, როგორც „სამოთხე დედამიწაზე“, მარტვილის კანიონი, დადიანების სასახლე ზუგდიდში, სალხინოს დადიანების რეზიდენცია, ნოქალაქევის ციხე-გოჯი და სხვა, ისინი დიდ როლს თამაშობს საქართველოს ტურიზმის განვითარებაში და კიდევ დიდი პოტენციალი აქვს განვითარდეს ეს კუთხე ტურისტული თვალსაზრისით. ამის მიღწევა ზემოთ ჩამოთვლილი უცნობი კანიონებითა თუ მღვიმეებით არის შესაძლებელი.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Bibliographyhttps://sites.google.com/a/iliauni.edu.ge/sakartvelo-da-turizmis-ganvitareba/sakartvelos-kargi-turistuli-potentsiali-akvs
- http://martvili2.blogspot.com/
- http://apa.gov.ge/ge/protected-areas/Naturalmonument/tobis-chanchqerisa-da-arsen-oqrodjanashvilis-mgvimis-bunebis-dzegli
- http://travelingeorgia.ge/region/Resort-Lebarde/
- http://apa.gov.ge/ge/protected-areas/Naturalmonument/ochxomuris-chanchqeris-bunebis-dzegli
- https://txlishe.wordpress.com/2012/03/12/%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%9D%E1-%83%9C%E1%83%98/
- სახელმძღვანელო შემომყვანი ტურიზმის ბიზნესის დასაგეგმად

კურორტ სქურის ტურისტულ-რეკრეაციული შეფასება

ავტორი: **ანა ლემონჯავა**
საქართველოს უნივერსიტეტის ბიზნესისა და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლა ტურიზმის მიმართულება
ხელმძღვანელი: **თინათინ მოსიაშვილი**

შესავალი

სამეგრელოში არსებული კურორტებდან განსაკუთრებულ ადგილს იკავებს კურორტი სქური, რომელიც წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, ზუგდიდიდან 27 კილომეტრში, ზღვის დონიდან 450-500 მეტრზე მდებარეობს. კურორტის ტერიტორია სულ რაღაც 100 კვადრატული კილომეტრია. აქ ერთდროულად მოქმედებს რამდენიმე ფაქტორი: ბუნების სილამაზე, მზის სხივების სიუხვე, ზომიერი ტემპერატურა, დაბალი ბარომეტრული წნევა და უამრავი დაავადების სამკურნალო მინერალური წყალი.

კურორტის ისტორია

ისტორიულად ამ დგილს თავდაცვითი ფუნქცი ჰქონდა, მას იცავდა კლდეკარი, რომლის ჩაკეტვის შემდეგ მოსახლეობა დაცული იყო მტრისგან. ხეობის ტერიტორიაზე დღემდე შემორჩენილია რამდენიმე თავდაცვითი ნაგებობის - ციხისა და საყარაულო კოშკების ნანგრევები. სქურის ულამაზესი ხეობა ასევე იმითაც არის საინტერესო, რომ აქ მდებარეობს სქურის ფერისცვალობის ტაძარი, რომელიც მკვლევარების აზრით უნდა წარმოადგენდეს XII საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს. ასევე ახსანიშნავია სქურის ციხე, ზურგიანი კოშკი, შემორჩენილი სენაკის ნაშთი, ნაეკლესიარი და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტები. კურორტ სკურში ნოტიო სუბტროპიკული კლიმატისს გამო ტემპერატურა ყოველთვის ზომიერია. დაბალი ბარომეტრული წნევა და ჟანგბადის სიუხვე განპირობებულია მთისა და ზღვის დაბალანსებული ჰაერით.

კურორტის ტერიტორიაზე მოედინება ამავე სახელწოდების მინერალური წყალი, რომელიც მრავალ სამკურნალო თვისებეს შეიცავს. მინერალური წყლები XIX სის 70-80 წლებში მწყემსებმა აღმოაჩინეს. გლეხები, რომელთა მიწაზეც წყარო გაედინებოდა, საგულდაგულოდ ცდილობდნენ ამ ფაქტის დამალვას, რადგან ეშინოდათ თავადებს მიწა არ ჩამოერთმიათ. წყლის სამკურნალო თვისებების შესახებ ხალხმა მოგვიანებით მაინც შეიტყო და სქური სულ მალე ბალნეო-კლიმატურ კურორტად იქცა. წლების განმავლობაში აქ ათასობით ადამიანი გადიოდა სარეაბილიტაციო კურსს. ფუნქციონირებდა მინერალური წყლების ჩამოსასხმელი ქარხანა, რომელიც წელიწადში 5 მილიონ ბოთლ მინერალურ წყალს „სქურს“ აწარმოებდა. ამჟამად კურორტის ტერიტორიაზე ძალიან მძიმე მდგომარეობაა და საჭიროებს სახელმწიფოს მიერ თანადგომას.

ფუნქციონირებდა სამკურნალო აბანოები და საწარმოო ობიექტები. რაც ყველაზე მთავარია, მოსახლეობის 60% დასაქმებულიც კი ყოფილა... მაგრამ დროსთან ერთად ყველაფერი შეიცვალა. სქურმა ძველი იერსახეც დაკარგა და ის ასობით დამსვენებელიც, რომელიც მის ბალნეოლოგიურ თვისებებს აფასებდნენ.

(https://www.newsmedia.ge/?p=6005)

ადგილობრივები იხსენებენ, რომ წლების წინ ეს ადგილი ძალიან პოპულარული იყო და ბევრ სტუმარსაც მასპინძლობდა. კომუნისტების დროს აქ ჯერ პიონერთა ბანაკი იყო, შემეგ კი, წინა ხელისულების პერიოდში უკვე ახალგაზრდული ბანაკი, რომლის არსებობასაც დასტურებს შემორჩენილი წარწერა „პატრიოთა ბანაკი“.

ვისაც კი სმენია ამ კურორტის შესახებ, ერთხელ მაინც უნახავს საკუთარი თვალით, მიხვდება, თუ რამხელა პოტენიალის მატარებელია და რამხელა რესურს ვკარგავთ მისი უგულვე-ბელყოფით. ეს არის ადგილი, რომელმაც სახელმწიფოსგან მცირედი თანადგომაც კი ვერ იგრძნო. წლების მანძილზე უმოქმედო კურორტის აღდგენა კერძო ინვესტორება 2012 წელს სცადეს, სადაც აშენდა სასტუმრო და მოწესრიგდა მიმდებარე ტერიტორია, თუმცა ამას შედეგი არ მოყოლია, ვინაიდან კურორტის ტერიტორიაზე არსებული გზა საჭიროებს რეაბილიტაციას, მოსაწესრიგებლია დაბინძურებული გარემო და სხვა პრობლემები, რომელიც კურორტის ტერიტორიაზე იჩენს თავს. სავალალო მდგომარეობაში იმყოფება სანატორიუმი, რომელსაც დიდი და ლამაზი ისტორია აქვს.

მნიშვნელოვანია ტურიზმის განვითარება მიმართული იყოს არა მხოლოდ ტურისტების რაოდენობის გაზრდისკენ, არამედ რეგიონში არსებული ტურისტული რესურსების შენარჩუნების ზრდისკენაც. არსებული რესურსები მიზანმიმართულად უნდა იქნეს გამოყენებული ჩვენივე კეთილდღეობისთვის, რომელიც უნდა განხორციელდეს ერთიანი ძალებით და არა რომელიმე კონკრეტული ინვენსტორის მიერ გაწეული ქმედებით, ვინაიდან ზემო აღნიშნული მაგალითიდან დავინახეთ, რომ აღნიშნულ ქმედებას მთლად პოზიტიური შედეგიც არ მოყოლია.

კურორტის სამკურნალო თვისებები

კურორტი სქური ცნობილია სამკურნალო თვისებების მქონე მინერალური წყალი „სქურით“, რომელსაც მრავალი სამკურნალო თვისება გააჩნია. გარშემორტყმულია მაღალი მთებით. მთის კალთები და კურორტის შემოგარენი უხვადაა შემოსილი წიწვოვანი და ფოთლოვანი მცენარეებით. დღეს ის წარმოადგენ საკურორტო ადგილს რომელსაც გაჩნია, მინერალური წყალი, ტყე, სამკურნაოლო კლიმატი და სხვა

ბუნებრივი რესურსები, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია პროფილაქტიკისა და რეაბილიტაციის მიზნით სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარების პირობებში.

წყლის თვისებები თბილისიდან ჩამოსულმა მეცნიერთა ჯგუფმა შეისწავლა და 1920 წელს შეიძინა მინერალური წყლის სტატუსი. მისი მინერალურობა დადასტურებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტროს 2002 წლის 5 ნოემბრის ბრძანება №310/ნ -ით. საბადო დაკავშირებულია შუა და ზედაიურულ, ცარცულ და პალეოგენურ ნალექებთან, წყალი ჭაბურღილით არის ამოყვანილი შუა იურული ბაიოსურის ვულკანოგენურიქანებიდან.

http://euronews.ge/%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%A0-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A6%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%A5%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%A0/

ისტორიული წყაროების მიხედვით ეს წყალი საუკუნეებს ითვლის. 1920 წელს მან შეიძინა სამკურნალო სტატუსი, 1940 წელს კი დაარსდა სანატორიუმი, სადაც სხვადასხვა ქვეყნიდან თუ კუთხიდან ჩამოსული დამსვენებლები გადიოდნენ მკურნ-ალობას. წყალი ჭაბურღილით არის ამოყვანილი შუაიურული ვულკანოგენური ქანებიდან.

სქურის წყალი კურნავს საჭმლის მომნელებელ ორგანოებს, საყრდენ-მამოძრავებელი აპარატისა და პერიფერიულ ნერვულ სისტემათა დაავადებებს.

საჭმლის მომნელებელი დაავადებიდან იკურნება:

- საყლაპავი მილის ანთება
- კუჭის დაავადებები
- კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული
- სანაღველე გზებისა და პანკრეასის დაავადებები
- ჰეპატიტი
- ნაღველკენჭოვანი დაავადებები
- პანკრეატიტი

ძვალ-კუნთოვანი სისტემის დაავადებები:

- ოსტეოართრიტი, ოსტეოართროზი
- ხერხემლის ოსტეოქონდროზი
- ნერვული სისტემის ფუნქციური და სხვა დაავადებები
- ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადებები და ტრავმები
- ძვლის მოტეხილობები
- და სხვა. http://euronews.ge/%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%A0-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A6%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%A5%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%A0/

ლეგენდები და ისტორიები

ეჭვგარეშეია ის ფაქტი, რომ ტურისტებს ყველაფერი უცხო და ორიგინალური იზიდავს. იხიბლებიან ყოველგვარი უცნაურობებით, რომელიც ბუნებისგან მიღბული საჩუქარია და ადამიანის ხელის შევლებით კიდევ უფრო საოცარი ხდება. კურორტი სქური, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს ფლობს ასევე ლეგენდებს, რომლებიც ვფიქრობ, რომ ძალიან საინტერესოა და საინტერესო იქნება ტურისტებისთვისაც, თუ მოხდება მისი მარკეტინგულად შეფუთვა და რეალიზაცია. ლეგენდა სოფლის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, სქურის წყლის ლეგენდა, ლეგენდა სილამაზის წყაროზე, ლეგენდა ქვაცანცარაზე, ეს ის მცირე ჩამონათვალია, რომელიც კურორტის ტერიტორიაზე იჩენს თავს.

სილამაზის წყარო - ეს არის პატარა წყარო, რომელიც ლეგენდის თანახმად მისი ყოველდღიური მოხმარება აუმჯობესებდა სახის კანს და კურნავდა კანთან დაკავშირებულ დაავადებებს, რის საფუძველზეც შემდგომ ამ წყაროს სილამაზის წყარო უწოდეს. კურორტზე ჩასული სტუმრები თუ ადგილობრივი მოსახლეობა დილაობით სილამაზის წყაროსთან ჩადიოდნენ და სახეს იბანდნენ.

ძალზედ საინტერესოა ქვაცანცარას ისტორი, რომელიც სქურის მთებში მდებარეობს და ჯერ კიდევ მრავალ პასუხგაუცემელ კითხვას ბადებ საზოგადოებაში. როგორ ინახავს ჰაერში გამოკიდებული ლოდი წონასწორობას? ვინ ან რამ გამოთალა მისი კუბური ფორმა? როგორ არ ავნო ქარიშხლებმა და მიწისძვრება, რომელიც არათუ უსაყრდენო ლოდს არამედ მყარად მდგარ კლდეებსაც კი აპირქვავებს უფსკრულში. ზოგი ლეგენდის თანახმად ეს ამირანის ბურთია, ზოგიერთისთვის კი გოლიათების ორთაბრძოლისას დალეწილი კლდეების ნამსხვრევები, ზოგი ვერსიით კი ცალთვალა დევისგან ნასროლი ქვა. გამოირჩევა იმითაც, რომ ბუნების ამ გასაოცარ ქმნილებებს დიდ ყურადღებას აქცევენ ყველა კონტინეტზე. ამის მაგალითია მთელს მსოფლიოში ცნობილი დავასკოს ქვა, რომელიც არგენტინაში პატარა პროვინციულ ქალაქში თანდილაშა.

კურორტის ტერტორიაზე ასევე გვხვდება ჩანჩქერი გარამლა, რომლის არსებობაც ბევრმა არ იცის. ხშირი ტყეებით შემო-საზღვრული და მწვანე საფარით დაფარულ პატარა ჩანჩქერში მზის სხივები ვერასდროს აღწევს, რის შედეგად გამუდმებით ცივა, წყალი ძალიან ცივია და მანდ ყოფნისას მუდამ სურვილი გიჩნდება მზის სხივებს დაენახო, რათა ოდნავ მაინც შეგათბოს.

კვლევის მეთოდები

ნაშრომზე მუშაობისას არსებული მდგომარეობის უკეთ შესწავლის და გააზრების მიზნით ჩავატარე კვლევა, როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისობრივი, რომელის საფუძველზეც ვცადე გამერკვია:

- რამდენად ცნობილია საზოგადოებისთვის კურორტი სქური
- რა მდგომარეობა დღეს კურორტის ტერიტორიაზე და როგორი იყო ადრე

ასევე გავაკეთე SWOT ანალიზი.

დასკვნის სახით ნაშრომის ბოლოს რამდენიმე რეკომენდაციას შევსთავაზებთ ქვეყნის ტურიზმის ადმინისტრაციას და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას.

თვისობრივი კვლევები

თვისობრივი კვლევის მსვლელობისას დავუკავშირდი ბატონ გია კვარაცხელიას, რომელიც სხვა მრავალ კეთილ საქმესთან ერთად სკურის ცენტრში მდებარე პატარა სასტუმროს ფუნქციონირებას უწყობს ხელს. ის დიდი სიყვარულით ხვდება სეზონზე ტობავარჩხილიდან ჩამოსულ დაღლილ სტუმრებს. ზოგჯერ საკუთარი ხარჯებითაც, მაგრამ მაინც სულ ცდილობს მოსულ სტუმრებს ჩვეულებრივ ისე შეხვდეს როგორც ეს ქართულ ტრადიციებშია შემორჩენილი. არაერთი ეკლესიის რესტავრაციაში მიუძღვის წვლილი და ნელ-ნელა საკუთარი ძალებით ცდილობს გარკვეული წვლილი შეიტანოს კურორტის სიცოცხლიუნარიანობაში. მისი თქმით, კურორტზე დღეს ბევრი არაფერი კეთდება. ძალიან ცუდი და სავალალო მდგომარეობაა: მხოლოდ ცალკეული კერძო ინვესტორები თუ გამოხატავენ სურვილს და რაღაც მცირეოდენი წვლილი შეაქვთ კურორტის განვითარებაში. როგორც გავარკვიეთ, ამ ეტაპისთვის მხოლოდ ტობავარჩხილის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე იგეგმება კოტეჯების აშენება, რომ სეზონზე ტურისტებს მოემსახურება. „ერთ კერძო ინვესტორს არ ძალულს არსებული მდგომარეობის მოგვარება“, - ამბობს გია კვარაცხელია.

ვესაუბრე ქალბატონ ნინო ლემონჯავას, რომელსაც მთელი ბავშობა კურორტზე აქვს გატარებული და დიდი გულისტკივილით საუბრობს დღევანდელ რეალობაზე. „წყალი რომ იღვრება, ეგეც არ არის ნორმალური“. ის იხსენებს, როგორი ხალხმრავლობით გამოირჩეოდა კურორტი, როგორ უზრუნველყოფდა ადგილობრივებს. „ზამთარ-ზაფხულ დასაქმებული იყო ხალხი, ერთ სეზონზე გამოიმუშავებდნენ ზამთრისთვის სამყოფ თანხას. სეზონი იხნებოდა მაისში და სექტემბრამდე გრძელდებოდა, ხალხმრავლობა იყო, ოქტომბერშიც შეხვდებოდი დამსვენებლებს, მაგრამ იმავე რაოდენობით ვერა“. ფუნქციონირებდა კინოთეატრი, პანსიონატი, რესტორანი, სამკურნალო აბანოები, სასტუმროები, სადაც დამსვენებელი წინასწარ რეკავდა და ჯავშნიდა ოთახს. ზოგს რიგში ყოფნაც უწევდა, იმდენი ხალხი სტუმრობდა წლიდან წლამდე კურორტს.

„დღეს ასეთი კურორტი ბედის ანაბარადაა დარჩენილი, ყველასგან მივიწყებულია თვით ადგილობრივი მუნიციპალიტეტისგანაც კი“, - ამბობს ნინო ლემოჟავა. ის მტკივნეულად იხსენებს იმ ფაქტს, თუ როგორ ბომბავდნენ ზვიადისტებს დადევნებული მხედრიონები კურორტის ტერიტორიას და როგორ წამში მოშალეს არსებული ინფრასტრუქტურა.

ჩვენი ექსპერტების აზრით, კურორტს დიდი პოტენციალი აქვს, მაგრამ მისი რეაბილიტაცია ძალიან დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული, ყველაფრი ხომ თავიდან არის გასაკეთებელი. „კერძო ინვესტორებმა კი სცადეს არსებული მდგომარეობის გამოსწორება, მაგრამ უკვე მაგათმაც კი ჩაიქნიეს ხელი“, - ამბობს ნინო ლემონჯავა. მისი აზრით, აუცილებელია კურორტის განვითარების გეგმის მომზადება.

რაოდენობრივი კვლევა

რაოდენობრივი კვლევისთვის შევადგინე მოკლე კითხვარი, რომელსაც 105-მა ადამიანმა გასცა პასუხი. კითხვარი მოიცავდა შემდეგ კითხვებს:

- ასაკობრივი ჯგუფი
- გსმენიათ თუ არა კურორტი სქურის შესახებ?
- ხართ თუ არა ნამყოფი სქურზე?
- ესტუმრებოდით თუ არა კურორტს სქურს
- და არ ესტუმრებოდით, რატომ?

კვლევის ამ სახით ვცადე დამედგინა, რამდენად ცნობილია საზოგადოებისთვის კურორტი და რამდენად იყო მოთხოვნა. კვლევა სოციალური ქსელის საშუალებით ჩავატარე და ალბათ ამიტომაც ანკეტების გაანალიზებისას აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა 73% მიეკუთვნებოდა 8-24 წლამდე ასაკობრივ ჯგუფს.



2. მეორე კითხვაში გსმენიათ თუ არა კურორტი სქურის შესახებ აღმოჩნდ, რომ 60% არც ჰქონდა ინფორმაცია აღნიშნულ კურორტზე.

ეს ალბათ ახალგაზრდული სეგმენტის გამო და გასაკვირი არც ის არის, რომ კითხვაზე: ხართ თუ არა ნამყოფი კურორტ სქურზე? გამოკითხულთა 83% არ იყო ნამყოფი.





3. მესამე კითხვის მიზანი იყო გამერკვია რამდენად იყო სურვილი საზოგადოებაში კურორტში სტუმრობა და თუ არა რატო? შედეგები შმდეგნაირად გადანაწილდა:



შედეგები

ჩატარებული კვლევის საფუძველზე თამამად შეიძლება ითქვას, რომ კურორტს აკლია ცნობადობა, მას არ გააჩნია არანაირი სერვისი და რესურსი, რომლითაც შეძლებს მომხმარებლის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, არ არსებობს სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც მოხდება კურორტის განვითარების გეგმის შემუშავება. არ გვხვდება სათანადო ინფორმაცია ინტერნეტშიც კი, როდესაც ესეთ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ადამიანის ცხოვრებაში, არ მოიპოვება ბროშურები და საინფორმაციო ბუკლეტები, რომლის საშუალებითაც ელემენტარული წარმოდგენა მაინც შეექმნებოდა სტუმარს.

დღეის მონაცემებით შეიძლება ითქვას, რომ კურორტი სქური ნაკლებად ცნობილია, ვინაიდან რეგიონი არ ფლობს სრულყოფილ ინფორმაციას ტურისტული პოტენციალის შესახებ, რის შედეგადაც ვერ ხერხდება ტურისტების ინფორმირება. იმისთვის, რომ კურორტი სქური ტურისტულად მომგებიან ობიექტად იქცეს მნიშვნელოვანია აღდგენითი სამუშაოების ჩატარება კურორტის ტერიტორიაზე და საინფორმაციო კამპანიების ჩატარება ცნობადობის ასამაღლებლად.

კურორტი სქური და ტობავარჩხილი

კურორტის მდებარეობა ყურადსაღებია იმითიც, რომ სქურიდან იწყება ტობავარჩხილისკენ მიმავალი ერთ-ერთი ბილიკი. ტობასკენ მიმავალი მოგზაურები ხშირად დასაბრუნებელ გზად სქურისკენ მიმავალ გზას ირჩევენ, ვინაიდან მარშუტი აქ დაღმართს მიუყვება, მისი გავლა დიდ სიძნელეებთა არ არის დაკავშირებული და მიეკუთვნება მარტივი სირთულის კატეგორიას.

რადგან სულ უფრო იზრდება ტობაზე მოლაშქრეთა რაოდენობა, ძალიან მნიშვნელოვანია სვადასხვა ბილიკების არსებობა. ეს ფაქტი კი სქურის, როგორც კურორტის პოტენციალის გაზრდის საშუალებას იძლევა. სქურში ინფრასტრუქტურის განვითარების შემთხვევაში შესაძლებელია ტურისტები, რომლებიც თითქმის ერთკვირიან ლაშრობაში იყვნენ შევიფაროთ, გაუწიოთ სათანადო მომსახურება და თუნდაც ერთი ღამით დავტოვოთ. ამ პროცესში კი იმდენად დავაინტერესოთ კურორტით, რომ ისევ გაუჩნდეთ სტუმრობის სურვილი.

SWOT ანალიზი

ნაშრომზე მუშაობისას მეტი თვალსაჩინოებისთვის და სიმარტივისთვის განვსაზღვრე მისი ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები, რომელიც ერთი შეხედვითაც იკვეთება.

ძლიერ მხარეებს წარმოადგენს:

- მინარალური წყლის არსებობა
- ტობავარჩხილთან დამაკავშირებელი გზის არსებობა
- ცენტრალურ გზასთან სიახლოვე
- სამკურნალო ფაქტორი
- ისტორიული ძეგლების არსებობა

სუსტ მხარეებს წარმოადგენს:

- ცუდი გზის არსებობა
- დაბინძურებული გარემო
- მოშლილი ინფრასტრუქტურა
- ტურიზმის ბიზნესში არაკვალიფიციური კადრების არსებობა

შესაძლებლობებს წარმოადგენს:

- დამკვიდრებული სამკურნალო იმიჯის აღდგენა
- დასვენებისა და სამკურნალო ტურიზმის განვითარების შესაძლებლობა
- მოსახლეობის დასაქმება

- გასართობი ღონისძიებების განვითარების შესაძლებლობა
- ზაფხულის სეზონის გახანგრძლივების შესაძლებლობა
- საკურორტო განაშენიანების განვითარების შესაძლებლობა

რეკომენდაციები

დასაწყისისთვის მნიშვნელოვანია

- ✓ მცირედით მაინც მოეწყოს ინფრასტრუქტურა, რათა კურორტმა შეძლოს ტურისტის მიღება და სათანადო მომსახურების გაწევა.
- ✓ აუცილებელია მოწესრიგდეს გზასთან დაკავშირებული პრობლემები
- ✓ გასუფთავდეს მიმდებარე ტერიტორია
- ✓ მომზადდეს სათანადო კადრები
- ✓ აუცილებელია საინფორმაციო ტურების ჩატარება
- ✓ ცნობადობის ამაღლება

დასკვნა

კვლევების საფუძველზე ნათლად ჩანს თუ რამხელა პოტენციალის მატარებელია კურორტი სქური. ტურისტულ ბაზარზე მას აქვს შესაძლებლობა გახდეს ერთ-ერთი მოთხოვნადი ბალნეოლოგიური კურორტი საქართველოს ბაზარზე მისი უნიკალური თვისებებისა და არსებული რესურსებიდან გამომდინარე.

უპირველ ყოვლისა, უნდა მოხდეს სახელმწიფოს მხრიდან ძლიერი თანდგომა, რომელიც დაგვეხმარება იმ ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაში, რომელიც აუცილებელია კურორტის ფუნქციონერებისათვის და შემდგომ უკვე კერძო ინვესტორების მიერ გაწეული დახმარებაც უშედეგო არ აღმოჩნდება, ასევე გვერდით დაუდგება ადგილობრივი მთავრობაც, ადგილობრივი მოსახლეობა, პირები, რომლებიც ჩახედულნი არიან ტურიზმის ბიზნესში ამაღლებენ მის ცნობადობას, რესურსების არსებობის შემთხვევაში დაგეგმავენ ტურებს, შეიქმნება საინფორმაციო ბროშურები, რუკები და გაყიდიან მსოფლიოს მაშტაბით.

გამოყენებული ლიტერატურა:

- „საქართველოს 100 კურორტი“, გამომცემლობა „კლიო“, 2014 წელი
- https://www.newsmedia.ge/?p=6005
- http://squri.blogspot.com/
- http://www.radioatinati.ge/gadacemebi/fm-therapia/article/67462-turistebis-gareshe-darchenili-kurorti-squri-video-.html
- http://euronews.ge/%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%A0-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A6%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%A5%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%A0/

ტურიზმის განვითარების პერსპექტივები სოფელ კუმისში

ავტორი: **თათია მდივანი**
სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი
ხელმძღვანელი: **თინათინ მოსიაშვილი**

შესავალი

საქართველოში ტურიზმი ერთ-ერთი სწრაფად მზარდი სექტორია. საქართველოში არსებობს მრავალი შესაძლებლობა ტურიზმის სფეროში ინვესტიციების განსახორციელებლად, დაწყებული საზღვაო კურორტებით გაგრძელებული მთის კურორტებით, სათხილამურო სპორტით, მინერალური წყლებით, გამაჯანსაღებელი, კულტურული და სხვა სახის ტურიზმით. საქართველოს თითქმის ყველა რეგიონი მდიდარია ტურისტული ღირსშესანიშნაობით. მრავალ მიმართულებას შორის საქართველოში პოპულარული ხდება სოფლის ტურიზმის განვითარება.

სოფელ კუმისს საკმარისი ტურისტული პოტენციალი გააჩნია ისეთი მიმართულებების განსავითარებლად, როგორიცაა: სამკურნალო და სათავგადასავლო ტურიზმი. სამკურნალო და სათავგადასავლო ტურიზმი ტურიზმის ერთ-ერთი სწრაფად მზარდი მიმართულებებია.

2010 წელს ჩატარებული სათავგადასავლო ტურიზმის პირველი კვლევის თანახმად, მიმართულების მოცულობა 89 მილიარდ დოლარს შეადგენდა. სამი წლის შემდეგ ჩატარებულმა განმეორებითმა კვლევამ კი 263 მილიარდი დოლარი აჩვენა. 2019 წლის I კვარტლის მონაცემებით, საერთაშორისო მოგზაურობიდან შემოსავალმა შეადგინა 578 მილიონი აშშ დოლარი, რაც 28 მილიონი აშშ დოლარით მეტია 2018 წლის I კვარტლის ანალოგიურ მაჩვენებელზე, ზრდა +5%. სათავგადასავლო მოგზაურობად შეიძლება ჩაითვალოს ნებისმიერი ტურისტული აქტივობა, რომლის შემადგენელი კომპონენტებია: ფიზიკური აქტივობა, კულტურული შემეცნება და ბუნების ჩართულობა. სამკურნალო ტურიზმი-კურორტების გამოყენებაა მკურნალობის, სამედიცინო გამოკვლევისა და სხვა სამედიცინო მომსახურების მისაღებად. ბუნებრივ-სამკურნალო რესურსებს მიეკუთვნება მინერალური წყლები, სამკურნალო ტალახები, სამკურნალო კლიმატი და სხვა ბუნებრივი რესურსები.

მიზანი

ჩვენი პროექტის მიზანია - სოფელ კუმისში სოფლის ტურიზმის განვითარება, რაც ხელს შეუწყობს კუმისის შესახებ ცნობადობის გაზრდას და ასევე ხელს შეუწყობს სოფელ კუმისში უცხოური ვალუტის შემოსვლას, ხელს შეუწყობს იმ მიწების პროდუქტიულ გამოყენებას, რომელიც ჯერ კიდევ აუთვისებელია ადგილობრივი მოსახლეობის მიერ. იგი ქმნის სამუშაო ადგილებს, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლის ზრდას შეუწყობს ხელს, ასევე ხელს შეუწყობს რესურსების მდგრად მოხმარებას, რამდენადაც ბუნებრივი, სოციალური და კულტურული რესურსების დაცვა და მდგრადი მოხმარება ხანგრძლივი და წარმატებული საქმიანობის საწინდარია.

გეოგრაფიული და ისტორიული მიმოხილვა

სოფელი კუმისი მდებარეობს გარდაბნის მუნიციპალიტეტში კუმისის ტბის ჩრდილო-დასავლეთით, თბილის-მარნეულის საავტომობილო გზაზე. ზღვის დონიდან 500 მეტრ სიმაღლეზე, გარდაბნიდან 48 კმ-ში. 2014 წლის აღწერის მონაცემებით, სოფელში ცხოვრობს 1900 კაცი. კუმისი წყაროებში პირველად მოიხსენიება XV საუკუნეში. 1462 წელს კუმისთან ქართველთა ლაშქარმა სასტიკად დაამარცხა თურქმანთა ჯარი. კუმისშია შუა საუკუნეების სამების ეკლესია, წმინდა გიორგის ეკლესია და ორბელიანების საგვარეულო საძვალე. კუმისში მრავალი ისტორიისა და კულტურული ძეგლია შემორჩენილი: ტაძრები, ნიშები, სადარაჯო კოშკები, მათ შორის მნიშვნელოვანი ა დგილი უკავია „წმინდა სამების“ ეკლესიას, რომელიც სოფლის თავზე, ჩრდილოეთის მხრიდან თრიალეთის ქედის თხემზე მდებარეობს. ტაძარი 900 მეტრის სიმაღლის კლდის თავზე დგას და სოფლის ყველა კუთხიდან კარგად მოჩანს.1746 წელს თბილისის სამოქალაქო გუბერნატორს-ნიკოლოზ იოსების ძე ფალავანდიშვილს აუგია ახალი ეკლესია შუა საუკუნეებში არსებული ეკლესიის საფუძვალზე.ეკლესია დარბაზულია, დასავლეთის კედელში შემორჩენილია კიბის ფრაგმენტი, რომლითაც სხვენზე მოწყობილ სამრეკლოს უკავშირდებოდა. კედლები ქართული აგურითაა ნაშენები, კირის დუღაბით. იატაკი ბაზალტის ფილებითაა დაგებული. XX ს-ის დასაწყისში ტაძრის სამხრეთ ფერდობზე ბერთა კელიების ნაშთები ყოფილა შემორჩენილი, რომელიც დღესდღეობით აღდგენილია. კუმისში არსებული ისტორიული ძეგლები ხელს შეუწყობს სათავგადასავლო ტურიზმის განვითარებას. სათავგადასავლო ტურიზმი მაღალშემოსავლიან კატეგორიას წარმოადგენს, ხელს უწყობს ადგილობრივი ეკონომიკისა და მდგრადი გარემოს განვითარებას. სათავგადასავლო ტურიზმის განვითარება კი სოფელ კუმისში ხელს შეუწყობს სოფლის ტურიზმის განვითარებას.

კუმისში შესაძლებელია ექსტრემალური ტურიზმის განვითარება. ექსტრემალური ტურიზმი მსოფლიოში ერთ—ერთი მოთხოვნადი ტურიზმის სახეობაა. მათ შორისაა, კლდეებზე ცოცვა. სამებამდე ასვლა შესაძლებელია კლდეების მეშვეობითაც. ექსტრემალური ტურიზმის განსავითარებლად კი, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა შესაბამისი აღჭურვილობა და ექსტრიმის მოყვარულ ტურისტთა უსაფრთხოების დაცვა. ასევე კუმისში მრავლად არის აუთვისებელი მინდორი, რომელიც საცხენოსნო ტურიზმის განვითარების პერსპექტივას ქმნის.

ჩემს მიერ კუმისის მოსახლეობის გამოკითხულთა უმეტესი ნაწილი თანახმაა თავის საკუთრებაში მყოფი მიწები გამოვიყენოთ საცხენოსნო ტურიზმის განსავითარებლად, რადგან ეს გაზრდის ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავალს და მათი ცხოვრების დონის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. უპირველეს ყოვლისა, კუმისში ტურიზმის განვითარებისათვის გასათვალისწინებელია ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, განთავსების და კვების ობიექტების არსებობა. რადგან სოფლის ტურიზმზე გვაქვს საუბარი, განთავსების საუკეთესო საშუალებაა საოჯახო სასტუმროების მოწყობა, რაც აგრეთვე ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობისათვის დამატებითი შემოსავლის ზრდას.

წმინდა გიორგის ეკლესია მდებარეობს კუმისის მთაზე ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. ძეგლი XVII-XVIII საუკუნისაა და მხოლოდ ნანგრევები და ნიში იყო შემორჩენილი. ეკლესია ამჟამად აღდგენილია მოსახლეობის შემოწირულებებით, კუმისის წმ. სამების ეკლესიის წინამძღვრის, დედა სალომეს ინიციატივით.

კუმისის ტბა მდებარეობს სოფელი კუმისის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ზღვის დონიდან 475 მ სიმაღლეზე. ზედაპირის ფართობი 5,4 კმ, აუზის ფართობი 97 კმ^2. კუმისის ტბა მდიდარია თევზების სხვადასხვა სახეობის სიმრავლით, რაც გვაძლევს საშუალებას განვავითაროთ მეთევზეობა და ტურისტებს შევთავაზოთ გართობის მიზნით შეჯიბრი თევზჭერაში. ასევე, ტბის ფსკერი სულფიდური სამკურნალო თვისების მქონე ტალახითაა მოფენილი. შუა ნაწილში ტალახის სისქე რამდენიმე სანტიმეტრია. კუმისის ტალახს აქტიურად იყენებენ თბილისის ბალნეოლოგიურ კურორტზე. კუმისის ტბას საკმარისი პოტენციალი და რესურსები გააჩნია, იმისათვის რომ კუმისში განვავითაროთ სამკურნალო ტურიზმი. სამკურნალო ტურიზმი ტურიზმის ერთ-ერთი სწრაფად მზარდი კატეგორიაა, ყოველწლიურად უამრავი ტურისტი სტუმრობს საქართველოს სხვადასხვა მიზნით, მათ შორის ადგილი მკურნალობის მიზნით მოგზაურობას უკავია. სამკურნალო ტურიზმის განსავითარებლად საჭიროა შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა, რადგან ტურისტებს საუკეთესო მომსახურება შევთავაზოთ, რაც ხელს შეუწყობს სოფელი კუმისის შესახებ ცნობადობის გაზრდას და ტურისტთა დიდი ნაკადის მოზიდვას. ტურისტების მოგზაურობის მიზანს წარმოადგენს ფიზიკური და სულიერი ძალების აღდგენა, სოფლის ტურიზმი კი ერთ-ერთი საუკეთესო შეთავაზებაა ასეთი ტურისტების ნაკადისათვის.

დასკვნა

კუმისში ტურიზმის განვითარება განაპირობებს სოფელში მოსახლეობის დაკავებას, ასევე კულტურული და ბუნებრივი მრავალფეროვნების შენარჩუნებას, რადგან ბუნებრივი და კულტურული მრავალფეროვნება ტურისტული საქმიანობის წარმატებისა და მიმზიდველობის განმსაზღვრელი ფაქტორია. სოფლის ტურიზმის განვითარება შეამცირებს უმუშევრობას და გაზრდის ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავალს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- https://gnta.ge/ge/
- https://tourism-georgia.blogspot.com/p/blog-page_2780.html
- https://tourismcenter.ge/
- http://gardabani.gov.ge/gardabnis-municipaliteti/kultura/7-eklesiamonastrebi.html
- https://www.about.ge/ka/pois/?poid=252

„კრიმანჭული“ გომის მთიდან

ავტორი: **ანა მუჯირი**
საქართველოს უნივერსიტეტის
ხელმძღვანელი: **თინათინ მოსიაშვილი**

აბსტრაქტი
ნაშრომი შეისწავლის გურიის მხარის ერთ-ერთ მაღალმთიან კურორტ გომის მთაზე არსებული მდგომარეობასა და განვითარების პერსპექტივებს. კურორტზე ვიზიტებითა და ასევე უკვე ჩატარებული გამოკითხვებით გამოიკვეთა იმ ღონისძიებების ჩატარების აუცილებლობა, რაც გამოიწვევს ტურისტების მოზიდვას: სწორად ჩატარებული საინფორმაციო კამპანიებით გომის მთის ცნობადობა ამაღლდება საქართველოში; საინფორმაციო ტურების მოწყობა გომის მთაზე ტურისტული კომპანიებისათვის და რაც უმთავრესია ინფრასტრუქტურული ღონისძიების ჩატარება.

შესავალი
გურია გამოირჩევა კურორტებითა და საკურორტო რესურსებით, გურიაში ვხვდებით როგორც შავიზღვისპირა კურორტებს (ურეკი, შეკვეთილი, გრიგოლეთი) ასევე, მაღალმთიან კურორტებს: მაღალმთიან ალპურ ზონაში, 2000 მეტრზე მაღლა, წარმოდგენილია ბახმარო და გომის მთა, მხარის ტერიტორიაზეა ასევე, ორი ბალნეოლოგიური კურორტი - ნაბეღლავი და ქვედა ნასაკირალი.

აქედან ჩვენს ნაშრომში ყურადღება გავამახვილეთ გომის მთაზე.

კურორტის გეოგრაფია
გომის მთა ეს არის მაღალმთიანი კლიმატური საზაფხულო კურორტი ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, ოზურგეთიდან 33 კმ-ზე. თბილისიდან 340 კმ-ზე. გომის მთა მდებარეობს მესხეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე, მდინარე ბჟუჟის ხეობაში, ზღვის დონიდან 2100-2755 მეტრის სიმაღლეზე. რელიეფი - მთაგორიანია, კლიმატი კი - საშუალო მთის. ზამთარი ცივია და უხვთოვლიანი, ზაფხული - ზომიერად გრილი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა -5°C, აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 13—18°C. ნალექების წლიური რაოდენობა არის 1600-1700 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა — 75%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში — 2000-2060 საათია. გომისმთა გარშემორტყმულია წიწვოვანი ტყით (ნაძვი, სოჭი) და წყაროებით. გომისმთასთან ახლოსაა ჭინჭაოს ტბა, რომელიც ზღვის დონიდან 2500 მეტრზე მდებარეობს. (www.guria.gov.ge)

კურორტის ისტორია
გომის მთას იყენებდნენ გურიისა და აჭარის მცხოვრები მწყემსები საქონლის საზაფხულო საძოვრად. ლეგენდის თანახმად, მწყემსი თუმანოვი მიადგა გომისმთას განუკურნებელი სენით შეპყრობილ ქალიშვილთან ერთად, რომელიც იქ განიკურნა. ადგილს, სადაც მოგვიანებით გაჩნდა კურორტი გომის მთა, ეწოდებოდა ნაფაცხვარი. ისტორიული ცნობების თანახმად, 1931 წელს ფილიპე მახარაძე ავიდა კურორტზე და დაათვალიერა იგი, ხოლო შემდგომ მისი დელეგაცია ცხენებით გადავიდა ბახმაროზე. ბახმაროდან დელეგაციამ ექიმი სპეციალისტი წაიყვანა გომის მთაზე კურორტის თვისებების შესასწავლად. მეორე მსოფლიო ომმა შეაფერხა გომის მთაზე ინფრასტრუქტურის განვითარება. კურორტის მშენებლობა ომის შემდგომ განახლდა. (ნოდია. მ, 1976)

საავტომობილო გზა გომის მთამდე 1950-იანი წლების ბოლოს გაიყვანეს. ამ დროისთვის გომის მთაზე 500-მდე დასასვენებელი კოტეჯი იდგა და ყოველწლიურად 4500-5000 დამსვენებელი სტუმრობდა, ხოლო 1980-იანი წლებში კი, გომის მთაზე 1500 დასასვენებელი კოტეჯი იყო, მაგრამ არ იყო მოწყობილი წყალგაყვანილობა, ელექტროენერგია და სატრანსპორტო მომსახურება. 2010 წლიდან დაწესდა დღესასწაული „გომისმთობა“. გომის მთაზე ყოველწლიურად იმართება ექსტრემალური შეჯიბრი „ოფროუდი“ და დოღი.

კურორტის სამკურნალო თვისებები
გომის მთა შესულია საქართველოს კურორტების ნუსხაში. იგი პროფილაქტიკურია და ზღვის დონიდან საკურორტო ზონაში 1900 IV-ა. დასავლეთ საქართველოს შუამთიანეთის საკურორტო რაიონი მდებარეობა. https://www.matsne.gov.ge

დღეს გომის მთა წარმოადგენს საკურორტო ადგილს, რომელსაც გააჩნია მინერალური წყლები, ტყე, სამკურნალო კლიმატი და სხვა ბუნებრივი რესურსები, რომლებიც შესაძლებელია გამოყენებული იქნას მკურნალობის პროფილაქტიკის და რეაბილიტაციის მიზნით, შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების პირობებში დააკმაყოფილებს ტურისტის მოთხოვნებს.

კურორტი გამოირჩევა სამკურნალო ჩვენებებით: სუნთქვის ორგანოების არატუბერკულოზური ხასიათის დაავადებები, ქრონიკული ბრონქიტი, მშრალი ბრონქიტი, მეზენტერიული ბრონქული და პერიფერიული ლიმფური ჯირკვლების ლიმფადენიტი, ქრონიკული ტუბერტკულოზური ანთებითი პროცესების დახურული ფორმები, რაქიტი, მეორადი ანემია, ბრონქული ასთმის მსუბუქი ფორმები. მკურნალობის ფორმაა პასიური კლიმატოთერაპია. http://guria.gov.ge/geo/static/245

საერთოდ უნდა ითქვას, რომ გომის მთა, ეს არის „კურორტი ღრუბლებში“ დაუვიწყარი ხედებით, „საფოტოსესიო“ ადგილებით თავისი ფერადი და პაწაწინა ქოხებით. აქედან იშლება თვალწარმტაცი ხედი, ეს იქნება „ღრუბლების ზღვაში ჩამავალი მზე“ თუ „ნისლებში მზის ამოსვლა“.

კურორტის ინფრასტრუქტურა და გასატარებელი ღონისძიებები

კურორტი გასულ საუკუნეში უფრო პოპულარული იყო, ვიდრე ახლა, ახლა ელემენტარული პირობები თითქმის არ არსებობს. მიუხედავად ამისა, მაღალმთიან კურორტს სტუმრები მაინც ჰყავს, ადგილზე არის კოტეჯები და ოჯახური ტიპის სასტუმროები.

ტურიზმის განვითარებისთვის გომის მთას გააჩნია დიდი რესურსი, მისი ათვისება და ვიზიტორების ზრდა თავისუფლადაა შესაძლებელი. აქვს პოტენციალი გახდეს, როგორც ზაფხულის, ისე ზამთრის კურორტი.

ნაშრომის კვლევის მეთოდები

კურორტის დღევანდელი მდგომარეობის უკეთ აღწერისთვის და მისი შესაძლებლობების სწორად შეფასებისთვის ჩავატარე, როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი კვლევა, რომლის მიზანი იყო დამედგინა:

- ✓ რამდენად ცნობილია ეს კურორტი;
- ✓ რა ძირითადი პრობლემები გვხდება კურორტზე.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე გამოიკვეთა კვლევის კონკრეტული ამოცანები:

- ✓ არსებული გარემოს შეფასება;
- ✓ საინფორმაციო წყაროების იდენტიფიცირება;
- ✓ სამომავლო ხედვები.

თვისებრივი კვლევის ფარგლებში კურორტ გომის მთის უფროს სპეციალისტს ბატონ ზურაბ ჩხარტიშვილს ვესაუბრე კურორტის პრობლემებზე და იმ ღონისძიებებზე, რომლებიც შეიძლება გატარდეს მომავალში. ასევე ვესაუბრე აგრეთვე ბატონ ავთანდილ ბოლქვაძეს, რომელსაც ბევრი სხვა მესაქონლის მსგავსად, მაისიდან სექტემბრამდე აჭარიდან საქონელი აჰყავს გომის მთაზე და რძის პროდუქტებს ყიდის დამსვენებლებზე. რაც მისი ოჯახის ერთ-ერთი შემოსავლის წყაროა. ვესაუბრე ოჯახის ექიმ ნინო გიორგაძეს, რომელიც ყოველწლიურად ოჯახთან ერთად სტუმრობს კურორტ გომის მთას. იგი ადასტურებს, რომ კურორტი უნიკალურია თავისი სამკურნალო თვისებებით. აქაური კლიმატი განსაკუთრებით დადებითი გავლენას ახდენს იმ ბავშვებზე, რომლებსაც დაბალი ჰემაგლობინი აქვთ. ასევე შევხდი კურორტის ერთ-ერთ დამსვენებელს ნინო გარაყანიძეს.

რაოდენობრივი კვლევა მიზნად ისახავდა გამეგო, რამდენად ცნობადია კურორტი გომის მთა და რამდენად არსებობს მოთხოვნა ამ კურორტზე.

სულ გამოვკითხე 50 რესპოდენტი. ინტერვიუს ხანგრძლივობა დაახლოებით 5 წუთს შეადგენდა.

რესპოდენტებს მივმართე შემდეგი კითხვებთ:

- ✓ გსმენიათ, თუ არა კურორტ გომის მთის შესახებ?
- ✓ ხართ თუ არა ნამყოფი გომის მთაზე?
- ✓ წახვიდოდით, თუ არა კურორტ გომის მთაზე? თუ არა რატომ?

1. გსმენიათ, თუ არა კურორტ გომის მთის შესახებ?

მოქალაქეების გამოკითხვის მიზანი იყო გამეგო იცოდნენ თუ არა რესპონდენტებმა გომის მთის შესახებ. გამოკითხვის შედეგები გამოვსახე წრიული დიაგრამის სახით. გამოკითხული 50 მოქალაქიდან 19 (42%) იცოდა გომის მთის შესახებ, ხოლო 31 (58%) - არა.



2. ხართ თუ არა ნამყოფი გომის მთაზე?

შემდეგი შეკითხვის მიზანი იყო გამეგო, რესპონდენტი იყო თუ არა ნამყოფი გომის მთაზე. აღმოჩნდა, რომ 50 ადამიანიდან კურორტზე ნამყოფი იყო მხოლოდ 3 ადამიანი (6%) ადამიანი, 47 (94%) არ არის ნამყოფი.



3. წახვიდოდით, თუ არა კურორტ გომის მთაზე? თუ არა რატომ?

აღმოჩნდა, რომ გამოკითხული 50 ადამიანიდან 27 (54%) წავიდოდა დასასვენებლად გომის მთაზე, ხოლო 23 (46%) არ წავიდოდა.



4. რატომ არ წახვიდოდით კურორტ გომის მთაზე?

შემდეგ დავსვი განმეორებითი შეკითხვა თუ რატომ არ წავიდოდნენ გომის მთაზე, არ წავიდოდა, რადგან არ აქვთ ინფორმაცია 14 (61%), ხოლო 9 (39%) ამბობს, რომ არ წავიდოდა, რადგან იქ არ არის განვითარებული ინფრასტრუქტურა.



რაც შეეხება შინაარსობრივ კვლევას, ჩავატარეთ რამდენიმე ინტერვიუ. როგორც გომის მთის უფროსმა სპეციალისტმა, ბატონ ზურაბ ჩხარტიშვილმა ინტერვიუს დროს მითხრა, მის მიერ ჩატარებული კვლევით დამსვენებლთა 1/3 ბავშვები (0-18 წლამდე) არიან, რომლებიც, კურორტზე ძირითადად მშობლებთან ერთად ჩადიან, ანუ კურორტის ერთ-ერთი მთავარი სეგმენტია ბავშვიანი ოჯახები. ოჯახების მისაღებად კი აუცილებელია სათანადო ინფრასტრუქტურის მოწყობა.

გომის მთის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა იყოს საკურორტო სეზონის გახანგრძლივება. გომის მთას აქვს მთავარი პოტენციალი, რომ გახდეს არა მხოლოდ საზაფხულო, არამედ ზამთრის კურორტიც.

იმისათვის, რომ გომის მთა ტურისტულად მომგებიანი კურორტი გახდეს, პირველ რიგში ჩასატარებელია საინფორმაციო კამპანიები გომის მთის ცნობადობის ასამაღლებლად საქართველოში, როგორც თბილისში ჩემ მიერ ჩატაარებული კვლევიდანაც ჩანს, 50 გამოკითხული ადამიანიდან, მხოლოდ 19 იცოდა გომის მთის შესახებ, ნამყოფი კი, მხოლოდ 3 ადამიანი იყო, თუმცა კურორტის მონახულების სურვილი 27 ადამიანმა გამოთქვა.

როგორც აღვნიშნე სახალხო დღესასწაული „გომისმთობა" ტრადიციულად აგვისტოში იმართება და მისი მიზანი კურორტის პოპულარიზაცია. ეწყობა კულტურული და სპორტული ღონისძიებები, გამართულ კონცერტში მონაწილეობას იღებს, როგორც ადგილობრივი ასევე, მოწვეული ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები. იმართება სპორტული აქტივობები, როგორიცაა ბაგირზე გადაძალვა, მკლავჭიდი, ნარდი, ჭიდაობა, შეჯიბრებაში მონაწილეობას იყებენ როგორც პროფესიონალები ასევ, მოხალისეებიც. https://reginfo.ge/people/item/1960-13

სახალხო ზეიმები ეს არის ტურისტული ატრაქცია, რომლებსაც განსაკუთრებით სტუმრობენ ტურისტები სხვადასხვა ქვეყნიდან. მისი დახმარებით ტურისტებისთვის შეიძლება გურული ადათ-წესების, სიმღერის, სტუმართმასპინძლობის და სხვა ატრაქციების გაცნობა.

აუცილებელია პოპულარიზაცია გავუწიოთ ისეთ არამატერიალურ კულტურას, როგორიცაა გურული კალანდა, გურული ღვეზელი, დაწნული გიდელი და სხვა. ვფიქრობ მნიშვნელოვანია ამ ტრადიციების გაცოცხლება. რომელიც ტურისტებისთვის უცხო და საინტერესო იქნება. შესაძლებელია, გაკეთდეს მარნები, სადაც მოხდება ღვინის დეგუსტაცია. უნიკალურია გურული „კრიმანჭული", რომელიც ტურისტებს ანცვიფრებს. უნდა მოხდეს მისი პოპულარიზაცია, რომელიც დამატებით ცნობადობასს მოუტანს გურიას.

უნდა განვითარდეს ინფრასტრუქტურა. დაიგოს მოასფალტებული საავტომობილო გზა, თუმცა კურორტის უფროსი სპეციალისტის თქმით, დაწყებულია კურორტამდე მისასვლელი 20 კმ-იანი მოასფალტირებული გზის მშენებლობა, რომელიც 2020 წლისთვის დამთავრდება. კურორტზე არ არის წყალგაყვანილობის სისტემა, თუმცა კურორტს აქვს წყლის საუკეთესო რეზერუალი და იგეგმება ამ წყლის კოტეჯებამდე მიყვანა. კურორტს უნდა მიეწოდოს ელექტროენერგია და ბუნებრივი აირი. განვითარდეს სახანძრო-სამაშველო, სამედიცინო, სააფთიაქო, საპოლიციო, კურორტის ადმინისტრაცია, ავტოსადგური და ავტოსადგომები. კურორტზე არ არის და თუ შეხვდებით ისიც მოუწესრიგებელია სველი წერტილები. არ არის კვების ობიექტები, მათ შორის სწრაფი კვების ობიექტები. უნდა შეიქმნას ტურისტთა განთავსების ადგილები და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოეწყოს საოჯახო სასტუმროები. მოხდეს არსებული გასაქირავებელი კოტეჯების მოწესრიგება და სერვისის დახვეწა, როგორც უცხოელი, ისე ადგილობრივი ვიზიტორებისათვის. მოეწყოს ბავშთა გასართობი სივრცეები, მოსასვენებელი ადგილები, სადაც ღია ცის ქვეშ შეძლებენ გართობას თუნდაც, ფილმის ყურებას.

მიუხედავად, იმისა, რომ კურორტზე არ არის განვითარებული ინფრასტრუქტურა და ცივილიზაციისაგანაა მოწყვეტილია, აქ არის სიმშვიდე, სუფთა ჰაერი, ულამაზესი ბუნება და ნატურალური პროდუქტები - ინტერვუიუს დროს მითხრა ქალბატონმა ნინო გარაყანიძემ, რომელიც წლებია ოჯახთან ერთად ისვენებს გომის მთაზე. მისი თქმით ყველა საჭირო ნივთი თან უნდა წაიღო, მაგრამ ის და მისი ოჯახის მაინც მუდმივად დადიან და სასიამოვნოდ ატარებენ დროს. გომის მთის ერთგვარ ტრადიციას წარმოადგენს საღამოებით კოცონის დანთება და მის გარშემო შეკრება, სიმღერა და მხიარულება. ქალბატონი ნინო ამბობს გომის მთის ჰაერი ერთნაირად უხდება მის 19- 24 წლის ქალ-ვაჟს და წლინახევრისა და 3 წლის შვილიშვილებს.

კურორტ გომის მთის ერთ-ერთი ხიბლია, ის რომ აქ შეგიძლიათ დააგემოვნოთ ბუნებრივი, ნატურალური რძის პროდუქტები, როგორც ბატონი ავთანდილ ბოლქვაძე ამბობს ერთხელ თუ დააგემოვნეთ აჭარელი ქალის მომზადებული „კაიმაღი"(რძისაგან გამოცალკავებული ნაღები), მის მირთმევაზე უარს ვეღარ იტყვით. ბატონმა ავთანდილმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ დამსვენებლებს ძალიან მოსწონთ მათი საზაფხულო სოფელი და ისინიც დიდი სიამოვნებით სთავაზობენ მათ ნატურალურ პროდუქტებს. რა თქმა უნდა ეს მათი შემოსავლის წყაროც არის.

შესაძლებელია სხვადასხვა ტურების დაგეგმა 1-2 დღიანების, ეს შეიძლება იყოს სათავგადასავლო ტურები. სათავგადასავლო ტურიზმი იზიდავს მაღალშემოსავლიან მომხმარებლებს და ხელს უწყობს ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას. შეიძლება გომის მთა გამოვიყენოთ როგორც ველო და ჯიპ ტურისთვის. გომის მთაზე ბოლო წლებში იმართება ექსტრემალური შეჯიბრი „ოფროუდი“, მაგრამ საჭიროა მისი ცნობადობა და პოპულარიზაცია.

კვლევის შედეგები და რეკომენდაციები

ჩატარებული კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები:

- ✓ მთის კურორტის მთავარი პრობლემა გახლავს ის, რომ გომის მთა, როგორც ბრენდი ნაკლებადაა ცნობილი;
- ✓ მას არ გაჩნია კონკრეტული ნიშა ტურისტულ ბაზარზე, სერვისისა და მარკეტინგის კუთხით ცოდნის ნაკლებობაა;
- ✓ არ არსებობს გაწერილი მარკეტინგული გეგმა, რომლის მიხედვითაც გადაიდგმება კონკრეტული ნაბიჯები;
- ✓ კურორტზე არ არის ტურისტული ცენტრი;
- ✓ არსად გვხდება საინფორმაციო ბროშურები და ბუკლეტები;
- ✓ კურორტ გომის მთაზე საკმაოდ მწირი ინფორმაციაა ინტერნეტში. დღეს, როდესაც სოციალური ქსელი ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წყაროა ტურისტული პროდუქტის შეთავა-ზებისთვის, გურიის შემთხვევაში ეს მეთოდი არ მუშაობს;
- ✓ არსად არ არის სუვენირების სივრცე, სადაც ტურისტები შეძლებენ შეიძინონ სხვადასხვა სამახსოვრო ნივთი. მსგავსი ადგილების გაჩენა აუცილებელია იმისთვის, რომ მიღებულმა ემოციამ ტურისტებს გაახსენონ გომის მთა და მისი შთაბეჭდილება გაუზიარონ სხვებს;
- ✓ კურორტის კიდევ ერთი ტურისტული პრობლემა სასტუმროების არ არსებობაა. თუმცა უკვე დაწყებულია კურორტის განაშენიანება;
- ✓ გურიის ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა გიდების არ არსებობა და/ან მათი დაბალი კვალიფიკაცია, რასაც ემატება ენების არ ცოდნა, რაც ტურისტებთან კომუნიკაციას ართულებს.

კურორტის განვითარებისათვის კიდევ ბევრი რამ არის საჭირო. გთავაზობთ ზოგიერთ რეკომენდაციას:

- ✓ აუცილებელია ჩატარდეს საინფორმაციო ტურები ტურისტული კომპანიების წარმომადგენლებისთვის;
- ✓ ჩატარდეს საინფორმაციო კამპანიები გომის მთის ცნობადობის ამაღლებისთვის საქართველოში;
- ✓ შეიქმნას კურორტის ოფიციალური ვებ-გვერდი, სადაც იქნება აღწერილი ყველა ისტორიული თუ კულტურული ძეგლი, ტურისტული მარშრუტი, აქტივობები, რითაც შეიძლება დაკავდეს ტურისტი;
- ✓ დაიბეჭდოს ბროშურები და ბუკლეტები, სადაც აღწერილი იქნება გომისმთის უნიკალურობა;
- ✓ განვითარდეს ინფრასტრუქტურა და გაუმჯობესდეს სერვისები;
- ✓ შეიქმნას ისეთი ტუროპერატორები, რომლებიც დაგეგმავენ და განახორციელებენ მრავალფეროვან და დაუვიწყარ ტურებს;
- ✓ მომზადდნენ ადგილობრივი გიდები;
- ✓ სახელმწიფოს მხრიდან მოხდეს ტურისტული კომპანიების წახალისება.

დასკვნა

ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ გომის მთას აქვს დიდი პოტენციალი ტურიზმის განვითარებისათვის, მას აქვს შესაძლებლობა გახდეს ერთ-ერთი მოთხოვნადი და პოპულარული კურორტი საქართველოში, მისი უნიკალური თვისებების გამო ესაა: სუფთა ეკოლოგიური გარემო, ულამაზესი ხედები და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი. მაგრამ ამისათვის საჭიროა საინფორმაციო კამპანიების ჩატარება, ცნობადობის ამაღლება, ინფრასტრუქტურის განვითარება და სერვისების გაუმჯობესობა.

და ჩვენი ნაშრომის ბოლოს გვინდა შემოგთავაზოთ ჩვენი ტური გომის მთაზე.

„კრიმანჭული“ გომის მთიდან

ტურის სახეობა: სათავგადასავლო
სირთულე: საშუალო
სეზონი: ივნისი—სექტემბერი
ტურის ხანგრძლიობა: 3 დღე
სატრანსპორტო საშუალება: მიკროავტობუსი
კვება: სამჯერადი
მანძილი ორივე მიმართულებით: 760 კმ
შეხვედრისა და გასვლის ადგილი: პირველი რესპუბლიკის მოედანი (ველოსიპედთან)
მარშუტი: თბილისი — ჯუმათი — ოზურგეთი — გომის მთა — ჭინჭაურის ტბა — შეკვეთილი - თბილისი

ტურის ფარგლებში მოსანახულებელი ობიექტები:

- ჯუმათის მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია
- ოზურგეთის ეთნოგრაფიული მუზეუმი
- შემოქმედის მონასტერი
- გომის მთა
- ჭინჭაურის ტბა
- შეკვეთილის პარკი „საქართველო მინიატურებში“
- მუსიკალური პარკი
- ჯიხეთის დედათა მონასტერი

დღე 1
08:00 — გამგზავრება თბილისიდან
12.00 — ხემსი ქუთაისში
14:00 — ჯუმათის მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია
15:30 — ოზურგეთის ეთნოგრაფიული მუზეუმი

16:30 - სადილი ოზურგეთში
17:30 — შემოქმედის მონასტერი
18:30 — გომის მთა
19:00 ვახშამი

დავბანაკდებით და გავმართავთ ფოტოსესიას, ვიხილავთ დაუვიწყარ მზის ჩასვლას. კოცონის დანთება, ტურისტებს ვაცნობ გურულ სამზარეულოს, ჩვენი მასპინძელია ცნობილი გურული მზარეული ალეკო ნიკოლაიშვილი, რომელიც ტურისტებთან ერთად კოცონზე გადაადგამს კეცს, რომელიც გურული სამზარეულოს აუცილებელი ატრიბუტია და შკერის ფოთლებში (რაც განსაკუთრებულ არომატს აძლევს) გამოაცხობენ უგემრიელეს მჭადებს, ნიგვზით შეკაზმვენ სხვადასხვა სახის მხალეულს, რომლებსაც გურიაში ფხალს ეძახიან: კეჟერა, ძიგურა, ეკალა, ჭყანა. გურული სამზარეულო წარმოუდგენელია შამფურზე შემწვარი ქათამის გარეშე.

ტურისტები დააგემოვნებენ განსაკუთრებული არომატის მქონე გურულ წითელ ღვინოს - ჩხავერს.

კურორტზე მიწვეული მყავს ახალგაზრდა ფოლკლორისტი ლაშა ჩხარტიშვილი, ბავშთა ფოლკლორულ ანსამბლ „დილას“ ხელმძღვანელი. ის ტურისტებს ჩაუტარებს მასტერკლასს გურულ სიმღერაში, სამი დღის განმავლობაში შეასწავლის გურულ ხალხურ სიმღერა „კრიმანჭულს“ (ან უფრო სუსტი ჯგუფისთვის „რა ყოფილა გურია“).

ღამისთევა კარავში ან საოჯახო სასტუმროში

დღე 2
07:00 — დაუვიწყარი მზის ამოსვლა
08:00 — საუზმე (მზარეული ტურისტებთან ერთად მოამზადებს გურულ ღვეზელს)
10 :00 — გამგზავრება ჭინჭაურის ტბის მიმართულებით (მანძილი გომისმთიდან 11 კმ-ია და წავალთ ცხენებით ან ფეხით)
13:00 პიკნიკი ბუნებაში
14.00 თამაში „ჭაკუნობა“. თამაში გურიაში ძალიან პოპულარული იყო, ხოლო დღეს მივიწყებულია. მოთამაშეთა მიზანია ჭაკუნით (ჯოხით) ლელოს გატანა. თამაშში მონაწილეობს ორი გუნდი, ერთი გუნდი ჭაკუნით (ჯოხით) თამაშობს, მეორე-ფეხით, როგორც კი რომელიმე გუნდი ლელოს გაიტანს როლები იცვლება- ჭაკუნით მოთამაშეები ჯოხს მეტოქეს გადასცემენ, თავად კი ფეხით თამაშობენ.
18: 00 დაბრუნება გომისმთაზე დ ა მასტერ კლასი კულინარიაში
ცეცხლის დანთება და ფელამუშში ჯანჯუხების ამოვლება. ჯანჯუხა გურული ჩურჩხელაა, რომელსაც ნიგვზის ნაცვლად თხილის გულსართი აქვს. მასტერკლასი, გურული ხალხური სიმღერის შესწავლა - „კრიმანჭული“.

3 დღე

08:00— საუზმე გომის მთაზე
9:00 -10:00 - სიმღერის მასტერკლასი და „კრიმანჭულის“ შესრულება (შეძლებისდაგვარად, რასაკვირველია)
11:30 — შეკვეთილი, ზღვაზე გასვლა
12:30 - მუსიკალური პარკი
13:00 — სადილი
13:40 — საქართველო მინიატურებში
15:00 - ჯიხეთის დედათა მონასტერი
16:00 — გამგზავრება თბილისში
19:00 — რესტორანი რიკოთზე
22:00 — დაბრუნება თბილისში, პირველი რესპუბლიკის მოედანი (ველოსიპედთან)

გამოყენებული ლიტერატურა:

- ნოდია მ. (1976) „საქართველოს კურორტები და საკურორტო რესურსები“ წიგნში აღნიშნულია საქართველოს კურორტების მდებარეობა და მდგომარეობა, მათი სამკურნალო რესურსები,მკურნალობის ჩვენება და მოკლე ისტორიული ცნობები.
- საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია (2015) „სახელმძღვანელო შემომყვანი ტურიზმის ბიზნესის დასაგეგმად“
- ოქროცვარიძე ავთანდილი, მაგდა ვადაჭკორია, „ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი“, თბილისი (2011)
- www.guria.gov.ge
- https://www.matsne.gov.ge
- https://reginfo.ge
- https://ka.wikipedia.org/wiki/გომისმთა

ტურიზმის გავლენა დაცულ ტერიტორიებსა და ბიომრავალფეროვნებაზე

ავტორი: **მამუკა ომიაძე**
საქართველოს უნივერსიტეტი
ხელმძღვანელი: **თინათინ მოსიაშვილი**

შესავალი

მსოფლიოში ტურიზმი ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად მზარდ ინდუსტრიას წარმოადგენს. რიგ ქვეყნებში და მათ შორის საქართველოშიც იგი განიხილება სოციალურ-ეკონომიკური წინსვლის განმაპირობებლად, რომელიც ხელს უწყობს სამუშაო ადგილების შექმნასა და სწრაფი შემოსავლის მიღებას. მიუხედავად ამისა, დარგის სწრაფი ზრდის ტემპები გავლენას ახდენს ქვეყნის ბიომრავალფეროვნებაზე, ეკოლოგიურ მდგომარეობასა და მკვიდრ გარემოზე.

ამ ფაქტორების გათვალისწინებით, აუცილებელია, რომ ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, „ტურიზმის განვითარება მიმართული იყოს არა მხოლოდ ტურისტული ნაკადების ზრდისკენ, არამედ რეგიონში არსებული ტურისტული რესურსების შენარჩუნებისკენაც". (ი. ოქრომელიძე)

მნიშვნელოვანია, რომ ტურისტული პროდუქტის დაგეგმვის მთავარი მიზანი ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება და გარემოს ავთენტურობის დაცვაა. მსგავსი მიდგომა გულისხმობს ტურიზმის მდგარდი განვითარების ხელშეწყობას, რომლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის თავსებადობა ტურიზმთან.

დაცული ტერიტორიები და მათი როლი ტურიზმში

მსოფლიოს მაშტაბით დაცული ტერიტორიები წარმოადგენს ტურიზმის ერთ-ერთ ძირითად ობიექტებს. „დაცული ბუნებრივი ტერიტორიები მიეკუთვნება საერთო სახელმწიფოებრივ ღირ-შესანიშნავ ობიექტებს, სადაც განლაგებულია ბუნებრივი კომპლექსები, ობიექტები, რომლებსაც გააჩნიათ განსაკუ-თრებული კულტურული, ესთეტიკური და რეკრეაციულ-გამაჯანსაღებელი მნიშვნელობა. დაცული ტერიტორიების კიდევ ერთ მიზანს წარმოადგენს ხელი შეუწყოს ტურიზმის განვითარებას და ეკოტურისტული სერვისების გამრავალფეროვნებას." (მ. გოგელია)

საქართველოს დაცულ ტერიტორიებს საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს. პირველი ნაკრძალი ლაგოდეხში, 1912 წელს დაარსდა. სწორედ აქედან იწყება საქართველოში დაცული ტერიტორიების ქსელის განვითარება. ამ მიზნით 1996 წლის 7 მარტს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ", რომლის თანახმადაც: ,,დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება საქართველოში ემსახურება თვითმყოფადი ბუნებრივ-კულტურული გარემოსა და მისი ცალკეული კომპონენტების მომავალი თაობებისათვის შენარჩუნებას, ადამიანის სულიერი და ფიზიკური ჯანმრთელობის პირობების დაცვას, რომელიც საზოგადოების ცივილიზებული განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველის შექმნაა". (საქართველოს კანონი დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ)

დღეს საქართველოში სულ 90-მდე დაცული ტერიტორია გვაქვს, რომლეთა საერთო ფართობი 600, 490 ათას ჰექტარია (ქვეყნის ფართობის 8,6%). დაცული ტერიტორიები სხვადასხვა კატეგორიებად იყოფა მიზნებისა და დასაცავი ტერიტორიის თავისებურების შესაბამისად. დაცული ტერიტორიების კატეგორიებია: სახელმწიფო ნაკრძალი, ეროვნული პარკი, ბუნების ძეგლი, აღკვეთილი, დაცული ლანდშაფტი, მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია, რომელთა ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს რეკრეაციული პირობების შექმნა და ტურიზმის განვითარება. (apa.gov.ge)

დაცული ტერიტორიების ქსელი წარმოადგენს მნიშველოვან რგოლს ტურიზმის განვითარებაში, რადგან მათ გააჩნიათ რიგი უპირატესობები:

- განლაგებულია მიმზიდველ, შემეცნების თვალსაზრისით საინტერესო ადგილებში;
- ფლობს ტურისტული ჯგუფების მომსახურების ჩამოყალიბებულ, ტურისტული მარშრუტების სრულყოფილ და საგანმანათლებლო სამუშაოების ორგანიზების სისტემას;
- გააჩნია განსაკუთრებული ინფრასტრუქტურა და მომზადებული პერსონალი;
- აყალიბებს ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულებას კონკრეტულ ტურისტებთან და არსებულ შეზღუდვებთან.

მიუხედავად იმისა, რომ დაცული ტერიტორიების ჩამოყალიბებისა და განვითარების ერთ-ერთ დამატებითი მიზანი რეგიონში ტურიზმის გავითარების ხელშეწყობაა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მათ უმთავრეს მიზანი უნიკალური ბიომრავალფეროვების შენარჩუება და დაცვაა. შესაბამისად, დაცული ტერიტორიების ფარგლებში ტურიზმის კომპონენტი მკაცრი ჩარჩოების ფარგლებში უნდა ექცეოდეს, როგორც რაოდეობრივი, ასევე თვისობრივი მახასიათებლებით.

სტატისტიკური ანალიზი

სტატისტიკური მონაცემის მიხედვით, რომელსაც გვთავაზობს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, 2018 წელს საქართველოში 8 679 544 საერთაშორისო მოგზაურის ვიზიტი განხორციელდა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 9,8%-ით აღემატება.

ასევე საინტერესოა დაცული ტრიტორიების სააგენტოს მიერ შემოთავაზებული სტატისტიკური მონაცემები, რომლის თანახმადაც, 2018 წელს საქართველოს დაცულ ტერიტორიებს 1 108 503 ვიზიტორი სტუმრობდა. რაც წინა წლის მონაცემებს 20-21%-ით აღემატება.

სააგენტოს სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით გამოვლინდა 2018 წლის ყველაზე მონახულებადი დაცული ტერიტორიები, რომელთა პირველი სამეულს ასე გამოიყურება:

პრომეთეს მღვიმე (185 516 ვიზიტორი), ყაზბეგის ეროვნული პარკი (174 520 ვიზიტორი), მარტვილის კანიონი (174 143 ვიზიტორი)

პრობლემის რაობა

ზემოთ მოყვანილი სტატისტიკური მონაცემების გათვალისწინებით, ნათლად ჩანს ტურისტთა ნაკადის ზრდის ტენდენცია საქართველოში, რომელიც ასევე პირდაპირპროპორციულად აისახება დაცულ ტერიტორიებში ვიზიტორთა ნაკადის ზრდაზე. თუმცა აუცილებელია გავაანალიზოთ, რამდენად შესწევს ძალა საქართველოს დაცულ ტერიტორიებს, უმასპინძლონ მსგავსი რაოდენობის ვიზიტორებს, ისე რომ არ დაირღვეს მათი ბუნებრივი წონასწორობა, ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვება. საინტერესოა, რამდენად შეესაბამება ვიზიტორთა რაოდენობა ამავე ტერიტორიების გამტარიანობის პოტენციალთან.

ტურიზმის მდგრადი განვითარების კონცეფციას საფუძვლად უდევს გამტარობის პოტენციალის ცნება. ეს არის ის მაქსიმალური დატვირთვა, რომელსაც შეუძლია გაუძლოს ამა თუ იმ ტურისტულმა ობიექტმა. „გამტარიანობა" ვიზიტორთა მიერ ტერიტორიის გამოყენების ის დონეა, რომელიც რესურსებზე უმნიშვნელო ზემოქმედებით უზრუნველყოფს მათი დაკმაყოფილების მაღალ დონეს (WTO, 1994). ეს კონცეფცია გულისხმობს იმას, რომ არსებობს ვიზიტორთა მიერ ტერიტორიების გამოყენების საზღვრები და ფორმები.

ტურიზმის უარყოფითი გავლენა პირველ რიგში აისახება ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეზე ან მასობრივი დასვენების და მოგზაურობის ადგილებზე. ტურისტებს განსაკუთრებით იზიდავს ტყის ნატურალური ლანდშაფტი. ტყის ხანძარი რომელიც უკავშირდება დანთებულ კოცონს, მიეკუთვნება ერთ-ერთ მიშვნელოვან გამოწვევას დაცული ტერიტორიების ფარგლებში.

ტურიზმის მასიური განვითარება მალავს ბევრ საშიშროებას ცხოველთა სამყაროსთვისაც, რადგან ზოგიერთი ტურისტი არ კმაყოფილდება დათვალიერებით, ფაუნის წარმომადგენლების კინო-ფოტოგადაღებით და ცდილობს რომ ცხოველის მოკვლით მიიღოს სიამოვნება. ცოტას ფიქრობს იმაზე, თუ რა დანაკლისს აყენებს ბუნებას. ბოლო ტენდენციებით დაცულ ტერიტორიების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი პრობლემა კვლავ ბრაკონიერობა და ხე-ტყის უკანონო ჭრაა.

კვლევა

გამომდინარე იქედან, რომ დარგის პრაქტიკოსების და სპეციალისტების აზრი მნიშვნელოვანია კონკრეტული გეგმებსა თუ იდეებზე მუშაობის პროცესში, გადავწყვიტეთ ჩავატაროთ კვლევა, რომელიც გამოკვეთს პრობლემის რაობას და მისი მოგვარების გზებს.

კვლევის პირველ ეტაპზე გამოვიკვლიეთ პოპულარული დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმები, რომელთა თანახმად: ,,დაცული ტერიტორიების შექმნა ემსახურება შემდეგ მიზნებს:

ა) თვითმყოფადი ბუნებრივი კულტურული გარემოსა და მისი ცალკეული კომპონენტების, უნიკალური და იშვიათი ორგანული თუ არაორგანული ბუნებრივი წარმონაქმნების, არქეოლოგიური კომპლექსების, ბუნების იშვიათი ძეგლების დაცვის, აღდგენისა და შენარჩუნების ხელშეწყობა;

ბ) დაცულ ტერიტორიებზე ბუნებრივ და ისტორიულკულტურულ გარემოში რეკრეაციისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა;

გ) დაცული ტერიტორიების ფარგლებში მიწის, წყლის, ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს (მათ შორის, ტყეების) და სხვა ბუნებრივი რესურსების მოვლის, დაცვისა და აღდგენის უზრუნველყოფა;

დ) ბუნების ძეგლების დაცვისა და აღდგენისათვის, განათლებისა და მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნისა და მონიტორინგის განხორციელების ხელშეწყობა."

როგორც ვხედავთ, მენეჯმენტის გეგმებში გაწერილი მიზნები პრიორიტეტული ამოცანების მიხედვითაა დალაგებული, სადაც ტურიზმის გავითარების ხელშეწყობა წინ უსწრებს დაცული ტერიტორიების უმთავრეს მიზანს, ბუნებრივი რესურსების, ფლორისა და ფაუნის დაცვისა და აღდგენის უზრუნველყოფას. ხოლო როდესაც დაცული ტერიტორიების შექმნისა და არსებობის მიზნებს განვიხლავდით არაერთხელ ავღნიშეთ, რომ მეტად პრიორიტეტულია დაცულ ტერიტორიებზე ბიომრავალფეროვნების დაცვა-შეარჩუება, ვიდრე ტურიზმის ხელშეწყობა.

კვლევის მეორე ეტაპზე ჩაღრმავებული ინტევიუს გამოყენებით გამოვკვეთეთ დარგის სპეციალისტების შეხედულებები და რეკომენდაციები, რომელსაც რეზიუმეს სახით გაგაცნობთ.

თუშეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის ყოფილი დირექტორი, ამჟამად თუშეთის დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციის ხელმძღვანელი, ანზორ გოგოთიძე, რომელიც აქტიურადაა ჩართული დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმების შემუშავების პროცესში, მიიჩნევს, რომ არსებული მენეჯმენტის გეგმები შესაბამისობაშია IUCN-ის სტანდარტებთან და ამ მიმართულებით არ გვაქვს პრობლემა. თუმცა, ერთია გეგმის სწორად შედგენა და მეორე მისი სწორად გაგება და განხორციელება. გოგოთიძის აზრით, „მმართველ ორგანოებში არსებობს მცდარი შეხედულება, რომ დაცული ტერიტორიების მთავარი მიზანი ტურიზმის განვითარებაა. ამ ეტაპზე ყველაზე დიდი პრობლემა არის დამოკიდებულება დაცული ტერიტორიების მიმართ, რაზეც მეტყველებს დაცული ტერიტორიების სააგენტოს საქმიანობა, როდესაც ის უფრო მეტად ტურიზმზეა ორიენტირებულია, ვიდრე კონსერვაციულ პროგრამებზე". გოგოთიძის თქმით, დაცულ ტერიტორიებზე სწორად დაგეგმილი ტურიზმი მნიშვნელოვანია დაცული ტერიტორიების არსებობისა და განვითარებისათვის, თუმცა ტურიზმმა დაცულ ტერიტორიებზე ხელი უნდა შეუწყოს კონსერვაციას და არა პირიქით, კონსერვაციამ - ტურიზმს.

ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) კონსერვაციის პროგრამის დირექტორის, ბატონ ნუგზარ ზაზანაშვილის აზრით, კონსერვაციის კონცეფცია გასულ წლებთან შედარებთ დაიხვეწა და ამ მიმართულებით განვითარების ტენდენცია შეინიშნება. „ვიზიტორთა ნაკადის ზრდა ცუდი არ არის დაცული ტერიტორიის

განვთარებისთვის, ვიდრე ის არ გადააჭარბებს ზღვრული გამტარიანობის მაჩვენებელს. პრობლემა მდგომარეობს შემდეგში: დღევანდელი მონაცემებით, ყველაზე მეტი ვიზიტორი მცირე მაშტაბის მქონე ბუნების ძეგლებზე მოდის, რომლებიც მისულნი არაინ გამტარიანობის ზღვარზე. განსაკუთრებით მღვიმის ეკო-სისტემები, რომლებიც საგრძნობლად სენსიტიურია. ასეთ ტერიტორიებზე 100 ათასობით ვიზიტორი ცვლის მიკროკლიმატს, რომელიც იწვევს მთლიანად სისტემის რღვევას, სტალაქტიდებისა და სტალაგმიტების მსხვრევას, ფაუნის წარმომადგენლების დაფრთხობას". ზაზანაშვილის რეკომენდაციით, დაცულ ტერიტორიებზე უახლოეს მომავალში უნდა დაინერგოს მონიტორინგის მექნიზმი, რომელიც კონკრეტული დაცული ტერიტორიის ზომისა და თავისებურებების გათვალისწინებით, მოგვცმს საშუალებას შევაფასოთ ტურისტული დატვირთვის მაჩვენებელი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვიზიტორთა მსგავი ტემპებით ზრდა უახლოეს მომავალში გამოიწვევს არარაგულირებადი ტურიზმის ჩამოყალიბებას, რაც შეუშლის ხელს დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნების კონსერვაციას.

ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივას" პოლიტიკის ანალიტიკოსი ქალბატონი ქეთი გუჯარაიძე ცალსახად აღნიშნავს, რომ დაცული ტერიტორიების შექმნისა და არსებობის უმთავრესი მიზანი ბუნებრივი კომპლექსების კონსერვაციაა, თუმცა, „სახელმწიფოს დამოკიდებულება სხვაგვარად ვლინდება: პოლიტიკის თვალსაზრისით, რომელსაც მმართველი ორგანოები ახორციელებენ, ნათლად ჩანს, რომ ტურიზმს პრიორიტეტულ ამოცანად მიიჩნევენ, ვიდრე ბუნების კონსერვაციას. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ დაცული ტერიტორიის მენეჯმენტის გეგმაში არ გვხვდება კონტროლისა და მონიტორინგის მექანიზმები, ასევე გამტარიანობის მაჩვენებელი, რომელზე დაყრდნობთაც შესაძლებელი იქნებოდა ანალიზის გაკეთება და სწორი დასკვნების გამოტანა, არის თუ არა ვიზიტორთა ნაკადის ზრდა ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის ხელშემშლელი".

ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის დირექტორი ბატონი გიორგი სულამანიძე მიიჩნევს, რომ ისეთი ფართობის მქონე დაცული ტერიტორიებზე, როგორიც არის ლაგოდეხის დაციული ტერიტორია, ვიზიტორთა რაოდენობა, რომელიც ამჟამად დადის, თუნდაც ლაგოდეხში, არ წარმოადგენს ხელშემშლელ ფაქტორს ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისათვის და ამ მიმართულებით ეკოტურიზმს ერთ-ერთ დამხმარე ინსტრუმენტად განიხილავს. თუმცა პრობლემას კანონმდებლობაში ხედავს: ,,ამ ეტაპზე არ არსებობს ჩამოყალიბებული ინსტრუმენტი, რომლითაც შეიძლება გაიზომოს ვიზიტორების გავლენა ბიომრავალფეროვნებაზე. აუცილებელია გვქონდეს საკანონმდებლო ბაზა და ინდიკატორები, რომელთა საშუალებით შევძლებთ გავიგოთ რა არის გამტარიანობის პიკი. ეს დაგვეხმარება სწორი მართვის მექნიზმების შემუშავებასა და დანერგვაში."

SWOT ანალიზი (ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და სართხეები).

ისევე, როგორც ყველაფერს სამყროში, ვიზიტორების რაოდენობის კონტროლს საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე აქვს ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები (SWOT).

ძლიერი მხარეები:

- ეკონომიკური შემოსავლების ზრდა
- სამომავლოდ სწორი მენეჯმენტის გეგმის განვითარება
- მდგარდი ტურიზმის პრინციპების დანერგვის ხელშეწყობა

სუსტი მხარეები:

- კონტროლისა და მონიტორინგის მექანიზმის არარსებობა
- ბიომრავალფეროვების შენარჩუნებაზე ნაკლები ყურადღების გამახვილება როგორ სამთავრობო სტრუქტურების, ასევე ვიზიტორების მხრიდან
- ამ მიმართულებით ადამიანური რესურსების ნაკლებობა და დაბალი კვალიფიკაცია
- დაბალი ანაზღაურება დაცული ტერიტორიების ქსელში

შესაძლებლობები:

- საბიუჯეტო სახსრების გაზრდა
- საერთაშორისო პარტნიორებისთან და დონორებთან თანამ-შრომლობა-ბიომრავალფეროვნების შესანარჩუნებლად
- სწორი მენეჯმენტის დასახვა
- უცხოური გამოცდილების გაზიარება
- საკანონმდებლო ბაზის დახვეწა და გაძლიერება

საფრთხეები:

- ბიომრავალფეროვნების დეგრადაცია
- ჰაბიტატების რღვევა
- არარეგულირებადი ტურიზმის განვითარება

ტურიზმი და მდგრადი განვითარება

,,მდგრადი განვითარება — საზოგადოების განვითარების ისეთი სისტემა, რომელიც საზოგადოების ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს ადამიანის კეთილდღეობას, ცხოვრების დონის ხარისხის ზრდას და მომავალი თაობების უფლებას ისარგებლონ მაქსიმალურად დაცული ბუნებრივი რესურსებითა და გარემოთი." (www.moe.gov.ge)

ქვეყნაში ტურიზმის განვითარების საფუძველია ეროვნული და რეგიონული დაგეგმვა. დაგეგმვის კონცეფცია, დაგეგმვისა და მარკეტინგის მეთოდიკა უნდა ეფუძნებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს. ეს სტანდარტები ითვალიწინებს: კომპლექსურ ხედვებსა და მიდგომებს; ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და სოციალ-კულტურული ფაქტორების თანაფარდობას; მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა ასეთი მიდგომა შეიმუშავა მტო-მ

(მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია). ტურისტული ინდუსტრია უნდა განვითარდეს, როგორც მოთხოვნა-მიწოდების ფაქტორთა ურთიერთდაკავშირებული სისტემა.

„ტურიზმის მდგარადობის მიღწევა უწყვეტი პროცესია, რომელიც მოითხოვს გარემოზე მუდმივ მონიტორინგს, ზრუნავს და გონივრულ ექსპლუატაციას. მდგრად ტურიზმს, როგორც ეკონომიკურ დარგს, ბევრი ქვეყნისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და როგორც ეკონომიკური ფაქტორი საზოგადოების განვითარების აქტიური საკითხების ბევრ ასპექტს მოიცავს." (ქეთევან ქველაძე, მედეა მელაშვილი, ნუნუ ქისტაური)

პირადი დამოკიდებულება

მდგარდი ტურიზმის კომპონენტს შეადგენს დაცული ტერიტორიების მართვის მექანიზმები, რომელთა ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი გრძელვადიანი გეგმების დასახვაა. გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი საკითხი: არსებული პონტენციალის ფარგლებში როგორ შეიძლება სწორი მიმართულებით განვავითაროთ დაცული ტერიტორიების მენეჯმენტი ტურიზმის მიმართულებით. სწორად გავთვალოთ რისკები, საფრთხეები და მოსალოდნელი შედეგები ისე, რომ უზრუნველვყოთ დაცული ტერიტორიების მთავრი მიზნის განხორციელება, დავიცვათ უნიკალური ბიომრავალფეროვება, ხოლო არსებული გამტარიანობის გათვალისწიებით სწორად გაითვალოს ვიზიტორთა რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები.

ვფიქრობ, მდგრადი ტურიზმის კომპომნენტების დანერგვა და ამ მიმართულებით დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის განვითარება ხელს შეუწყობს დაცული ტერიტორიების პოპულარიზაციას, ბიომრავალფეროვნების კონსერვაციას, ტურიზმის მდგრადი განვითარების ხელშეწყობას, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების გაზრდას, რაც საბოლოო ჯამში აისახება ქვეყნის როგორც ეკონომიკურ, ასევე ეკოლოგიურ მდგომარეობაზე.

რეკომენდაციები

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით გვსურს გამოვყოთ რამოდენიმე რეკომენდაცია, რომელიც ვფიქრობთ, ხელს შეუყობს დაცული ტერიტორიებზე ტურიზმის კომპონენტის მდგარდ განვითარებას.

- ისეთი სახის დოკუმენტებსა და კანონმდებლობაზე, როგორიცაა ტურიზმის სტრატეგია, დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმები, ეკო-ტურიზმის გეგმა, მეტი ყურადღების გადატანა მდგრადი ტურიზმის კომპონენტებზე.
- უახლოეს მომავალში დაცულ ტერიტორიებზე მონიტორინგის მექანიზმის დანერგვა. ეს მექანიზმი კონკრეტული დაცული ტერიტორიის ზომისა და თავისებურებების გათვალისწინებით საშუალებას მოგვცემს, შევაფასოთ ტურისტული დატვირთვის მაჩვენებელი.
- აუცილებელია შეიცვალოს ამჟამად ჩამოყალიბებული დამოკიდებულება დაცული ტერიტორიების მიმართ, რომელიც ვიზიტორთა რაოდენობის ზრდაზეა ორიენირებული. მეტი აქცენტი გადავიტანოთ სახეობათა კონსერვაციაზე. ტურიზმის კომპონენტი დაცული ტერიტორიების ფარგლებში ხელს უნდა უწყობდეს კონსერვაციას.
- დაცულ ტერიტორიებზე ყოველი ახალი ეკოტურისტული სერვისის დანერგვამდე გასათვალისინებელია ბიომრავა-ლფროვნებაზე მისი გავლენის რაციონალური შეფასება.

გამოყენებული ლიტერატურა:

- „საქართველოს დაცული ტერიტორიები", თბილისი, „წიგნის სახელოსნო", 2007 წ.
- „საქართველოს დაცული ტერიტორიები", ცნობარი, თბილისი 2013წ.
- „თუშეთის დაცული ტერიტორიები. სამახსოვრო"
- ეკოლოგიური ტურიზმი, ნაზი ალხანაშვილი, თბილისი, ,,უნივერსალი", 2012წ.
- მ. გოგელია, დისერტაცია: ,,ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების სტრატეგიების ფორმირება" ბათუმი, 2013
- საქართველოს პარლამენტის აპარატი, კვლევითი განყოფილება ,,ეკოტურიზმის განვითარების პერსპექტივა საქართველოში"
- ეკოტურიზმის ასოციაცია ,,ბუების შემსწავლელი ბილიკები", თბილისი 2013წ.
- www.apa.gov.ge
- http://moe.gov.ge/
- https://gnta.ge/
- https://matsne.gov.ge/
- http://wwf.panda.org/what_we_do/where_we_work/black_sea_basin/caucasus/
- https://matsne.gov.ge/ka/document/view/1743146?publication=0
- http://gov.ge/files/50089_50089_954365_306-1.pdf
- https://www.researchgate.net/publication/325094754_mdgradi_turizmi_da_misi_roli_kveqnis_ekonomikis_mdgradobashi?fbclid=IwAR1NvT5sEGzNrFb9f6Sx6LmninR_N5ZWtlQdyMifwWFfUfq8bWtDzoju_SQ

პროფესიული და უმაღლესი განათლების როლი ტურიზმში, გამოწვევები და პერსპექტივები

ავტორი: **სალომე სულაძე**
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
ხელმძღვანელი: **ნინო კეკელიძე**

შესავალი

საქართველო თავისი მრავალფეროვანი ბუნებით, ისტორიული ძეგლებითა და ტრადიციებით ერთ-ერთი გამორჩეული ქვეყანაა მთელ მსოფლიოში, რის გამოც ყოველწლიურად იზრდება ტურისტების რაოდენობა, რაც თავის მხრივ მდგრადი ტურიზმის განვითარებას უწყობს ხელს. აღნიშნულ ნაშრომში წარმოდგენილია ტურიზმის საგანმანათლებლო მიმართულების გასაძლიერებლად რეკომენდაციები და რჩევები, რომელიც მიმართული იქნება უცხო ენებისა და მეტი პრაქტიკული უნარ-ჩვევების განსავითარებლად, რომ კურსდამთავრებულს დაეხმაროს დასაქმებაში.

თავი 1. მეტი პრაქტიკული უნარ–ჩვევების დანერგვა საქართველოს უნივერსიტეტებში.

საქართველოში ტურიზმის განვითრებისათვის აუცილებლია სათანადო განათლება ჰქონდეთ ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტებს. მნიშვნელოვანია სწავლის დროს აქცენტი გაკეთებული იყოს შემდეგ დეტალებზე:

1. პროდუქტის შექმნა

2. პროდუქტის შეფუთვა (მარკეტინგი) და PR (საზოგადოებასთან ურთიერთობა)

3. პროდუქტის რეალიზაცია

უმნიშვნელოვანესია თეორიული ცოდნის შერწყმა პრაქ-ტიკულ უნარ-ჩვევებთან. დღეს საქართველოს უმაღლეს უნივერსიტეტებში სტუდენტები გადიან ძირითადად პრაქტიკას ტურისტულ სააგენტოებსა ან სასტუმროებში, მხოლოდ 1 თვე, რომელიც სამწუხაროდ საველე გასვლებსა და უნარ-ჩვევებს არ მოიაზრებს. თუმცა საველე გასვლები და პრაქტიკული უნარ-ჩვევები ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ზემოხსენებული ორი პრაქტიკა სასტუმროსა და ტურისტულ სააგენტოში. ეს ყველაფერი დაეხმარება სტუდენტს სათანადო პრაქტიკული განათლების მიღებაში, ტურისტულ ბიზნესში მარტივად დასაქმებასა შემდგომში ტურიზმის ინდუსტრიის მდგრად განვითრებაში.

თავი 2. პრაქტიკის როლი სტუდენტების განვითარების პროცესში

ზემოაღნიშნული პრაქტიკა დაეხმარება სტუდენტს უკეთ გაიზარდოს და გათვითცნობიერდეს მის პროფესიასა და სამომავლო კარიერაში. შეიძინოს ისეთი უნარები, როგორებიცაა: უცხო ხალხთან კომუნიკაცია, გუნდური მუშაობა, ტურის დაგეგმვა, ბიუჯეტირება, ტურის რეალიზება, განხორციელებული ტურის დაარქივება, გიდის ხელოვნების შესწავლა და ა.შ. რეკომენდებულია, რომ პრაქტიკა დაიწყოს მე-3 კურსიდან. პირველი ორი წლის განმავლობაში სტუდენტებმა შეისწავლონ მხოლოდ თეორიული მასალა, რადგან ზოგადი წარმოდგენა შეექმნათ ტურისტული ინდუსტრიისა და ზოგადად ტურიზმის შესახებ. მე-3 და მე-4 კურსი თეორიულ მასალასთან ერთად პრაქტიკული უნარ-ჩვევების შესწავლას დაეთმოს და აქცენტი უფრო მეტად პრაქტიკულ სამუშაოებზე გამახვილდეს.

თავი 3. პრაქტიკის სახეობები, რეკომენდაციები

რეკომენდირებულია სამი სახის პრაქტიკა: სასტუმროში, ტურისტულ სააგენტოსა და საველე გასვლები. სასურველია სასტუმროში პრაქტიკას დაეთმოს მე-3 კურსის პირველი სემესტრი. სატუმროს ინდუსტრია ტურიზმის შემადგენელი და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. აუცილებელია ტურიზმის ინდუსტრიაში მომუშავე პირმა იცოდეს ის თუ რას წარმოადგენს და რა დატვირთვა აქვს სასტუმროს ტურიზმში, თუნდაც შეხება არ ქონდეს სასტუმროებთან. დღეისთვის საქართველოს უნივერსიტეტების ძალიან ბევრი სტუდენტი პრაქტიკას გადის სასტუმროში, მაგრამ მხოლოდ ერთი სამუშაოს ტიპის შესრულება უწევს, რომელიც განისაზღვრება იმით თუ რომელ დეპარტამენტში მოხვდება გადანაწილების დროს და როგორც ცნობილია სტუდენტებს ნაკლებად აქვთ შეხება სასტუმროს მენეჯმენტთან. სტუდენტი პრაქტიკას იმისთვის გადის, რომ მან პრაქტიკული უნარ-ჩვევები გამოიმუშაოს ამა თუ იმ სფეროში, მაგრამ როდესაც მხოლოდ ერთი სამუშაოს ტიპის კეთება უწევს, ეს არ არის საკმარისი სასტუმრო ინდუტრიის პრაქტიკული უნარ-ჩვევების შესასწავლად. შესაბამისად, რეკომენდირებულია, რომ სასტუმროში პრაქტიკის დროის განმავლობაში სტუდენტმა ყველა დეპარტამენი მოინახულოს, გამოცადოს საკუთარი რესურსები სასტუმროს სხვადასხვა პოზიციებზე და კარგად გათვიცნობიერდეს იმ საჭირო უნარ-ჩვევებში,რომელიც მას დასაქმების დროს სჭირდება. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ მან მენეჯერთან - ზედა რგოლთან იმუშაოს, რადგან მათთან მუშაობა სტუდენტს მნიშვნელოვნად ათვიცნობიერებს ზედა და ქვედა რგოლის ურთიერთკავშირზე. მუშაობა ყველაზე მნიშვნელოვანი მონაკვეთია სასტმროში პრაქტიკის განმავლობაში. სტუდენტი, რომელიც გარკვეული დროის შემდეგ გახდება სასტუმროში მენეჯერი მას ძალიან კარგად ეცოდინება ის თუ რა ტიპის და რა სირთულის მუშაობაა თითოეულ დეპარტამენტში, რადგან მას გავლილი ექნება პრაქტიკაში და ამის ფონზე უკვე აღარ გაუჭირდება დეპარტამენტების თანამშრომლებთან ურთიერთობა და მათი პრობლემების მოგვარება. ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, კურსდამთავრებულს გარდა პრაქტიკული უნარ-ჩვევებისა სჭირდება მინიმუმ ორი უცხო ენის სრულფასოვნად ცოდნა, რომლის ათვისება მე-3 მე-4 კურსის განმავლობაში უნდა შეძლოს. მესამე კურსის მეორე სემესტრი მნიშვნელოვანია დაეთმოს ტურისტულ სააგენტოებში პრაქტიკის გავლას. ტურისტული

სააგენტოები ძალიან მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ტურიზმის ინდუსტრიაში. ფაქტობრივად მის გარეშე შეუძლებელია ტურიზმის განვითარება. ტურისტულ სააგენტოებში სტუდენტებმა სასურველია შეისწავლონ ისეთი უნარ-ჩვევები როგორებიცაა: ტურისტებთან კომუნიკაცია, კროსკულტურული ურთიერთობები, ტურის დაგეგმა,ბიუჯეტირება, ტურის განხორციელება, განხოეციელებული ტურის დაარქივება, ქართველ და უცხოელ პარტნიორებთან და სერვისის მომწოდებლებთან უერთიერთთანამშრომლობა, მიმზიდველი ტურ-პაკეტების შეფუთვა და რეალიზება. ძალიან მნიშვნელოვანია სტუდენტმა შეისწავლოს სწორი და ტურისტისთვის მიმზიდველი პროდუქტის შექმნა. ტურისტულ სააგენტოებში სასურველია ისწავლებოდეს ისეთი ტურის შექმნას სადაც საქართველოს მრავალფეროვანი კულტურა და ბუნება კარგად იქნება წარმოჩენილი. საქართველო მარტო ბუნებით, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებითა და მრავალფეროვანი კულტურით კი არ გამოირჩევა, არამედ მრავალსაუკუნოვანი ისტორიითაც, რასაც კარგი იქნება თუ ყოველ ტურში ხაზი გაესმება. ტურისტი მარტო ბუნებითა და ძეგლებით კი არ უნდა აღფრთოვანდეს, არამედ ისტორიითაც იმიტომ, რომ საქართველო მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ქვეყანაა. მეოთხე კურსი სასურველია დაეთმოს საველე გასვლებს. საველე გასვლითი პრაქტიკა შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია ტურიზმის ინდუსტრიაში. შეუძლებელია სტუდენტმა დაგეგმოს კარგი ტური თუ მას თავისი ქვეყანა, მისი ბუნებრივი სილამაზით, კულტურული ძეგლებით, ეროვნული პარკებითა და ნაკრძალებით არ აქვს ნანახი. დღეს საქართველოს უნივერსიტეტებში საველე გასვლები ნაკლებად არის. აღნიშნული პრაქტიკის დროს სასურველია სტუდენტებმა მოინახულებენ საქართველოს ყველა კუთხე, გაეცნონ ისტორიულ ძეგლებს და მათ ისტორიებს, მოინახულონ საქართველოში არსებული ყველა ეროვნულ პარკი, ნაკრძალი თუ დაცული ტერიტორია. საველე პრაქტიკა სტუდენტებს დაეხმარება თავისი ქვეყნის უკეთ გაცნობასა და მის დაფასებაში, რომლის დროსაც მნიშვნელოვნად უნდა გაესვას ხაზი გიდის ხელოვნების შესწავლას, რადგან ამ საგანს მარტო თეორიით ვერ ისწავლის სტუდენტი. აღნიშნული სტუდენტს ჩამოუყალიბებს ისეთ თვისებებს, რაც გიდს უნდა ჰქონდეს. მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან თეორიულად ნასწავლი გიდის ხელოვნება და თეორიული მასალის პრაქტიკაში მოყვანა, ქალაქის ქუჩებსა თუ დაცულ ტერიტორიებზე. ტურიზმი თუ მოგზაურობაა და სხვა კულტურების გაცნობა, როგორ უნდა დაათვალიერებინოს და მოუყვეს უცხოელ ტურისტს კურსდამთავრებულმა გიდმა თავისი ქვეყნის ღირსშესანიშნაობების, კულტურისა და ბუნების შესახებ, თუ თვითონაც არ აქვს ნანახი. ან როგორ უნდა შეუქმნას დამწყებმა ტუროპერატორმა ტური,რომელიც ტურისტს თავს დაამახსოვრებინებს, როდესაც თვით ტურიპერატორი არ ყოფილა იმ ადგილებში? ამიტომაც აღნიშნული უხეხულობების თავიდან ასაცილებლად და ტურიზმის განსავითარებლად საჭიროა ამ პრაქტიკის დანერგვა. ტურიზმში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი უცხო ენების ფლობაა. როდესაც სტუდენტი უნივერსიტეტს დაამთავრებს ის სრულყოფილად უნდა ფლობდეს რამოდენიმე ენას. პირველ რიგში, ინგლისურს, ხოლო მეორე, ან მესამე ენა უნდა განისაზღვროს და ისწავლებოდეს იმის გათვალისწინებით საქართველოში ყველაზე ხშირად ინგლისურენოვანი ტურისტების გარდა რომელი ქვეყნებიდან ხდება ტურისტების შემოდინება. დღეისთვის საქართველოს უნივერსიტეტების კურსდამთავრებულთ უმრავლესობა არათუ რამოდენიმე, არამედ ინგლისური ენაც არ იციან სრულყოფილად. შესაბამისდად სასურველია, რომ უნივერსიტეტებში გაძლიერდეს უცხო ენების შესწავლა, რის გარეშეც შეუძლებელია კურსდამთავრებულების დასაქმება.

დასკვნა

საქართველოში ტურიზმის განვითარების ძალიან დიდი პოტენციალია. ეს ჩვენი ქვეყნის ბუნების, კულტურული ძეგლების, კულტურისა და ისტორიის დამსახურებაა. თუმცა ტურიზმის განვითარებისათვის მარტო ეს ყველაფერი არ კმარა. თუ განათლებული და თავისი საქმის პროფესიონალი კადრები არ ეყოლება ქვეყანას, ტურიზმი ვერ წაიწევს წინ. განათლების მიღებაში მხოლოდ თეორიული სწავლება არ იგულისხმება. თეორიული ცოდნა პრაქტიკულ სამუშაოებში უნდა განახორციელოს სტუდენტმა, რომელსაც უნივერსიტეტი შესთავაზებს და ამის შემდეგ თავისუფლად შეძლებს სამუშაოს დაწყებას, რადგან ასე თუ ისე გამოცდილება ექნება ტურიზმის ძირითად დარგებში. აღნიშნული, რომ განხორციელდეს საჭიროა საქართველოს უნივერსიტეტებში მეტი პრაქტიკული კომპონენტების დანერგვა და მის განვითარებაზე ზრუნვა.

მეგალითური ტურიზმის განვითარების პერსპექტივები ქვემო ქართლში

ავტორი: **მედეა ტაბატაძე**
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
ხელმძღვანელი: **მანანა ალადაშვილი**

მეგალითური ტურიზმი ეს ის თემაა, რომელიც შეიძლება განვიხილოთ სამომავლო პერსპექტივად, არსებობს პოტენციალი, რომ განვითარდეს მეგალითური ტურიზმი საქართველოში, რადგან კავკასიასა და კერძოდ საქართველოში გვხვდება მეგალითური ნაგებობები სხვადასხვა რაიონებში: ქვემო ქართლში, მესხეთ-ჯავახეთში და აფხაზეთში. მეგალითები - უზარმაზარი ქვის ლოდებისგან აღმართული ნაგებობაა. მეგალითები გავრცელებულია მთელს მსოფლიოში. უფრო მეტად ზღვისპირა რაიონებში, მეგალითების დანიშნულება ყოველთვის არ არის გარკვეული უმთავრესად ისინი სამარხებია ან დაკრძალვის კულტს უკავშირდება. როგორც ჩანს, მეგალითები არის სათემო ნაგებობები. პირველყოფილი ტექნიკის პირობებში მათი აღმართვა ძალიან რთული იყო და ბევრი მუშახელი სჭირდებოდა. მეგალითური კულტურები ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი სრულყოფილად. საქართველოს სხვადასხვა რაიონებში აღმოჩენილია უძველესი ტიპის მეგალითური კულტურის ძეგლები, რომლებიც როგორც ჩანს, მიეკუთვნებიან გვიანი ნეოლითის ხანას. პროფესორი ლ.მელიქსეთ-ბეგი, რომელიც საქართველოს მეგალითური ნაგებობების შესწავლას აწარმოებდა წლების მანძილზე, ფუნქციონალური - სემანტიკური მნიშვნელობისმიხედვითამძეგლებსორჯგუფადყოფს.ერთჯგუფს მიეკუთვნება საცხოვრებელი ნაგებობანი და ციხე - სიმაგრეები, ხოლო მეორე ჯგუფს მხოლოდ და მხოლოდ კულტის ობიექტები (მენჰირები, ვეშაპები, ქალქვები და სხვა). საცხოვრებილი ნაგებობები წარმოადგენენ საკმაოდ გაშლილ ნაქალქარებს, რომლებიც განლაგებულნი არიან მთების ფერდობებზე ან მწვერვალებზე, განცალკევებული, მაგრამ ურთიერთშორის დაკავშირებული კომპლექსების სახით (გოხნარი, ავრანლო, სანთა), ან ლაბირინთების სახით. მეგალითური კულტურის ძეგლების ზუსტი დათარიღებისათვის საჭიროა ჩატარებულ იქნეს არქეოლოგიური გათხრები, რომელთაც შეუძლიათ ნათელი მოჰფინონ საქართველოს მატერიალური კულტურის უძველეს პერიოდს და მოსახლეობის სოციალურ შემადგენლობას. მეგალითების მეორე კატეგორიას მიეკუთვნება უმთავრესად მონოლითები, ე.წ. «აღმართული ქვები» - მენჰირები, და თევზთა ქანდაკება - ვეშაპები (განძა, შიპიაკი, სანომერი, მურჯახეთი და სხვ.), მათზე გამოსახული ალბათ ტოტემური ცხოველების (ხარის, წყვილი წეროს ან ყანჩის) ემბლემები. მეგალითები საქართველოში წარმოადგენენ მონუმენტური ხელოვნების ძეგლების გარკვეულ კატეგორიას, რომელიც ქრონოლოგიურად წინ უძღვის ანტიკური და ფეოდალური ხელოვნების წარმოქმნა-განვითარებას.

„გოხნარის ლოდოვანი“ - ციკლოპურ ნაგებობათა ერთ-ერთი უდიდესი კომპლექსი საქართველოში, მდ. ალგეთის ხეობაში სოფ. გოხნარის მახლობლად. შედგება 3 ძირითადი ნაწილისაგან: ნაპრალგვირაბებიანი ქვაყრილის (კარკალი), ნასოფლარისა და ციხისაგან. ციხე გეგმით ოთხკუთხაა, განსაკუთრებით გრანდიოზულია ზღუდის აღმოსავლეთ კედელი. ცენტრში აღმართულია უზარმაზარი ქვასვეტი.

„ავრანლო“ (ისტორიული თეზი), სოფელი წალკის რაიონში, მდინარე ქციის ნაპირზე, წალკიდან 32 კმ-ზე, ზღვის დონიდან 1580 მეტრზე. ისტორიულ წყაროებში ავრანლო თეზის სახელწოდებით პირველად 1691 წელს მოიხსენიება, როდესაც მეფე ერეკლე I-მა ის ფარემუზ ჯავახიშვილს უწყალობა. «ავრანლო» კი უწოდეს 1828-1829 წლებში ოსმალეთიდან გადმოსახლებულმა ბერძნებმა. სოფელს გადმოჰყურებს ძვ.წ. I ათასწლეულის ბოლო მეოთხედის დიდი ნაციხარი, რომლის ციკლოპური წყობით ნაგები 2-2,5 მ სისქის კედლები განლაგებულია სამ იარუსად: მთის ძირას, ფერდობსა და წვერზე. ნაციხრის მიდამოებში შემორჩენილია განვითარებული ფეოდალური ხანის ეკლესია. მის სამხრეთით, კლდოვან ფერდზე, საფლავის ქვაზე XII — XIII სს.-ის ექვსსტრქონიანი ნუსხურ წარწერაა, საიდანაც ირკვევა, რომ ეს საფლავი ვინმე დაყუდებულ მწიგნობრის ძისაა. სოფლის ეკლესიები ახალია და ძველ ქართულ სალოცავებზეა აგებული, რასაც მათ წყობაში ჩაყოლებული არქიტექტურულ დეტალები მოწმობს. აქვე (ვახუშტი ბაგრატიონის თქმით) ყოფილა კლდეში გამოკვეთილი აბიბოს ნეკრესელის მონასტერი. კანიონში მართლაც არის გამოქვაბულები და შიგ ორი დარბაზული ეკლესიაა. მათ გვიანდელი ხანის გადაკეთების კვალი ეტყობა, მაგრამ ადრინდელი ფეოდალური ხანის უნდა იყოს. ზედა საყდრის საკურთხეველში შერჩენილია სტელის ან ქვაჯვარის კვარცხლბეკი, რომელზედაც ჯვარია გამოსახული. ქვედა საყდარს მშრალი წყობის გალავანი არტყია, ასეთივე წყობისაა მცირე სადგომები. მონასტერს ჰქონია დარან-სამალავებიც. სოფელში მოქმედებს წმ.გიორგის ქართული მართლმადიდებელი ეკლესია. მდ.ქციას მარცხენა ნაპირზე, ღრმა ხეობაში, სანამ მდინარე ხრამიდან ზემო წალკის ზეგანზე დაეშვება, მდებარეობს უზარმაზარი ნაციხარ-ნაქალაქევი ციკლოპური ნაგებობისა. თვით ნაქალაქევი, რომელიც მდინარეს დასცქერის ამფითეატრივით, 3 საფეხურიდან შესდგება: 1-მთის ძირში; 2-მთის ფერდობის შუა სიმაღლეზე პატარა დავაკებულ ადგილას; და 3-მთის წვერზე. მოგრძო ტერიტორიაზე ერთადერთი შენობაა, ისიც

ქრისტიანული პერიოდისა, სახელდობრ პატარა ეკლესია, რომელიც უკანასკნელ ხანშია (რევოლუციის წინ, განახლებული: იგი მიშენებულია ზედ კლდეზე, რომელშიც პატარა გამოქვაბულია (ქვაბი) გამოკვეთილი, ეკლესიასთან ჩრდილოეთ მხრიდან შეერთებული: ამ გამოქვაბულში ძლივძლივობით 2-3 კაცი თუ დაეტევა.

ზურტაკეტი ანუ გომარეთის ვულკანური პლატო ყორღანთა მიწაა, აქ ბრინჯაოს ეპოქის გასაოცარი არქეოლოგიური ძეგლებია გამოვლენილი. ისტორიული და გეოგრაფიული თვალსაზრისით, ხრამის მიმდებარე კანიონისებრი ხეობაც საინტერესო ზონაა.

ვრცელი ველის განაპირას, იქ სადაც მდინარე ხრამის კალთები ტყითაა შემოსილი, მცენარერული საფარი საქართველოში ყველაზე გრადიოზულ მეგალითურ ნაქალაქარს მალავს - მისი ფართობი 50 000 კვ. მეტრს აღწევს და დამატებით, შემოგარენში სხვა საცხოვრებელი ზონებიცაა გამოვლენილი. ამულა (მამულო) და პანტიანი - ხალხი ამ ადგილს ნაბინავრებს უწოდებს. მამულოს მოსახლეობა აქაურობას საბოსტნედ იყენებდა. მაგრამ 50-იან წლებში ადგილი საბოლოოდ მიატოვეს და მისასვლელი გზებიც კი ტყემ დაფარა. თუმცა როცა მცენარეულ საფარში გზას გაიკვლევთ, თქვენს წინ ისტორიის ფურცელი გადაიშლება და ტყიდან 3500 წლის ქალაქი ამოიზრდება. აქაური შენობების სტრუქტურა მეგალითურია, კედლები მშრალი წესით, დიდი ლოდებით უდუღაბოდაა ნაგები. ტერასულად განლაგებულ გრძელ-გრეძელ სადგომებს სახურავები აღარ შერჩენიათ, თუმცა ციკლოპური კედლები ჟამთასვლას დღემდე უძლებს. ძალიან ლამაზია და გასაოცარი ის რისი ნახვაც იქ სეიზლება, სახლებს შორის ქუჩებია და ამ დაქსელვის აღქმა პრობლემას არ წარმოადგენს რადგან გზებზე დიდი ხეები არ იზრდება, მხოლოდ ბუჩქნარი. ამის მიზები ბაზალტის ის ფილებია, რომლებიც აქ ქუჩა-ბანდების მოსაწყობად გამოუყენებიათ. ხე-მცენარეები ვერ ამტვრევენ ქვის ჯავშანს და მხოლოდ იმ მწირი ნეშომპალით საზრდოობენ რაც ლოდებს ზევიდან დაფენია. ძეგლის შესწავლის ისტორია 1994 წლიდან იწყება, მაშინ აქ დმანისის მუზეუმ-ნაკრძალის დაზვერვითმა ექსპედიციამ იმუშავა. 2007 წელს, ილიაუნის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ კომპლექსზე გათხრები აწარმოა. სადაზვერვო თხრილებიის გავლებამ გამოავლინა მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალა ადრეული კერამიკის ნამტვრევების, ობსიდიანის ანატკეცების და ძვლის იარაღის სახით. მოხერხდა ხუთი მეგალითური შენობის გაწმენდვა და აზომვა. დადგინდა ძველი დასახლების საზღვრები, შენობათა სპეციფიკა და მათი გეგმარების პრინციპები. თვალნათელი გახდა, რომ ნაბინავრების დასახლება გრძივადაა მიმართული სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისაკენ. ფაქტიურად ყველა ნაგებობა წაგრძელებულია, დასახლების განაშენიანების სისტემა კი ტერასული. ეს ტერასები ებჯინება ქუჩებს, რითაც იქმნება საერთო სივრცე. თავად ქუჩების სიგანე 4-5 კი მეტრია. სამშენებლო მასალად მხოლოს ბაზალტი გამოუყენებიათ, რასაც იქვე მოიპოვებდნენ ნაგებობის მიმდებარე კლდიდან. საბადოს ვულკანური ქანებიდან ლოდები გამოუცალკევებიათ და გადმოუგორებიათ, შესაძლოა მასიური ხის ბერკეტების გამოყენებით.

ეს ყველაფერი არის ის პოტენციალი რითაც შეიძლება განვავითაროთ მეგალითური ტურიზმი, ეს ნაგებობები რომლებზეც არაერთი დოკუმენტური ფილმია გადაღებული მოიზიდავს უამრავ არქეოლოგ ტურისტს, რათა თავიანთი თვალით ნახონ ის კულტურული მემკვიდრეობა რომელიც გასაოცარია. განსაკუთრებით თვალწარმტაცია მიმდებარე ტერიტორია გვხვდება ულამაზეი ხედები, რომელიც არაერთ ფოტოგრაფს მოოიზიდავს.

თუ ჩვენ ჩავრთავთ ტურისტულ მარშრუტებში ასეთი სახის ისტორიულ-კულტურულ რესურსებს აღნიშნული ძეგლების ღირებულებების შესწავლა და ხელშეწყობა გააუმჯობესებს მათ დაცვას და ის გახდება ეროვნული მემკვიდრეობის ნაწილი, ხოლო ასეთი ტურისტული მარშრუტები გაზრდის რეგიონის ცნობადობას და ეკონომიკურ განვითარებას. აქ უამრავი სანახაობაა, რაზეც ინფორმაცია ყველას არ აქვს. ჩვენი მიზანია ეს მეგალითური ნაგებობები გავაცნოთ ხალხს, მივაწოდოთ მათზე მეტი ინფორმაცია. გოხნარის მიმდებარე ტერიტორიაზე, ასევე ავრანლოში შესალებელია შეიქმნას „მეგალითური მუზეუმი ღია ცის ქვეშ", რომელიც აღჭურვილი იქნება საინფორმაციო დაფებით, უსაფრთხო ბილიკებით, ასევე სამუზეუმო ექსპონატებით, შეიძლება იყოს ფოტომასალაც ასევე არქეოლოგიური ექსპონატები და ასევე საბანაკე ადგილებიც, სადაც შესაძლებელი იქნება კარვებით ღამის გათენება. ასე რომ, ტურისტებს შესაძლებლობა ექნებათ ერთლოურად კულტურული ტურითაც დაკმაყოფილდნენ და ლაშქრობითაც. ასეთი მუზეუმები ხელს შეუწყობს საქართველოში კულტურული ტურიზმის კიდევ უფრო მეტად განვითარებას, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს ეკონომიკის განვითარებას. მეგალითური მუზეუმი მოიზიდავს უამრავ ტურისტს ასეთ ადგილებში, ეს ხელს შეუწყობს რეგიონის განვითარებას და უფრო მეტად გაზრდის მის ცნობადობას.

ჩვენ ჩავატარეთ გამოკითხვა როგორც ახალგაზრდა სტუდენტებს შორის, ასევე ზრდასრულ ადამიანებს შორისაც. აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობას არც კი სმენია მეგალითების არსებობის შესახებ, თუმცა მათი ინფორმირების შემდეგ მათ გაუჩნდათ სურვილი მოენახულებინათ ეს ობიექტები და გაცნობოდნენ მეგალითურ კულტურას, სწორედ ეს შეუწყობს ხელს მეგალითური ტურიზმის განვითარებას საქართველოში, რაც შეიძლება მეტი ინფორმირებული ადამიანი ეს ეხება როგორც, ისტორიას, არქეოლოგიას, კულტურას ასევე ტურიზმსაც.

1) გსმენიათ თუ არა მეგალითების შესახებ? არა დიახ

2) ხართ თუ არა დაინტერესებული მუზეუმებით? დიახ

3) ისურვებდით თუ არა მეგალითური მუზეუმის ნახვას ღია ცის ქვეშ? დიახ

გამოკითხვის მიხედვით სტუდენტების უმრავლესობა ხშირად დადის კულტურულ ტურებზე, მათ აინტერესებთ სხვადასხვა ტურისტული ატრაქციები, ასევე ხშირად სტუმრობენ მუზეუმებს, განსაკუთრებით ის სტუდენტები რომლებიც ტურიზმზე სწავლობენ ცდილობენ, რაც შეიძლება მეტ ტურისტულ ატრაქციას გაეცნონ, დააგროვონ და მიიღონ მეტი ინფორმაცია, რაც შემდგომში მათ პროფესიულ განვითრებაში დაეხმარებათ. თუ ჩვენ ყველანი ვიმუშვებთ ამ პოტენციალის გამოყენებაზე აუცილებლად შევძლებთ გავხადოთ ცნობადი ეს ადგილები, რომლებიც ძალიან ბევრმა არ იცის, თუკი ჩვენ დავსახავთ სტრატეგიულ მიზნებს ამით ხელს შევუწყობთ ტურიზმის განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

- https://ka.wikipedia.org
- http://saunje.ge
- http://mirchie-love.ge
- http://www.nplg.gov.ge



დმანისის ნაქალაქარი – როგორც ქვემო ქართლის ტურისტული განვითარების ფაქტორი

ავტორი: **სოფიკო უშხვანი**
კავკასიის უნივერსიტეტი
ხელმძღვანელი: **თეიმურაზ ხუციშვილი**

ტურიზმი ქართული ეკონომიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგია. საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი უნიკალური ტურისტული ქვეყანაა, ვიზიტორებისთვის ერთგვარი აღმოჩენა, გამორჩეული ლამაზი ბუნებით, ისტორიული შენობა-ნაგებობებით, მრავალმხრივი ლანდშაფტითა და სტუმართმოყვარე ხალხით, რაც ტურისტებში ქვეყნის განმეორებით მონახულების სურვილს აღძრავს. საქართველო ევროპისა და აზიის საზღვარზე მდებარეობს, დასავლეთით მას შავი ზღვა აკრავს, ჩრდილოეთით ქვეყანას რუსეთის ფედერაცია ესაზღვრება, სამხრეთ-აღმოსავლეთით - აზერბაიჯანი, ხოლო სამხრეთით თურქეთი და სომხეთი. საქართველოში ტურიზმის განვითარებას ხელს უწყობს შავი ზღვის სანაპირო ზოლის და ასევე დიდი და მცირე კავკასიონის მთაგრეხილების არსებობა, ქვეყანა ასევე გამოირჩევა კურორტების და ე.წ. საკურორტო ადგილების სიმრავლითაც, გარდა იმისა, რომ კურორტებზე მიმზიდველი ბუნება და შესანიშნავი გარემოა დასვენებისთვის, მათ უმრავლესობას სამკურნალო დანიშნულებაც გააჩნია. ჩვენი ქვეყანა ასევე მდიდარია კულტურული და ისტორიული ძეგლებით, რომელთაგან ზოგიერთი ჩვენს წელთაღრიცხვამდე რამდენიმე საუკუნით ადრე არის დათარიღებული. ზემოთ ხსენებულ ფაქტორებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ქართული ტურიზმის განვითარებისათვის, ვიზიტორთა მოგზაურობის მიზანს მხოლოდ დასვენება და გართობა არ წარმოადგენს, ხშირად ისინი მოგზაურობენ რეკრეაციისა და გამოჯანმრთელების მიზნით, საქართველო კი ყველაფერთან ერთად ამ კუთხითაც საკმაო მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

ახლა კი უშუალოდ გადავიდეთ ქვემო ქართლის რეგიონზე, იგი მდებარეობს საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, რეგიონი მოიცავს მდინარე მტკვრის ხეობას თბილისიდან წითელ ხიდამდე, ასევე, მდინარეების - ქციას, მაშავერასა და ალგეთის აუზებს. მისი ერთი ნაწილი სამხრეთ საქართველოს მთიანეთს, ხოლო მეორე - მთათაშუაბარს ეკუთნის. რეგიონის ფართობი 6528 კმ2-ს შეადგენს. მას აღმოსავლეთით ესაზღვრება კახეთი, ჩრდილოეთით - თბილისი, შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი, დასავლეთით - სამცხე-ჯავახეთი, ხოლო სამხრეთით საზღვარი ემთხვევა საქართველოს სახელმწიფო საზღვარს აზერბაიჯანთან და სომხეთთან. ქვემო ქართლი დღესდღეობით მოიცავს ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულისა და წალკის მუნიციპალიტეტებს. ასევე თვითმმართველ ქალაქ რუსთავს, რომელიც მხარის ადმინისტრაციულ ცენტრსაც წარმოადგენს. დაცული ტერიტორიებიდან ქვემო ქართლში მდებარეობს ალგეთის ეროვნული პარკი და გარდაბნის აღკვეთილი.

ქვემო ქართლი ძირძველი, ბუნებრივი სიმდიდრითა და სილამაზით გამორჩეული მხარეა, აქ წარმოდგენილია სამხრეთ საქართველოს ვულკანური წარმოშობის მთებისა და ზეგნების უმშვენიერესი ლანდშაფტი. ქვემო ქართლს დიდი და უძველესი ისტორია გააჩნია, რეგიონის ტერიტორიაზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა კაცობრიობის განვითარების თითქმის ყველა ეტაპს მოიცავს, მხარეში შეხვდებით V-VI საუკუნეებისა და მის შემდგომ პერიოდში ნაგებ და კარგად შემონახულ ისტორიულ ძეგლებს, აქ დღემდე შემორჩენილია ძველი წელთაღრიცხვის პირველ ათასწლეულში ჩასახული ნაქალაქარი და სხვა ღირშესანიშნაობები, აქ გვხვდება უამრავი ნაქალაქარი და ნასოფლარი, რომელთა შორის ბევრი ჯერაც არა არის ბოლომდე შესწავლილი და გამოკვლეული. მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო და განსაკუთრებულ არქეოლოგიურ აღმოჩენად ითვლება პირველყოფილი ადამიანის ადგილსამყოფელისა და თვით ადამიანის ნაშთების აღმოჩენა დმანისის ნაქალაქარში. სპეციალისტების მიერ დადგინდა, რომ დმანისელი ჰომინიდი ამ ტერიტორიაზე ბინადრობდა 1,8 მილიონი წლის წინ და იგი ევროპასა და აზიაში უძველესია.

ამრიგად, ქვემო ქართლის ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები, აგრეთვე ბუნებრივი, კულტურული და ისტორიული ძეგლები ქმნის რეგიონში ტურიზმის განვითარების შესაძლებლობას. მთლიანობაში, ქვემო ქართლში 650-ზე მეტი ისტორიული ძეგლია, რომელთაგან 300 სხვადასხვა ტურისტულ მარშრუტშია შესული. რეგიონში ერთი კურორტი - მანგლისი და რამდენიმე დასასვენებელი ზონაა, სადაც არსებულ სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში ყოველწლიურად 10 ათასამდე ადამიანის მიღებაა შესაძლებელი, საკურორტო ზონებია დმანისის, ბოლნისის, თეთრიწყაროს, გარდაბნის და წალკის მუნიციპალიტეტებში.

ქვემო ქართლის რეგიონს მრავალი პერსპექტიული მარშრუტი გააჩნია, ტურისტებს შეუძლიათ დაათვალიერონ, როგორც ისტორიულ-კულტურული ძეგლები, ისე უძველესი ადამიანის ნასახლარები, ასევე მათ შეუძლიათ უბრალოდ დატკბნენ ქვემო ქართლის ულამაზესი ბუნებით, რომელიც სავსეა თვალწარმტაცი კანიონებით, განსაკუთრებული ლანსშაფტური ფორმებით და ჩანჩქერებით. ამ რეგიონში ჩატარებული ტურები საინტერესო იქნება არქეოლოგიის, არქიტექტურის, ისტორიისა და ბუნების მოყვარულთათვის.

ჩემს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა ქვემო ქართლის ღირშესანიშნაობებიდან ყველაზე მთავარ კულტურულ ძეგლად დმანისის ნაქალაქარს მიიჩნევს, მეორე ადგილს იკავებს ბოლნისის სიონი, ხოლო მესამე ადგილი მარტყოფის ღვთაების მონასტერს ერგო. სამწუხაროდ, გამოკითხულთა უმრავლესობას და მათ შორის ქვემო ქართლში მცხოვრებთ, არ აქვთ ცნობები ისეთი კულტურული ძეგლების შესახებ, როგორებიცაა ფიტარეთის მონასტერი, მანგლისის სიონი, ე.წ. დიდგორის ველი, დაშბაშის კანიონი, აბელიანის ეკლესია, ბერთას მონასტერი და სხვ. აქვე აღვნიშნავ, რომ ჩემს მიერ დასმულ შეკითხვაზე ისურვებდნენ თუ არა ისინი ქვემო ქართლის რეგიონში დასასვენებლად წასვლას, უფროსი ასაკის წარმომადგენლებმა განაცხადეს თანხმობა, ხოლო 15 წლიდან 25 წლამდე გამოკითხულთა უმრავლესობამ ქვემო ქართლში დასასვენებლად წასვლაზე უარი განაცხადა, მათი თქმით, რეგიონი ვერ აკმაყოფილებს მათ მოთხოვნებს და იქ ისინი სათანადოდ დასვენებასა და გართობას ვერ შეძლებენ. ეს გამოწვეულია, იმით, რომ ქვემო ქართლში ტურისტული ობიექტები და ასევე სატრანსპორტო საშუალებები არ შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს, გამოკითხულთა უმეტესმა ნაწილმა დასასვენებელ დესტინაციად დმანისი აირჩია. დღესდღეობით ქვემო ქართლში მთავარ გამოწვევას წარმოადგენს ტურიზმის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რეგიონში აღინიშნება სასტუმროების ნაკლებობა, მუნიციპალიტეტებში არის საოჯახო ტიპის სასტუმროები, თუმცა მათი რაოდენობა მცირეა, წინა წლებთან შედარებით სასტუმროებსა და რესტორნების ქსელში დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა, მაგრამ, სექტორის მთავარ პრობლემად რჩება პერსონალის დაბალი ანაზღაურება და უკიდურესად დაბალი ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში, შესაბამისად კი - მომსახურების დაბალი ხარისხი. იმისათვის, რომ რეგიონის პოპულარიზაცია მოვახდინოთ საჭიროა რეგიონის ღირშესანიშნაობების ახლიდან შესწავლა და თითოეულის განვითარება, მნიშვნელოვანია გაუმჯობესდეს ინფრასტრუქტურა, გაკეთდეს მისასვლელი გზები და მიმდებარე ტერიტორიაზე აშენდეს სასტუმროები, ასევე საჭიროა დაიგეგმოს ახალი მარშრუტები და მოხდეს აქამდე არსებული მარშრუტების პოპულარიზაცია.

ქვემო ქართლის მთავარ სავიზიტო ბარათად წარმოადგენს დმანისის ნაქალაქარი, რომელსაც ყოველწლიურად უამრავი ვიზიტორი სტუმრობს, აქ სისტემატიურად ჩამოდიან სხვადასხვა ქვეყნის დიპლომატები, მეცნიერები, სტუდენტები, ტურისტები. იგი თბილისიდან 85 კილომეტრში მდებარეობს და საერთო ჯამში 13 ჰექტარს შეადგენს. არქეოლოგიური გათხრები დმანისში, 1936 წლიდან ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით იწყება, რომელსაც შემდეგ ლევან მუსხელიშვილი და ვახტან ჯაფარიძე ხელმძღვანელობდნენ. აღსანიშნავია ჯუმბერ კოპალიანის ღვაწლი, რომელიც არქეოლოგიურ გათხრებს 1980 წლიდან აქტიურად უდგას სათავეში. დმანისის რაიონი და მთლიანად ქვემო ქართლი მდიდარია თავისი ისტორიული წარსულით, ყველაზე საინტერესო კი მაინც დმანისის ნაქალაქარია, სადაც არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და წინარე ისტორიის ყველა პერიოდი: გვიანბრინჯაო-ადრერკინის, ანტიკური და შუა საუკუნეების ხანის ფენები და მდიდარი არქეოლოგიური მასალა. მდინარეების — მაშავერასა და ფინეზაურის შესართავთან აღმართულ კონცხზე გაშენებული იყო შუა საუკუნეების ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ქალაქი, იგი სავაჭრო გზაჯვარედინზე მდებარეობდა. აქ შემოდიოდნენ მთავარი საქარავნო გზები, აღმოსავლეთიდან, წინა აზიიდან და დასავლეთიდან - ევროპიდან. დმანისის ნაქალაქარის უნიკალურობა განსაკუთრებით იმაში გამოიხატება, რომ მის ცენტრალურ ნაწილში შუა საუკუნეების ნაგებობების ქვეშ არსებულ დანალექ ფენებში გამოვლინდა დიდი რაოდენობით უძველესი (დღეს გადაშენებული) ცხოველების (მარტორქა, სპილო, ჟირაფი, გიგანტური სირაქლემა, ხმალკბილა ვეფხვი და სხვა) და ადამიანის (5 თავის ქალა, 4 ქვედა ყბა და 60-მდე სხვა ნაწილები) ძვლები, მათ შორის, მზიასა და ზეზვას სახელით ცნობილი ყველაზე ადრეული თავის ქალები, რომელთა რეკონსტრუირებული მულაჟები ახლა დმანისის მუზეუმში ინახება. მეცნიერების მიერ საბოლოოდ დადგინდა, რომ დმანისელი ადამიანი HOMO Erectus-ების ადრეულ ჯგუფს HOMO Ergaster -ს განეკუთვნება და თარიღდება 1,8-1,7 მილიონი წლით. აქედან გამომდინარე მსოფლიოში აფრიკის გარეთ უძველესი ადამიანი დმანისში აღმოჩნდა. უკვე ჩამოყალიბდა აზრი მთელ მსოფლიოში, რომ დმანისი პირველი ევროპელის სამშობლოა. დმანისის მუზეუმ-ნაკრძალი მოიცავს შუა საუკუნეების ქალაქის ნანგრევებს, არქეოლოგიურ ველს, შუა საუკუნეების ციხესიმაგრესა და IX-XIII საუკუნეების ეკლესიას. საკულტო ნაგებობებიდან აღსანიშნავია VI ს-ის დმანისის სიონი, XIII ს-ის ორნამენტებითა და წარწერებით შემკული უნიკალური კარიბჭით. დმანისი, როგორც შუა საუკუნეების ქალაქი, რამდენიმე ნაწილისაგან შედგებოდა:

1. ძირითადი ტერიტორია, სადაც მოსახლეობა ცხოვრობდა.
2. ქალაქის მეორე მნიშვნელოვანი ნაწილი იყო სასულიერო ცენტრი. (XI-XIIსს.)
3. მესამე მნიშვნელოვანი ნაწილი - შიდა ციხე, წარმოადგენდა თავდაცვითი სისტემის ძირითად ნაწილს.

დმანისის მუნიციპალიტეტი და მისი შემოგარენი 190-ზე მეტი ისტორიული და არქიტექტურული ძეგლისგან შედგება, რომელიც შუასაუკუნეებით თარიღდება. ისტორიული ღირებულებებიდან გამომდინარე ამ რეგიონს დიდი ტურისტული პოტენციალი გააჩნია, ასევე მნიშვნელოვანია დმანისის მუნიციპალიტეტის ბუნებრივი რესურსები, ბოლნისისა და დმანისის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე არის მინერალური სამკურნალო მჟავე და გოგირდოვანი წყლები, რაც იძლევა

საშუალებას აქ განვითარდეს სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტურიზმი. ამისათვის, პირველ რიგში აუცილებელია მუნიციპალიტეტში შესაბამისი ინფრასტურქტურის განვითარება. გამომდინარე იქიდან, რომ დმანისი გამოირჩევა პასიური კლიმატოთერაპიითა და მინერალური წყლებით, წლიდან წლამდე უამრავი დამსვენებელი სტუმრობს კურორტს და იგი ძალიან კარგი ადგილია მცირეწლოვანი ბავშვებისთვის დასასვენებლად. რეგიონს ისიც უწყობს ხელს, რომ ის ახლოსაა თბილისთან და შესაძლებელია კურორტზე შაბათ-კვირით სტუმრობა. დმანისის მუნიციპალიტეტსა და ქვემო ქართლის რეგიონში, საკმაოდ სწრაფი ტემპით ვითარდება სასტუმრო ბიზნესი, მაგრამ საკმაოდ მწირია მათი რაოდენობა, რაც ასე აუცილებელია ტურიზმის განვითარებისთვის. სასურველია შეიქმნას ახალი მარშუტები, წარიმართოს კურორტ დმანისის სათანადო მარკეტინგული კამპანია, აიწიოს მომსახურების ხარისხმა, ეს ყოველივე გაზრდის ტურისტული ბიზნესით რეგიონის დატვირთვას და ამ სფეროს განვითარებას. თავისთავად გაიზრდება ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან ამ ბიზნესისადმი ინტერესი და ჩართულობა, რაც მათ ცხოვრების დონეს გააუმჯობესებს. ტურიზმის განვითარებისათვის დიდ წვლილს შეიტანს ქალაქთან ახლოს არსებული ეგრეთწოდებული პანტიანის ტბის მიმდებარე ტერიტორიის მწვანე ზოლში სასტუმროებისა და დასასვენებელი კომპლექსის მშენებლობისათვის გამიზნული ინვესტიცია, ასევე მნიშვნელოვანია ტერიტორიების მარკირება, სველი წერტილებისა და გზებზე განთავსების საშუალებების მოწყობა.

დმანისში აღმოჩენილი უძველესი ადამიანის ნაშთები, უდაოდ დიდ სტიმულს ანიჭებს რეგიონს საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე, დმანისის ნაქალაქრის მონახულება დღემდე ბევრმა უცხოელმა და ადგილობრივმა ტურისტმა მოახერხა, მაგრამ ამ ტურებს არ ჰქონდათ ორგანიზებული სახე და შესაბამისად ხარისხობრივად ვერ უზრუნველყოფდნენ ამ დონის აღმოჩენისათვის საჭირო თანმხლები მასალის მიწოდებას, ეს ფაქტი უარყოფითად მოქმედებს რეგიონში ტურიზმის განვითარებაზე და ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს მის იმიჯზე, მიუხედავად ამისა რეგიონის მონახულების სურვილი სულ უფრო მეტ ადამიანს უჩნდება, რეგიონში ტურიზმის განვითარებისთვის და მისი ხარისხობრივი გაუმჯობესებისთვის საჭიროა განხორციელებული ტურების დივერსიფიკაცია მათი მიზნების მიხედვით.

ქვემო ქართლში ტურიზმის პერსპექტიული მიმართულებებია: ცხენოსნობა, სამონადირეო ტურიზმი, ეკოტურიზმი, შემეცნებითი ტურიზმი, პილიგრიმული ტურიზმი, ოჯახური ტურიზმი, ეთნოგრაფიული ტურიზმი, აგროტურიზმი, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ტურიზმი და სხვა. ახალი ტურისტული მარშუტების შექმნა ხელს შეუწყობს როგორც შიდა ტურიზმის განვითარებას, ასევე სასაზღვრო რეგიონიდან ტურისტების შემოდინებას.

აღიარებულია, რომ ტურიზმი უნდა განვითარდეს კონტროლირებად, კომპლექსურ და მდგრად საფუძველზე, სადაც გამოყენებული უნდა იქნეს გონივრული დაგეგმვის პრინციპები, ასეთი მიდგომით ტურიზმმა შესაძლებელია მოუტანოს რეგიონს მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებელი და არ წარმოშვას სოციალური და ეკოლოგიური პრობლემები. ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება ტურიზმის განვითარების ერთ-ერთ წინაპირობად უნდა ჩაითვალოს. ქვემო ქართლის ეკოლოგიური მდგომარეობა შესაძლებელს ხდის რეგიონში განვითარდეს ეკოტურიზმი, ამ მხრივ ქვემო ქართლის რეგიონს დიდი პოტენციალი გააჩნია, მას შეუძლია დააკმაყოფილოს, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ტურისტული ბაზრის მოთხოვნები, მოცემული რეგიონი თავისმხრივ მდიდარია ლანდშაფტური სახეებით, აქ თავმოყრილია: მთები, ხეობები, მდინარეები, იშვიათი სილამაზის კანიონები, ტყით დაბურული ხეობები, ამასთან აღსანიშნავია რეგიონის ბუნებისთვის დამახასიათებელი განსაკუთრებული ბიომრავალფეროვნება, მათი ღირებულება დღითიდღე იზრდება, სულ უფრო აქტუალური ხდება ტურიზმის როლი მათ გადარჩენასა და ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებაში. ძალიან მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, რომ ტურიზმი ვერ განვითარდება გარემოზე გარკვეული ზეგავლენის მოხდენის გარეშე. ეკოლოგიაზე ზრუნვის გარეშე შეუძლებელია მთავარი აქცენტის გაკეთება მხოლოდ ტურიზმის განვითარებაზე. ეკოტურიზმის მდგრადი განვითარების ერთ-ერთი მთავარი პრინციპი მასში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვის უზრუნველყოფაა. მიზანშეწონილია შეიქმნას სხვადასხვა სახის გარემოსდაცვითი ფონდები, რომლებიც უზრუნველყოფენ რეგიონის ეკოლოგიური მდგომარეობის მუდმივ კონტროლს და გარემოსდაცვითი სპეციფიური პრობლემების მოგვარებას, გარდა ამისა, რეგიონის ხელმძღვანელობამ ტურისტულ ორგანიზატორებს და ტურისტული ობიექტების მეპატრონეებს უნდა განუმარტოს რა შეზღუდვები არსებობს ტურისტებისთვის კულტურის ძეგლებისა და ეკოლოგიური ტერიტორიების მონახულებისას. ტურისტები, რომლებიც ნაკლებად განვითარებულ რეგიონებს სტუმრობენ, ხშირად მზად უნდა იყვნენ კომფორტთან დაკავშირებული ჩვეული სტანდარტების დასავიწყებლად, გარკვეული თვალსაზრისით ეს ეკოტურიზმის მიმზიდველ მხარედაც შეიძლება ჩაითვალოს. ტურისტებს უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია იმ ადგილის სპეციფიკის შესახებ, რომელსაც სტუმრობენ და იმის შესახებაც, როგორ უნდა მოიქცნენ, რათა მაქსიმალურად შეამცირონ გარემოზე ზეგავლენა. ეს ტურიზმის ინდუსტრიის მთავარი პასუხისმგებლობაა. აუცილებელ ამოცანად რჩება ეკოლოგიური მდგომარეობის მუდმივი შესწავლა, აღდგენა და კონტროლი. ქვემო ქართლის რეგიონში არაერთი ეკოლოგიური პრობლემა შეიმჩნევა, რომელიც ზემოქმედებს ტურიზმის განვითარების ტემპზე, დაბა კაზრეთში უკანასკნელი წლების მანძილზე ჰაერის დაბინძურების დონე

მნიშვნელოვნად აღემატება დასაშვებ ნორმას, რაც იქ არსებული სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელი საბადოებით არის გამოწვეული. დღესდღეობით ეს მდგომარეობა შესამჩნევად გაუმჯობესებულია, თუმცა ეს ფაქტი მაინც არადადებითად იმოქმედებს რეგიონში ეკოტურიზმის განვითარებაზე. აღნიშნული სიტუაციის გასაუმჯობესებლად აუცილებელია ეკოლოგიური დარღვევების შესწავლა და აღდგენითი სამუშაოების ჩატარება, როგორც სახელმწიფო დონეზე, ისე საერთაშორისო ეკოლოგიური ორგანიზაციების მეშვეობით. ქვემო ქართლის ეკოლოგიური სიტუაციის შენარჩუნება-გაუმჯობესებისთვის აუცილებელია გამოყოფილ იქნას დაცული ზონები, რომლებიც სახელმწიფო კონტროლის ქვეშ მოექცევა. გადაშენება-გაქრობის საფრთხის წინაშე მყოფი იშვიათი ბუნებრივი ეკოსისტემებისა და ისტორიულ-კულტურული ფასეულობების დაცვა რეგიონში ტურიზმის განვითარების წინაპირობად უნდა ჩაითვალოს. აქედან გამომდინარე რეგიონში შესაძლებელია ჩატარდეს ეკოლოგიური ტურები, რაც გულისხმობს მდ. ხრამის და მდ. მაშავერას ხეობების ეკოლოგიური დარღვევების შესწავლას და ბუნების აღდგენით სამუშაოებში მონაწილეობის მიღებას.

ქვემო ქართლში ასევე საუკეთესო პირობებია არქეოლოგიური ტურიზმის განვითარებისთვის. აქ მდებარეობს მსოფლიო მასშტაბის რამდენიმე არქეოლოგიური ძეგლი. განსაკუთრებული ყურადღების ღირსი, ცხადია, დმანისის ნაქალაქარია, სადაც არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ჰომინიდები, პირველ ევრაზიელებად შეგვიძლია მივიჩნიოთ (1,8 მლნ. წელი).

დმანისის ნაქალაქარის გარდა ქვემო ქართლში რამდენიმე უნიკალური არქეოლოგიური აღმოჩენა მოხდა. შულავერის, იმირის, არუხლოს, ნაომარი და გადაჭრილი გორების ტერიტორიაზე მიკვლეულ იქნა ხორბლის რამდენიმე ენდემური ჯიში და კულტურული ვაზის წიპწები, რაც მეცნიერებს საფუძველს აძლევს, ივარაუდონ, რომ ვაზისა და ღვინის სამშობლო საქართველოა. ასევე, აღსანიშნავია საყდრისის გათხრები, სადაც აღმოჩნდა ძვ.წ. მე-4-3 ათაწლეულების ოქროს მოპოვების ადგილი. აღნიშნული ობიექტი დღესდღეობით აღიარებულია, როგორც კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთ უძველეს ოქროს საბადოდ. ქვემო ქართლის მთელ ტერიტორიაზე უამრავი ყორღანული სამარხია, ამ მხრივ განსაკუთრებით გამორჩეულია წალკის მუნიციპალიტეტი.

ახალი ტურისტული მარშუტების შექმნა ხელს შეუწყობს როგორც შიდა ტურიზმის განვითარებას, ასევე სასაზღვრო რეგიონიდან ტურისტების შემოდინებას. ქვემო ქართლი შესანიშნავი ადგილია არქეოლოგიური ტურების ჩასატარებლად, რომელიც გულისხმობს პარალელურად წარმოებულ არქეოლოგიურ გათხრებში მონაწილეობის მიღებას, მაგალითად შესაძლებელია დაიგეგმოს შემდეგი სახის ტური: თბილისი-მარნეული-ბოლნისი-დმანისი, ეს მარშრუტი დაახლოებით 200 კმ-ის სიგრძისაა და გულისხმობს რეგიონში არსებული არქეოლოგიური გათხრების და აღმოჩენების დათვალიერება-მონახულებას.

- ტურის საწყისი პუნქტი - შულავერის გორა
- შემდგომ ეტაპს წარმოადგენს სოფ: განთიადი
- შემდგომი ეტაპი: არქეოლოგიური აღმოჩენები დმანისის ნაქალაქარის ხევის გაღმა სოფ: ვარდისუბანთან
- საბოლოო პუნქტი - დმანისი.

ეს ტური ასევე გულისხმობს დმანისის ისტორიული კომპლექსის, დმანისის სიონის, დმანისის ნაქალაქრის ციტადელის და საგამოფენო პავილიონის მონახულებას. ტური საინტერესო იქნება არქეოლოგიისა და ისტორიის მოყვარულთათვის.

ქვემო ქართლში არქიტექტურული ტური ითვალისწინებს როგორც ხუროთმოძღვრული ძეგლების შესწავლას და სარესტავრაციო სამუშაოებში მონაწილეობის მიღებას, ასევე დმანისის ნაქალაქარის და არქეოლოგიური გათხრების მონახულებას, მარშრუტი შესაძლოა წარმოდგენილ იყოს შემდეგნაირად: თბილისი-მარნეული-ბოლნისი-წუღრურაშენი-ხულუტის ციხე-დარბაზი-ფიტარეთი-წალკა-კლდეკარი, ტური განკუთნილია ხუროთმოძღვრების და არქიტექტურის მოყვარულთათვის. მსგავსი მარშრუტით ასევე შესაძლებელია მოეწყოს რელიგიური ტური, რომელიც გულისხმობს მონასტრებისა და ეკლესიების მონახულებას და საკულტო ღონისძიებებში მონაწილეობის მიღებას. რეგიონში ისტორიული ტური იძლევა ისტორიული ძეგლებისა და ადგილების მონახულების საშუალებას, წარმოადგენს მხარის ისტორიული გაცნობისა და შესწავლის საუკეთესო საშუალებას, მარშრუტი თბილისი-ფარცხისი-ტბისი-ბირთვისი-სამშვილდე-კლდეკარი წარმოგვიდგენს მხარის ადრეულ და შუა ხანის ისტორიულ ძეგლებს, მათი უმრავლესობა რეგიონის მთავარ სიმაგრეებს წარმოადგენს. რეგიონში ასევე შესაძლებელია განვითარდეს საცხენოსნო და ქვეითი ტურები, როგორც იშვიათი სილამაზის კანიონებში და ტყით დაბურულ ხეობებში, ასევე ისტორიულ-კულტურული ძეგლების მახლობლადაც, ამ კუთხით მდინარე ხრამის ხეობა საუკეთესო ადგილია. ქვემო ქართლის ტერიტორიაზე უამრავი სათევზაო და სამონადირეო ადგილია, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს წალკის წყალსაცავი, რომელშიც დიდი რაოდენობით თევზია და მდ. ხრამის და მდ. მაშავერას ხეობები, როგორც სამონადირეო ტერიტორიები.

ევოლუციის ექსპოზიციური ტური - სრულიად ახალი სახის ტური, ამ ტურის შექმნა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ დღემდე ასეთ მცირე ტერიტორიაზე არ განხორციელებულა ამდენი არქეოლოგიური აღმოჩენა, ქვემო ქართლის რეგიონში თავს იყრის უნიკალური არქეოლოგიური მასალა, რომელიც ასახავს ადამიანის განვითარებას სამხრეთ კავკასიაში და ევროპაში. აღმოჩენების უწყვეტ ჯაჭვს მოვყავართ 1,8 მლნ წლის წინა პერიოდიდან

დღემდე, ამასთან აღსანიშნავია, რომ მთელი ამ დროის განმავლობაში რეგიონის ტერიტორიაზე ადამიანის განსახლება არ შეწყვეტილა, რისი დამადასტურებელიცაა დმანისის, ხრამი დიდი გორას, შულავერის გორის, იმირის გორის, არუხლოს გორის, განთიადის და ვარდისუბნის არქეოლოგიური გათხრები და ადრექრისტიანული და შუასაუკუნეების ხუროთმოძღვრული ძეგლები, დმანისის უკანასკნელმა აღმოჩენებმა კი მოახდინეს აქამდე არსებული ევოლუციური ჯაჭვის შეცვლა და მას ახალი წევრი შესძინეს. თუ ამ აღმოჩენებს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დაწყობილი ტურის სახით შევთავაზებთ ტურისტებს, რეგიონი უდაოდ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გახდება ამ სახის ტურების მოყვარულთათვის.

მიზანშეწონილია მარშრუტის ეტაპების არქეოლოგიური აღმოჩენის სიძველის მიხედვით დაწყობა, მაგალითად:

- მარშრუტის საწყისი პუნქტი - დმანისი, 1,8 მლნ წელი, უძველესი ადამიანი.
- ევოლუციის მომდევნო საფეხური, ენეოლითი-ნეოლითი VI-V ათასწლეული, ბოლნისი-მარნეული (ხრამის დიდი გორა, იმირის გორა, შულავერის გორა, არუხლო)
- მტკვარ-არაქსის კულტურის დროინდელი არქეოლოგიური აღმოჩენები ბოლნისის და მარნეულის რაიონებში (სამშვილდე, პაპუნაანთ წყარო [გომარეთი], ყორღანები)
- ადრექრისტიანული გათხრები სოფ: განთიადში და შუასაუკუნეების ხუროთმოძღვრული ძეგლები.

წარმოდგენილი ტურები ხელს შეუწყობს ქვემო ქართლის რეგიონის და კერძოდ დმანისის ნაქალაქარის და მისი მიმდებარე ტერიტორიის მეტ პოპულარიზაციას, რეგიონის ტურისტულ განვითარებას ასევე ხელს უწყობს მისი ახლო მდებარეობა საქართველოს დედაქალაქთან, რაც იმას ნიშნავს, რომ დანიშნულების ადგილზე მისვლა არ მოითხოვს დიდ დროს, მეტად უსაფრთხოა და არადამღლელი ტურისტებისთვის, რეგიონი განსაკუთრებით საინტერესოა ისტორიის, არქეოლოგიის და არქიტექტურის მოყვარულთათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის
- დმანისის მუნიციპალიტეტი
- დმანისის ნაქალაქარი და მისი ტურისტული პოტენციალი

2100

ეკოტურიზმი საქართველოში

ავტორი: **თამილა ქარცივაძე**
ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ტურიზმი მნიშვნელოვნად მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკურ, კულტურულ, გარემოსდაცვით სფეროებზე, აგრეთვე ხელს უწყობს ქვეყნის მშვიდობიან განვითარებას სტაბილური პოლიტიკის მეშვეობით. ეკოტურიზმი - ტურიზმის სფეროს მოწინავე დარგია, მნიშვნელოვანია ეკოლოგიასა და ეკონომიკას შორის ბალანსის დადგენა. ტერმინი „ეკოტურიზმი“ 1983 წელს დამკვიდრდა სწრაფად მზარდი უბრანიზაციის საპასუხოდ. განსაკუთრებით განვითარებულ ქვეყნებში ბუნებაში დასვენებისა და ხელშეუეხებელ ადგილებში მოგზაურობის ინტერესი გაჩნდა, შესაბამისად გაიზარდა მიწოდება, ტურისტული სექტორის წარმომადგენლების ორიენტირი ხელუხლებელი გარემოს, სპეციფიკური მახასიათებლების მიხედვით მარშრუტების შედგენა, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის შექმნა და გარემოს დაუზიანებლად ტურების განხორციელებაა.

ეკოტურიზმი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და სწრაფად განვითარებადი ინდუსტრიაა. საზოგადოდ, ნიშნავს ბუნებრივი გარემოსა და ადამიანის მიერ შექმნილი კულტურული მრავალფეროვნების დასათვალიერებლად განხორციელებულ მოგზაურობას მათთვის ზიანის მიუყენებლად. ეკოტურიზმი — ეს არის მოგზაურობა ტურისტებისა, რომლებსაც გარემოსადმი თავიანთი პასუხისმგებლობა მკაფიოდ აქვთ გაცნობიერებული. ასეთი ტურების მიზანია ველურ ბუნებასთან ურთიერთობა. მას მინიმუმამდე დაჰყავს გარემოზე ეკოლოგიური და კულტურულ-სოციალური ხასიათის უარყოფითი გავლენის შედეგები, ხელს უწყობს დაცული ტერიტორიებისა და რეგიონების მოსახლეობის ეკონომიკური შემოსავლების ზრდას.

ეკოტურიზმის ოთხ ძირითად სახეს გამოყოფენ:
სამეცნიერო ტურიზმი-ტურისტულ ობექტებს დაცული ტერიტორიები—ნაკრძალები, ეროვნული პარკები, აღკვეთილები, ბუნების ძეგლები და სხვ. — წარმოადგენს; ბუნების ისტორიის ტურები-სასწავლო, სამეცნიერო და კულტურული ექსკურსიების ერთობლიობა, რომლებიც სპეციალურ ეკოლოგიურ მარშრუტებზე, უფრო ხშირად კი დაცულ ტერიტორიებსა და აკვატორიებში იმართება; სათავგადასავლო ტურიზმი-ტურები ცალკეულ რეგიონებში; ხანმოკლე ტურები ველოსიპედებით; ქვეითი მარშრუტები რთულ ადგილებში; მოგზაურობა ფიზიკური დატვირთვით; მოგზაურობა საცხოვრებლად საგანგებოდ მოწყობილი ავტომობილებით; მოგზაურობა ბუნებრივ ნაკრძალებსა და რეზერვაციებში-უნიკალური, ეგზოტიკური, ბუნებრივი ობიექტების მონახულება.

დღესდღეობით მსოფლიო ტურიზმის ინდუსტრიაში მოგზაურობის ბუმია, დღითიდღე იზრდება მოგზაურთა რაოდენობა. მსოფლიო მოგზაურობისა და ტურიზმის საბჭო იუწყება, რომ 2017 წელს ტურიზმის სექტორის წილმა მთლიანი შიდა პროდუქტის 10.4% შეადგინა, შეიქმა 313 მილიონი სამუშაო ადგილი. აღნიშნული მონაცემები ერთი მხრივ კარგად აისახება მსოფლიო ეკონომიკაზე ,თუმცა მეორეს მხრივ იძლევა „ოვერტურიზმის“ განვითარებით-ტურისტების ჭარბი რაოდენობით გამოწვეული უარყოფითი შედეგების სურათს. სწორედ აღნიშნულის ფონზე ბუნებასთან პასუხისმგებლიანად განწყობილი ტურისტების ინიციატივით თანამედროვე მსოფლიოში ფეხი მოიკიდა ეკოტურიზმის პრაქტიკამ.

მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი ტურისტული კომპანიის, booking com-ის 2018 წლის ინფორმაციით, მოგზაურთა 87%-ს სურს „მდგრადი მოგზაურობა“. „მდგრადი მოგზაურობა“ სუბიექტური ტერმინია რომელიც სრულიად განსხვავებულ ადამიანებს აერთიანებს, თუმცა მოგზაურთა თითქმის ნახევარი 46%-თვის ეს ნიშნავს-ეკო, მეგობრულ, მწვანე საცხოვრებელში დარჩენას. ტურისტები შემდეგი მიზეზების გამო ირჩევენ „მდგრად მოგზაურობას“: 40%-ს სურს შეამციროს გარემოზე მავნე ზემოქმედება; 34%-თვის მნიშვნელოვანია ადგილობრივთა ცხოვრების წესის გაზიარება, 33%-თავს კარგად გრძნობს ბუნებასთან სიახლოვით. მოგზაურთა უმეტესი ნაწილი აღნიშნავს, რომ მათი უდიდესი მოტივატორი აღმოჩენილი შთამბეჭდავი ბუნებრივი ღირსშესანიშნაობებია, რომელთა საშუალებითაც შეძლეს წარსულში მოგზაურობა.

ფაქტორები, რასაც ხელს უწყობს „მდგრადი მოგზაურობა“	**გლობალურ მოგზაურთა %, ვინც აღმოაჩინა ეს დამოკიდებულება**
ტურისტები იღებენ შთაბეჭდილებებს ბუნებრივი სანახაობებისგან	60%
თვალსაჩინო ხდება იმ დესტინაციის ტურისტული მიმზიდველობა რომელსაც ეწვივნენ	54%
მდგრადი ტურიზმის განვითარება დადებით გავლენას ახდენს ადგილობრივ მოსახლეობაზე	47%
ხედავენ ტურიზმის არამდგრად ეფექტებს საკუთარ ქვეყანაში	42%
დამნაშავედ გრძნობენ თავს რომ მათი დასვენება ზიანს აყენებდა გარემოს	32%

თუმცა აქვე თავი იჩინა შემდეგი სახის პრობლემებმა, ტურისტების თვლიან რომ „მდგრადი მოგზაურობა“ დაკავშირებულია დამატებითი ხარჯებთან, ინფორმაციის ნაკლებობა (არ იციან რამდენად მდგრადია მათი მოგზაურობა), განიცდიან

კომფორტის ნაკლებობას. რაც შეეხება უშუალოდ საქართველოს, დღესდღეობით საქართველოში ტურიზმი დასახელებულია პრიორიტეტულ დარგად, შესაბამისად ტურიზმის პოლიტიკის განმახორციელებლები ცდილობენ დარგის კიდევ უფრო განვითარებას, საერთაშორიშო ბაზარზე ერთ-ერთ ტურისტულად მიმზიდველ ქვეყნად დამკვიდრებას, სხვადასხვა პოლიტიკის განხორციელებით, ერთ-ერთი მათგანი ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციაა.

საქართველოს კოლოსალური პოტენციალი გააჩნია ეკოტურიზმის განვითარებისათვის, გეოგრაფიული მდებარეობისა და არსებული პირობების ფონზე: მრავალფეროვანი ბუნებრივი ზონები, ესთეტიკურად მიმზიდველი ლანდშაფტები, უნიკალური ფლორა და ფაუნა, ქართულ და საერთაშორისო წითელ წიგნში შეყვანილი რელიქტური და ენდემური სახეობები, ბუნებრივი ტერიტორიების დაცული და განვითარებული ქსელები, ეთნოკულტურის სიმდიდრე, სახალხო დღესასწაულების მრავალფეროვნება, ადათ-წესები, ხელობები, მოსახლეობის ტრადიციული სტუმართმოყვარეობა და თავისებური ქართული სამზარეულო.

საქართველო უნიკალური ბიომრავალფეროვნების და ულამაზესი ლანდშაფტების მხრივ, მსოფლიოში მნიშვნელოვანი და გამორჩეული 36 ადგილის სიაში შედის, უფრო მეტიც ამ სიაში მე-12 ადგილზეა. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მონაცემებით, ტურისტული ბაზრის სეგმენტი, რომელიც მოიცავს დაცულ ტერიტორიებზე რეკრეაციულ აქტივობებს (სათავგადასავლო, გამაჯანსაღებელი, კულტურული, ბუნებისმოყვარულთა ტურიზმი) ზრდის ტემპით აღემატება მსოფლიოს ტურიზმის ზრდის ტემპს.

საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაცია ახორციელებს მთელ რიგ პროექტებს, საქართველოში ტურიზმის ამ მიმართულების განვითარებისთვის, **2018 წელს საქართველოს ეროვნულ პარკებს რეკორდული რაოდენობის – 1 130 462 ვიზიტორი ეწვია, რაც დაცული ტერიტორიების სააგენტოს ისტორიაში პირველი შემთხვევა იყო.** სააგენტოს მონაცემებით, 2017 წელთან შედარებით, 2018 წელს ვიზიტორთა რაოდენობა +18%-ით გაიზარდა. ვიზიტორების საერთო რაოდენობიდან 53% ქართველია, ხოლო 47% კი უცხოელი.

ეკოტურისტებიდან მიღებულმა შემოსავალმა 8 417 991 ლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებიტ +87%-ით გაზრდილი მაჩვენებელია. ქვეყნის 8.5% დაცული ტერიტორიაა, საუბარია ახალი დაცული ტერიტორიების შექმნაზე, შესაბამისად მოსალოდნელია ტურისტების ნაკადის ზრდა.

მიუხედავად ამისა ერთი შეხედვით სრულყოფილ ეკოტურისტულ რეგიონში, მთელი რიგი პრობლემები და ხელისშემშლელი ფაქტორებია, რომლებიც ხელს უშლის დარგის განვითარებას, ესენია: უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემები კურორტებზე, პირველადი სამედიცინო პუნქტების არარსებობა, საგზაო საფრთხე-მოუწესრიგებელი გზები, სასტუმრო და სარესტორნო ქსელის განუვითარებლობა ეკოტურისტებისთვის მიმზიდველ ადგილებში, არასათანადოდ გადამზადებული პერსონალი, ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულება, ეკოტურიზმთან მიმართებით განათლების ნაკლებობა.

ვინაიდან ტურიზმი და ეკონომიკა მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, მეტი ტურისტი-მეტი შემოსავლის წყაროა, სწორედ ამიტომ საჭიროა ბიუჯეტიდან გამოიყოს შესაბამისი თანხა არსებული პრობლემების მოგვარებისა და სექტორის განვითარებისთვის:

- პირველ რიგში აუცილებელია უსაფრთხოების ნორმების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა, გზებისა და ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, პირველადი სამედიცინო დახმარების პუნქტების გახსნა, ტურიზმის ოპერაციული სექტორების დახვეწა და ეკოტურისტულ რეგიონებში ფუნქციონირება;
- ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულების შეცვლა, რომლის მიღწევაც შესაძლებელია ტურისტულ ინდუსტრიაში მათი ჩართვით, დასაქმებითა და შესაბამისად შემოსავლების მიღებით;
- ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს ცნობიერების ამაღლება, მოსახლეობის დატრენინგება წარმოადგენს;
- უმნიშვნელოვანესი პრობლემა რაც გლობალურ ტურისტთა პრობლემების სიაში მოხვდა ტურისტული ორგანიზაციების გამოცდილებისა და სერთიფიკატის არ ქონაა, რის გამოც ტურისტი ვერ რწმუნდება რამდენად მდგრადია მისი მოგზაურობა, ამის გამოსწორება ტურისტული კომპანიების დატრენინგებითაა შესაძლებელი;
- აქვე აღსანიშნავია რეკრეაციული რესურსების დაცვა და გამოვლინება, რაც თავის თავში გულისხმობს ბუნებრივ კომპლექსზე ზეწოლის ნორმირებას „მწვანე ზონების“ და საკურორტო ტყეების გამოყოფას, რეკრეაციული მიწების დაცვას, მიწისქვეშა წყლების, მინერალური რესურსების, წყაროების სისუფთავის დაცვას და ა.შ.
- ტურისტული პროგრამების შემუშავება - რომლებიც უზრუნველყოფენ ბუნებრივ კომპლექსებზე ტურისტთა მინიმალურ ზემოქმედებას და ზედმეტად არ ზღუდავენ ტურისტთა შესაძლებლობებს;
- ეკოტურიზმის სფეროში ეფექტური მარკეტინგული სტრატეგიების შემუშავება;
- ხარისხიანი ეკოტურისტული მომსახურების შეთავაზება: რუკები, სქემები, ბროშურები (სხვადასხვა ენაზე), ბილიკები ნიშნულებით,სამეთვალყურეო შენობები და ა.შ. ასევე მნიშვნელოვანია პროფესიონალი მენეჯერების, თარჯიმნების, ექსკურსიამძღოლ-ეკოლოგების და სხვა სპეციალისტების როლი;
- დამატებითი ტურისტული მომსახურების შეთავაზება: კემპინგი, ბუნებრივი ტერიტორიების კუთვნილ ეკოლოგიურ სოფლებში განთავსება, ეკოლოგიური ტრანსპორტით მომსახურება, სხვადასხვა ეკო-საგანმანათლებლო მომსახურება, ეკოლოგიური კაფეები, სუვენირები დაცული ტერიტორიის სიმბოლიკით.

კარგი იქნება თუ ყველა ტურისტული ორგანიზაცია ეკოტურის განხორციელებამდე მოგზაურებს გააცნობს ეკოტურიზმის საერთაშორისო ორგანიზაციის TIES-ის მიერ შემუშავებულ ეკოტურისტის 10 ცნებას:

1. გვახსოვდეს დედამიწის დაუცველობა;
2. დავტოვოთ მხოლოდ ნაკვალევი, თან წავიღოთ მხოლოდ ფოტოსურათები;
3. შევიცნოთ სამყარო, რომელშიც მოვხვდით: ხალხთა კულტურა, გეოგრაფია;
4. პატივი ვცეთ ადგილობრივ მოსახლეობას;
5. არ ვიყიდოთ იმ მწარმოებლის პროდუქცია, რომელიც საფრთხეს უქმნის გარემოს;
6. ყოველთვის ვიაროთ გაკვალული ბილიკებით;
7. მხარი დავუჭიროთ გარემოსდაცვით პროგრამებს;
8. სადაც შესაძლებელია, გამოვიყენოთ გარემოსდაცვითი მეთოდები;
9. მხარი დავუჭიროთ (ვითანამშრომლოთ) ორაგნიზაციებს, რომლებიც გარემოსდაცვით სფეროში საქმიანობენ;
10. ვიმოგზაუროთ იმ ტურისტულ ფირმებსა და კომპანიებთან ერთად, რომლებიც ემხრობიან ეკოტურიზმის პრინციპებს.

ნათელია, რომ ეკოტურიზმი ტურიზმის განსაკუთრებული სახეობაა, ეს მხოლოდ კარგად ორგანიზებული ტურები კი არ არის, არამედ მოგზაურობაა, რომელიც მოიცავს როგორც საგანმანათლებლო და შემეცნებით, ისე სოციალურ და, რა თქმა უნდა, გარემოსდაცვით პროგრამებს.

ეკოტურიზმს, თუ ის სწორად იქნა წარმართული, მნიშვნელოვანი ეკონომიკური პოტენციალი აქვს. მისი დადებით მხარეებიიდან შეიძლება გამოვყოთ: ეკონომიკური დივერსიფიკაცია (განსაკუთრებით — სოფლებში, პერიფერიებსა და არაინდუსტრიალიზებულ რეგიონებში); გრძელვადიანი ეკონომიკური სტაბილურობა; მოთხოვნა ადგილობრივ საქონელსა და მომსახურებაზე, რაც სარგებლობას მოუტანს ადგილობრივ ეკონომიკას; ინფრასტრუქტურის განვითარება; დასაქმებისა და შემოსავლების ზრდა. მნიშვნელოვანია სოციალური ეფექტი, ეკოტურისტებს გარემოსადმი თავიანთი პასუხისმგებლობა მკაფიოდ აქვთ გაცნობიერებული, რაც ადგილობრივ მოსახლეობას მათდამი პატივისცემით განაწყობს. ეკოლოგიის დაცვისა და ეკონომიკის განვითარების ფონზე იზრდება ქვეყნის განვითარების დონე, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობა კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის ტურისტულ რეგიონს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ინტერნეტ-გვერდი-Travel Agent Central-მოგზაურობის უახლესი ამბები და ტენდენციები https://www.travelagentcentral.com/running-your-business/stats-87-travelers-want-to-travel-sustainably?fbclid=IwAR3k631jhPNOuc9GRv-eNDAGKAHdGQEQrSjO_UEn8TBjAv_DZMnwTbXjnm4
- ინტერნეტ-გვერდი-Center for Responsible Travel (CREST)-„პასუხისმგებლიანი“ მოგზაურობის ცენტრი https://www.responsibletravel.org/docs/The_Case_for_Responsible_Travel_2018_FINAL_FOR_WEB.pdf
- ინტერნეტ-გაზეთი-Maststavlebeli.ge http://mastsavlebeli.ge/?p=1084&fbclid=IwAR2u-eyIuWJgLOVoQYou9JCExE_8XJTxRbuIcjZA0za6FiGCsrUmSo66JgA
- დისერტაცია-„ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების სტრატეგიების ფორმირება“-მამუკა გოგელია https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_3292_1.pdf?fbclid=IwAR1j7b5vv7qyoQEpalUijpHZ4HbNsndBjyZTAjrWet605uVaPBgm3eQ71Ds

სათავგადასავლო ტურიზმში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით

ავტორი: **ხატია შალვაშვილი**
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი,
ხელმძღვანელი: **პროფესორი გივი ყუფარაძე**

აბსტრაქტი

ნაშრომის მიზანია შეისწავლოს საქართველოში არსებული სათავგადასავლო ტურიზმის სფეროს პერსპექტივები და ჩამოაყალიბოს მისი განვითარების ტენდენციები და კონკურენტუნარიანობის ამაღლების შესაძლებლობები, გააცნოს დაინტერესებულ პირებს თანამედროვე ტექნოლოგიები არსებულ სფეროში, გამოავლინოს მათი გამოყენების უპირატესობები და შედეგები. ექსპერტული შეფასებით სათავგადასავლო ტურიზმის შემოსავალი მსოფლიოში ერთ მილიარდ დოლარს აღემატება და მისი მოცულობა ყოველწლიურად იზრდება. ამ თვალსაზრისით გამონაკლისი არც საქართველოა, რადგან ჩვენთან სულ უფრო პოპულარული ხდება სათავგადასავლო აქტივობები და მატულობს მათით დაკავებული ადამიანების რაოდენობა. კვლევამ გვიჩვენა (ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ თბილისის ტურისტული კომპანიების კვლევა) თუ რამდენად კონკურენტუნარიანია საქართველო იმისათვის, რომ დანერგოს თანამედროვე ტექნოლოგიები და ამით გაზარდოს ქვეყანის დაინტერესება სათავგადასავლო ტურისტებში მთელი მსოფლიოს მასშტაბით. აღსანიშნავია, რომ საკმაოდ მაღალია სათავგადასავლო ტურიზმზე მოთხოვნა, როგორც უცხოელი ვიზიტორების, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან. თანაც, ამ სახის ტურიზმზე შედარებით ნაკლებ ზემოქმედებას ახდენს სეზონურობის პრობლემა. მეორეს მხრივ, ქართული ტურისტულ კომპანიებისათვის დიდ გამოწვევად რჩება ტექნოლოგიური სიახლეების სუსტად ან საერთოდ არ გამოყენება, რაც მნიშვნელოვნად ართულებს სწორი მარკეტინგული აქტივობების განხორციელებას და შესაბამისად გაყიდვების ზრდას.

შესავალი

ტურიზმის ინდუსტრია დღითიდღე ვითარდება და იხვეწება, „მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია" (MTO) აქტიურადაა ჩართული ყველა სფეროს განვითარებასა და წარმატებით განხორციელებაში. მიიჩნევა, რომ ახალ ტექნოლოგიებს თანამედროვე სამყაროში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, სწორედ ამ გზითაა შესაძლებელი 21-ე საუკუნეში ახალი ტრენდებისა და სამომავლო გეგმების შექმნა და განხორციელება, ამასთანავე ეკონომიკური სარგებელის მიღებაც.

რაც შეეხება სათავგადასავლო ტურიზმს, დღესდღეობით მისი პოტენციალი მსოფლიო მასშტაბით საკმაოდ დიდია, ამ ყველაფრის საფუძველზე კი შეგვიძლია ვიმსჯელოთ თუ რა როლი აქვს მას ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და ეკონომიკურ სარგებელზე.

„როგორც წესი, სათავგადასავლო ტურიზმის ქვეშ იგულისხმება ყველა მოგზაურობა, რომელიც დაკავშირებულია გადაადგილების აქტიურ ფორმებთან და ბუნებაში დასვენებასთან და მიზნად ისახავს ახალი შეგრძნებების, შთაბეჭდილებების მიღებას, ტურისტის ფიზიკური ფორმის გაუმჯობესებასა და სპორტული შედეგების მიღწევას."

ტურიზმის ეს სახე სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება, რადგან ტურისტები ეძებენ რეკრეაციის ახალ, არაჩვეულებრივ ფორმებს, რომლებიც განსხვავდება ტიპიური პლაჟური დასვენებისაგან.

დღეს, სპორტის ტრადიციულ სახეებთან ერთად, განვითარდა ახლებიც, რომლებიც დაკავშირებულია თავგადასავლებთან და რომლებიც ჩართული არიან ტურისტულ ინდუსტრიაში. მაგალითად:

- ტურიზმი საჰაერო ბუშტებით;
- პარაგლაიდინგი;
- დელტაპლანერიზმი;
- მთის ველოსიპედების ტურები;
- საცხენოსნო ტურები;
- ალპინიზმი;
- კლდეზე ცოცვა;
- ტრეკინგი;
- კანიონინგი;
- ჰაიკინგი;
- ბანჯი ჯამპინგი (bungee jumping);
- ჯომარდობა (Rafting);
- ვინდსერფინგი;
- სკი ტურები;
- სნოუბორდინგი;
- სათავგადასავლო პარკები.

განსაკუთრებული ყურადღება მინდა გავამახვილო „სათავგადასავლო პარკებზე", რომლებიც საქართველოში არც თუ ისე განვითარებულია, თუმცა უკვე მოთხოვნადი. მსოფლიო მასშტაბით ასეთი პარკები საკმაოდ პოპულარულია, განურჩევლად ასაკობრივი კატეგორიისა და სირთულისა. განსხვავება არსებობს მხოლოდ სერვისებსა და ხარისხში, ხოლო საბაზისო სტრუქტურა მსგავსია..

სათავგადასავლო პარკებში ძირითადად გვხვდება:

1. ზიპ ლაინი;

2. პარკის რთული ტრასა;

3. პარკის მარტივი ტრასა;

4. ხელოვნურ კედელზე ცოცვა;

5. ბადეზე ცოცვა.

ასეთი ტიპის აქტივობები საკმაოდ პოპულარულია ბავშვებსა და მოზარდებში, რის შედეგადაც მუდმივად ხდება სკოლებთან და უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა, ტურების მოწყობა, დაბადების დღის გადახდა, ოჯახის მოგზაურობა უქმეებზე და ა.შ. თუმცა მოთხოვნა არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ უცხოელი ტურისტებისგანაც მოდის, რომლებიც გატაცებული არიან სათავგადასავლო ტურიზმით და სურთ ახალი გამოცდილების მიღება,

სწორედ ამიტომაა აუცილებელი განვავითაროთ ტურიზმის ეს სპექტრი, გამოვიყენოთ მსოფლიოში არსებული ახალი ტექნოლოგიები და ტენდენციები მარკეტინგული განვითარებისთვის, რომელიც დაგვეხმარება შემდგომში სფეროს პოპულარიზაციასა და ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაზრდაში.

განვიხილოთ შემდეგი ტრენდები, რომელიც დაკავშურებულია თანამედროვე ტექნოლოგიებთან:

ტრენდი 1 – ტურისტების მომსახურებით დაკავდებიან ბოტები

მიიჩნევა, რომ ბოტები გაუმჯობესებენ მომხმარებელთან მომსახურებას, ისინი უფრო სწრაფად და ეფექტურად გადაწყვეტენ პრობლემებს, ვიდრე ადამიანები. ჩატბოტი (Chatbot) არის კომპიუტერული პროგრამა, რომელიც შექმნილია ადამიანის ხმის ემულაციისათვის (იმიტაციისათვის) და „ონლაინ“ რეჟიმში ადამიანებთან ურთიერთობისათვის. ჩატბოტი განვითარდა, რათა შესაძლებელი გამხდარიყო მომენტალური, სწრაფი, მაგრამ ამასთანავე, გათვლილი, პერსონალიზირებული პასუხების გაცემა. ამ ფუნქციებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ გაყიდვებს, მარკეტინგს, კლიენტების მომსახურებას, აგრეთვე დესტინაციებს, პარტნიორულ პროგრამებსა და სხვა.

სავარაუდოა, რომ 2019 წელს სულ უფო მეტი სათავგადასავლო ტურისტული ბიზნესი გამოიყენებს ჩატბოტს, რათა უკეთ მართოს კარგი ხარისხის მომსახურებაზე გაზრდილი მოთხოვნა. ანალიტიკური კომპანია Gartner-ის მონაცემებით, 2019 წელს ჩატბოტების გამოყენება გასამმაგდება, რადგან საწარმოები ისწრაფვიან შეამცირონ ოპერაციული ხარჯები და გაზარდონ მომხმარებელთა კმაყოფილების დონე.

ტრენდი 2 – ვირტუალური რეალობა ხდება მარკეტინგული ინსტრუმენტი, რომელზეც მაღალი მოთხოვნაა

სათავგადასავლო ტურიზმის ბიზნესისა და კონკრეტული დესტინაციების მოთხოვნის საფუძველზე 2018 წლიდან ვირტუალური რეალობა გახდა მარკეტინგული ინსტრუმენტი. ამის მიზეზი ისაა, რომ იმ კომპანიებსა თუ დანიშნულების ადგილებს, რომელთაც სურთ წარმოაჩინონ საკუთარი ბუნებრივი, კულტურული თუ სათავგადასავლო აქტივები, უჭირთ საკუთარი პოტენციალის თხრობით ან ტრადიციული მეთოდების გამოყენებით მომხმარებლამდე ინფორმაციის მიტანა.

„Phocuswright" არის გლობალური მოგზაურობების ბაზრის კვლევის კომპანია, რომელმაც აღმოაჩინა, რომ VR-ის (ვირტუალური რეალობის) გამოცდილება არის სასარგეებლო გზა, რომ დაინერგოს ისეთი სისტემა, რომლითაც მომხმარებლებს შეეძლებათ მაქსიამლურად ნატურალურ ფორმატში დაათვალიერონ და გაეცნონ კონკრეტულ დესტინაციებს, შემდეგ კი თავად გადაწყვიტონ, თუ სად იმოგზაურონ.

უელსში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ადამიანთა 85%-მა, რომლებმაც მოინახულეს ველური ბუნება ვირტუალური რელობის (VR) მეშვეობით, გადაწყვიტეს პირადად ემოგზაურათ ამ ადგილებში.

VR ტექნოლოგია სულ უფრო და უფრო ხელმისაწვდომი ხდება, Oculus Rift არის მოწყობილობა, რომელიც მაგრდება თავზე და წარმოადგენს ვირტუალური რეალობის ამსახველ ტექნოლოგიას, იგი მიიჩნევა ერთ-ერთ მარკეტინგულ ხელსაწყოდ, „IHS"-ს კომპანია მიიჩნევს, რომ 2020 წელს VR ტექნოლოგიის ინდუსტრია მიაღწევს 2.6$ მილიარდ დოლარს.

ტრენდი 3 – დიდი მონაცემები განჭვრეტენ მომავალს

მოგზაურობის პერსონალიზაციის კვლევაში Accenture Interactive-მა აღმოაჩინა, რომ გამოკითხული ტურისტული ბრენდების 100% ინსტრუმენტად იყენებდა ვებ-ანალიტიკას, ხოლო 90%-ს ჰქონდა ტექნოლოგია, რომელიც პერსონალური კონტენტის მიწოდების საშუალებას იძლევა. თუმცა, ამ კომპანიების მხოლოდ 50% იყენებდა ამ ტექნოლოგიების მონაცემებს სამომხმარებლო გამოცდილების გასაუმჯობესებლად.

იმისათვის, რომ დარჩნენ კონკურენტუნარიანები, სათავგადასავლო ტურიზმის კომპანიებისათვის აუცილებელი იქნება მონაცემებისა და პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება, რადგან მათ თავიანთ მომხამრებლებს სულ უფრო და უფრო ინდივიდუალური და პერსონალიზებული მიდგომა უნდა შესთავაზონ.

დიდი მონაცემები (Big Data) ესაა მოდური ტერმინი, რომელიც აღნიშნავს განუზომლად დიდი მოცულობის მონაცემებს, რომელთა ტრადიციული მეთოდებით დამუშავება შეუძლებელია.

სამაგიეროდ, მათი ეფექტური ანალიზი საშუალებას იძლევა კომპანიებმა მოახდინონ ახალი იდეების, ტენდენციების, შესაძლებლობებისა და რისკების იდენტიფიცირება. დიდი მონაცემები იქმნება ტურიზმის სატელიტური ანგარიშების, საერთაშორისო მოგზაურობების რეკომენდაციების, TripAdvisor-ის მიმოხილვების და სხვა მსგავსი მონაცემების საფუძველზე. მართალია, სათავგადასავლო კომპანიების უმეტესობას არ ექნება წვდომა ამ დიდ მონაცემებზე, თუმცა სახელმწიფო უწყებებს და დესტინაციების მარკეტინგულ ორგანიზაციებს (DMO) შეუძლიათ ამ მონაცემების გამოყენება და მათი ანალიზის შედეგების მიწოდებით, დაინტერესებული მხარეების დახმარება.

ოპერატორებს, რომელთაც ონლაინ-ტრეკერების მეშვეობით ექნებათ წვდომა დიდი მოცულობის ინფორმაციასთან, ასევე ექნებათ შესაძლებლობა მათ გადაჭრან რიგი პრობლემებისა, მაგალითად:

- გაერკვნენ ტურისტულ ნაკადებში,
- შექმნან ახალი პროდუქტები,
- უკეთ შეიცნონ ტურისტული სეგმენტები და მომხმარებელთა მოთხოვნილებები.

ტრენდი 4 – ბლოკჩეინ ტექნოლოგიებმა შეიძლება მოახდინონ სრული დეზინტერმედიაცია სათავგადასავლო ტურიზმში

მომავალში სამოგზაურო კომპანიები დაიწყებენ ექსპერიმენტებს ბლოკჩეინ ტექნოლოგიებში, რათა გააუმჯობესონ დეზინ-ტერმედიაცია, ანუ სამეწარმეო-გასაღებით ჯაჭვიდან შუამავლების გამორიცხვა, ანუ პროდუქციის რეალიზაცია მოახდინონ არა საბითუმო და საცალო გადამყიდველების გავლით, არამედ პირდაპირი გზით, უშუალოდ მყიდველებზე.

ბლოკჩეინი არის კრიპტოვალუტის ტექნოლოგია. მარტივად რომ ითქვას, ბლოკჩეინი არის ციფრული რეესტრი, რომელშიც აღირიცხება კრიპტოვალუტის ტრანზაქციები. ბლოკჩეინები შეიძლება იყოს საჯარო და კერძო. IBM Blockchain-ის ბლოგში ასეა განმარტებული: „საზოგადოებრივი ბლოკჩეინის ქსელი მთლიანად გახსნილია და ნებისმიერს შუძლია შეურთდეს და მიიღოს მასში მონაწილეობა. დღეისათვის ბიტკოინი წარმოადგენს ბლოკჩეინის ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ საზოგადოებრივ ქსელს. კერძო ბლოკჩეინის ქსელისათვის აუცილებელია მოწვევა და ის უნდა დადასტურდეს ან ქსელური სტარტერის მიერ, ან ქსელური სტარტერის მიერ დამტკიცებული წესების ნაკრებით.“

ტურიზმის ინდუსტრიაში ბლოკჩეინის ტექნოლოგია განიხილება, როგორც დეზინტერმედიაციის შესაძლებლობა, რაც საშუალებას მისცემს ტურისტულ კომპანიებს და მათ მომხამრებელებს გვერდი აუარონ სხვადასხვა საკომისიო მოსაკრებლებს და შუამავლების ფენებს, რომლებიც ჩამჯდრები არიან მომსახურების მიმწოდებლებსა და მოგზაურებს შორის.

„Phocuswright“-ის ანალიტიკოსმა და დამფუძნებელმა დუგლას ქუინბიმ საკუთარ სტატიაში განაცხადა, რომ ბლოკჩეინის ხერხი დაეხმარება სასტუმროებს, ავიაკომპანიებს, ტუროპერატორებსა და მოგზაურებს, რომ აწარმოონ ურთიერთობა უფრო მარტივად, ბანკების, საკრედიტო ბარათების, ქლეარინგჰაუსების ან თუნდაც ორთოპედიული ტრამვის ასოციაციის (OTA)-ს ჩარევის გარეშე.

იმ ფონზე, რომ საქართველოში ზოგადად საკმაოდ კარგადაა განვითარებული ბლოკშეინის ტექნოლოგია და კრიპტოვალუტის წარმოება-ვაჭრობა, ტურისტული კომპანიები საკმაოდ ინერტულები არიან ამ ტექნოლოგიების გამოყენებაში.

კვლევა

საქართველოში უკვე მოთხოვნადი გახდა და ნელ-ნელა ფეხს იკიდებს სათავგადასავლო პარკები. მსოფლიო მასშტაბით ასეთი პარკები საკმაოდ პოპულარულია, ჩვენთან კი პრაქტიკულად მხოლოდ ერთი სრულფასოვანი და სრულმასშტაბიანი პარკია, რომელიც ფშავში, მდინარე არაგვის პირას, სოფელ თვალივშია აშენებული. თბილისის ზოოპარკსა და სავაჭრო ცენტრ „ისთ პოინტში“ არსებული თოკების ატრაქციონები იმდენად მცირე მასშტაბისაა, რომ ძნელია მათ საერთოდ უწოდო სათავგადასავლო პარკი.

ჩემს მიერ შესწავლილი იქნა სწორედ თვალივის სათავგადასავლო პარკი. ესაა თოკებისაგან შექმნილ თანამედროვე სპორტულ-გასართობი ქალაქი ბავშვებისა და მოზრდილებისათვის, რომელიც აშენდა 2016 წელს. პარკი წარმოადგენს უმცირეს დეტალებამდე გათვლილ და ეფექტურად ფუნქციონირებად კომპლექსს, რომელისთვისაც დამახასიათებელია სრული უსაფრთხოება, საიმედო დაზღვევა, გამორჩეული დიზაინი და მკაფიო ლოჯისტიკა.

თუ დავაკვირდებით უკანასკნელ წლებში მსოფლიო ტურიზმის განვითარებაში გამოკვეთილ ტრენდებს, ვნახავთ, რომ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ასე ხასითდება -„უკან ბუნებისაკენ“. სპეციალისტებისა და ექსპერტების შეფასებით საუკეთესო პერსპექტივები აქვთ ისეთ ტურისტულ და რეკრეაციულ ობიექტებს, რომლებიც განლაგებულია ბუნებაში ან ბუნებრივ წყაროებთან ახლოს. „ეკოლოგიური“ (eco), ნატურალური (natural), ორგანული (organic), მწვანე (green) -ეს სწორედ ის სიტყვებია, რომლებსაც აქვთ განსაკუთრებული მიზიდულობის ძალა იმ ადამიანებისთვის, რომლებიც დასასვენებელ და გასართობ ობიექტებს ეძებენ. მართლაც, ეს სიტყვები ყველაზე მეტად მიესადაგება თვალივის სათავგადასვლო პარკს.

მსოფლიოში შექმნილი პირველი ასეთი პარკები, სწორედ, ტყეში, ხეებზე იქმნებოდა. სხვანაირად არც შეიძლებოდა, რადგან ხის ღერო ყველაზე ბუნებრივი, გამძლე, სანდო, საკმაოდ ხისტი და საკმარისად დემპფერული (რხევების ჩამხშობი) საყრდენია ნებისმიერი საჰაერო კონსტრუქციისათვის. ამიტომაც ხეებზე

გაჭიმულ თოკების პარკში დაბრკოლებები ყველაზე უფრო აუთენტურად და მიმზიდველად გამოიყურება, თანაც ამის გამო, ისინი განსაკუთრებულადაა მიახლოებული ნამდვილ სათავგადასავლო სულთან.

პარკში წარმოდგენილია სხვადასხვა სირთულისა და დიზაინის 4 ტრასა: ორი ბავშვებისათვის, ხოლო ორი ზრდასრულთათვის. საბავშვო ტრასებზე 8-8 დაბრკოლებაა, ხოლო მოზრდილებისაზე - 14-14. აქვე ფუნქციონირებს ჯომარდის ბაზა, რესტორანი და ბარი.

პარკშიც მრავლადაა გამოყენებული თანამედროვე ტექნოლოგიები, რომლებიც ძირითადად მიმართულია მომხმარებელთა უსაფრთხოების მაქსიმალური დაცვისაკენ - უახლესი სამთო აღჭურვილობა (უსაფრთხო, გასაღებიანი კარაბინები, ჩაფხუტები, თოკები, გორგოლაჭები, უსაფრთხოების ქამრები და სხვა).

დირექციასთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ პარკის მშენებლობისათვის 2016 წელს დაიხარჯა 120 ათასი აშშ. დოლარი. 2018 წელს პარკის მომსახურებით ისარგებლა 1200-მა ვიზიტორმა, რომელთა ასაკი 5 წლიდან 60 წლამდე მერყეობდა. როგორც ფინანსური ანალიზიდან ირკვევა, თუ დატვირთვის არსებული დონე შენარჩუნდა 2019 წელს და მომდევნო წლებშიც, მაშინ თვალივის პარკში განხორციელებული ინვესტიციების სრული უკუგების ვადა 6-7 წელი იქნება. არადა, შვეიცარიასა და გერმანიაში არსებული ამ მასშტაბის პარკების უკუგების დრო ორი წლით განისაზღვრება და ეს იმ ფონზე, რომ მათი მშენებლობა უფრო ძვირი, დაახლოებით 200 ათასი ევრო ჯდება. ეს ნიშნავს, რომ ევროპაში ასეთი ატრაქციების მოყვარული ადამიანების რაოდენობა 8-10 ჯერ მეტია ვიდრე საქართველოში.

დასკვნა

მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ტექნიკური მიდგომა მომავალში დიდ გავლენას მოახდენს საქართველოში არსებულ ტურისტულ სააგენტოებსა და სათავგადასავლო პარკებზე, იზრუნებს მათ განვითარებასა და პოპულარიზაციაზე, ასევე ამდაგვარი მარკეტინგული მიდგომა მოიზიდავს მეტ ტურისტს და სახელმწიფოს მოუტანს ეკონომიკურ სარგებელს. ამას გარდა მოხდება დაინტერესება სხვადასხვა ასაკის კატეგორებში, გაიწერება სპეციალური პროგრამები, ჩამოყალიბდება ახალი მიდინარეობები და იდეები სათავგადასავლო პარკებისათვის, რომელიც მიმდინარეობები იქნება სწორედ ამ ასაკობრივ კლასებისათვის, შესაბამისად უფრო მეტად გაიზრდება საქართველოში სათავგადასავლო ტურიზმის ეს მიმდინარეობა, რადგან რესურსი ნამდვილად ბევრია ქვეყნის ნებისმიერ კუთხეში, თანამედროვე ტექნოლოგიები კი დაგვეხმარება ხმა მივაწვდინოთ ყველა იმ ადამიანს ვინც დაინტერესებულია თავგადასავლებით, ექსტრიმითა და ახალი აღმოჩენებით. გაიცნონ საქართველო როგორც ქვეყანა, სადაც ბუნებრივი ხელთუქმნელი ბუნება და თანამედროვე ტექნოლოგიები ერთმანეთს ერწყმის.

გამოყენებული ლიტერატურა:

- https://cdn.adventuretravel.biz/research/2018-Travel-Trends.pdf
- https://jomardi.ge/
- https://gnta.ge/ge/%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99/

ჭერემი – ეკო სოფელი კახეთის გულში

ავტორი: **თეონა წიკლაური**
საზოგადოებრივი კოლეჯი მერმისი
ხელმძღვანელი: **თეონა თაბორიძე**

ჭერემის,როგორც გორგასლისეული ციხე_ქალაქის ისტორიული–არქეოლოგიური დახასიათება და ეკოსოფლის განვითარების გეგმის მიმოხილვა

ციხე–ქალაქი ჭერემი
(ისტორიულ-არქეოლოგიური სურათი)

«ჭერემი იყო ქალაქი, სადაცა აღაშენა გორგასალ ეკლესია დიდშენი, გუმბათიანი და ქალაქი მაგარი, და დასუა ეპიზკოპოზი,მწყემსი შიგნით-კახეთისა...»

[ქ˜ცა,IV,1973:546]

«ჭერემი - ციხე-ქალაქი გომბორის უსიერ ტყეში. ოდესაღაც სიცოცლის მპყრობელი, მარგალიტი აღმოსავლეთ საქართველოსი.»

«კლდეზე დაბუდებული არწივი,რომელიც გადაჰყურებდა ორ თვალუწვდენელ ველს, ქალაქი-გოდოლი»

ჭერმის ნაქალაქარი მდებარეობს გურჯაანის რაიონში, გომბორის ქედის ცენტრალურ ნაწილში, სოფელ ჭერემისა და მის დასავლეთით მდებარე მაღალ კლდოვან ბორცვზე ალაზნის ველიდან 18-ოდე კმ მანძილზე, მდ. ჭერმის წყლის მარცხენა, მაღალ ნაპირას. ვახუშტი ბატონიშვილი გვაძლევს შემდეგ ცნობებს: „ალაზანსავე.. დასავლეთიდამ მოერთვის ჭერმის წყალი, გამომდინარე ცივისა მთისა და მომდინარე ჭერემამდე... ამ წყალსა ზედა არს, ცივისა ანუ ჰერეთის მთის საშორისსა, ჭერემი.

არქეოლოგების დასკვნით ახ.წ. III-IVს-ებში, დიდი მეფის ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობიდან ორი საუკუნით ადრე აქ ქალაქური ტიპის დასახლება ყოფილა. აღმოჩენილია იმ დროინდელი სამარხები. მისი აგების თარიღი V ს-ის მეორე ნახევრით განისაზღვრება. სავარაუდოა, რომ აღმოსავლეთით ორი დიდი ველი, ივრისა და ალაზნის ველების, უფრო ძირფესვიანად ათვისებისთვის გორგასალმა სტრატეგიულ წერტილად ეს ადგილი აირჩია.ამ პერიოდიდან იწყება აქ ქალაქის გაშენება. იგება ეკლესიები და ციხე-გალავანები. მალე ის იქცა ქვევით ველებთან დამაკავშირებელ სამხედრო პლაცდარმად. იმ პოლიტიკური ჯაჭვის ერთ რგოლად, რომელიც მცხეთიდან უჯარმის გავლით ხორნაბუჯამდე არის გაბმული. ჭერმის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლებიდან უძველესია, ძირითადად, სოფლის ტერიტორიაზე აკრეფილი ქვის ხანის, კაჟის იარაღები, რომლებიც დიდ ფართობზეა მობნეული და კულტურულ ფენასთან არ არის დაკავშირებული. ქრონოლოგიურად ამ მასალებს მოსდევს სოფელ ჭერმის განაპირას, კვირიკეს გორაზე, სადაც ამჟამად ჭერემელთა სალოცავია, გვიანნეოლითური ხანის ნამოსახლარის ნაშთები, ისინი ძირიათადად წარმოდგენილია სამეურნეო ორმოებით და შენობათა ქვის კედლების ფრაგმენტებით. აქ აღმოჩნდა ამ დროისათვის დამახასიათებელი კერამიკული ნაწარმი და ქვის გახეხილ-გაპრიალებული ცულები. სოფელ ჭერმის ირგვლივ ტერიტორია მდიდარია გვიანბრინჯაო-რკინის ხანის ძეგლებით.

არსებობს ცნობა, რომელიც ქალაქ ჭერმის დაფუძნებას ასევე ვახტანგ გორგასლამდე გულისხმობს: „ჭერემი, გადმოცემის თანახმად, ჟალეთთან ერთდროულადაა დაფუძვნებული. ვახტანგ გორგასალმა გაამაგრა იგი, გაავრცო და შეამკო მდიდრულად მოწყობილი ტაძრით, სადაც დასვა ეპისკოპოსი მთელი შიდა კახეთისათვის“- ეს ცნობა ეკუთვნის პლატონ იოსელიანს.

ჭერმის გადაქცევა კულტურულ და სამხედრო დანიშნულების ცენტრად, მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ განაპირობა. იგი დაჰყურებს ივრისა და ალაზნის ველების ციხეს, მეორე მხარეს კი ველისციხეს. მანავის ციხიდან სტრატეგიული ხაზი დაკავშირებულია უდაბნოსთან, ველისციხიდან კი ალაზნის გაღმა ნეკრესთან და მის მიმდებარე ტერიტორიასთან .

სოფელი ჭერემის უპირატესობა გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე თავის დროზე ჯეროვნად იყო შეფასებული, მისი უპირატესობა გახლდათ შიდა კახეთისკენ მიმავალი უმოკლესი გზა. თბილისიდან და მცხეთიდან ერთი ორად უმოკლესია გზა შიდა კახეთისკენ ჭერემის გავლით, ვიდრე ციცჰერეთის მთის შემოვლით.

ქალაქ ჭერმის ძირითადი უბანი სამხრეთითა და ჩრდილოეთით ღრმა ხევებით (ჭერმის წყალი, ჩქარი წყალი) შემოსაზღვრულ დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ გაწვდილ ბორცვზეა განლაგებული, რომელიც აღმოსავლეთით კონცხითაა დასრულებული. კონცხის უკიდურესი აღმოსავლეთი ნაწილი მნიშვნელოვნადაა ამაღლებული და შესაძლოა წარმოადგენდეს ირგვლივ ტერასით შემოსაზღვრულ გვიანრომაული ხანის ქალაქური ტიპის დასახლების ციტადელს.

ჭერმის ციხის აგებასთან ერთად,როგორც ჩანს, იქმნება მთელი მხარის გამაგრების სისტემაც. V საუკუნის ქალაქი ჭერემი III-IV სს. ქალაქის მსგავსად ერთი მეორისგან დაცილებულ რამდენიმე უბნად უნდა წარმოვიდგინოთ. ქ. ჭერემის მრავალი უბნიდან, ზღუდე მხოლოდ ერთს, გორგასლისეულ ციტადელს შეენიშნება. ციხე-დარბაზი ციტადელის დასავლეთ განაპირა შემაღლებულ კლდოვან კონცხზეა გაშენებული. კონცხი ჯერ კიდევ გვიან ბრინჯაო-რკინის ხანაში თავდაცვითი თხრილით გამოყოფილ ნამოსახლარ ბორცვს წარმოადგენდა, ხოლო III-IV საუკუნეებში - საკმაოდ მოზრედილ მძლავრ სამოსახლოს, კრამიტით გადახურული კაპიტალური ნაგებობებით.

ვფიქრობ, რომ აღნიშნული ინფორმაცია კარგად წარმოაჩენს ჭერემს, როგორც სტრატეგიული ობიექტის დანიშნულებას და მართლაც ჭერმის განაშნიანება და მისი იმ დროისთვის დიდ ქალაქად გადაქცევა გორგასლის აღმოსავლეთ მიმართულ

პოლიტიკასთან არის დაკავშირებული. ჭერემში ცოცხლობს ამ დიადი მეფის პოლიტიკური ჩანაფიქრი.

საისტორიო წყაროებისა და არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად დგინდება ქალაქ ჭერმის ტოპოგრაფია და ქრონოლოგია. ივვეთება ქალაქ ჭერმის ისტორიის ორი უმნიშვნელოვანესი პერიოდი: 1. III ს. მეორე ნახევარი - ჭერემი, მნიშვნელოვან სავაჭრო მაგისტრალზე მებარე, ეკონომიკურ საფუძველზე აღმოცენებული პუნქტი; 2. V ს. მეორე ნახევარი-ჭერემი, ციხე-ქალაქი, სტრატეგიული პუნქტი, რომლის დაფუძვნებაც ვახტანგ გორგასალს მიეწერება.

არაბების უღელის გადაგდებისთანავე კახეთი გვევლინება უძლიერეს კუთხედ და ამის მიზეზი სხვა ყველაფერთან ერთად, უთუოდ ჭერემიც არის.

არქეოლოგების ყურადღება ჭერმისადგმი გაძლიერდა 1979 წელს. ამ წელს სოფელის აღმორძინებასთან დაკავშირებული სამუშაოების დროს, აღმოჩნდა სამარხები. ეს იქცა იმის ფაქტად, რომ გორგასლამდე ორი საუკუნით ადრე იყო ქალაქური ტიპის დასახლება.

თუმცა, არ ასებობს ცნობა იმის შესახებ, რომ მეფე ვახტანგამდე მას სტრატეგიული დანიშნულება ჰქონდა, გარდა წმინდა გიორგის ეკლესიისა არაფერი იყო აღმოჩენილი, რასაც ვახტანგ გორგასლისეული მშენებლობის დამახასიათებელი ნიშან-თვისება გააჩნდა.

ვარაუდობენ, რომ მეფის აგებული ქალაქი წვეროდაბალის ეკლესიისა და დღევანდელი სოფლის ცენტრში მდებარე კათედრალურ ტაძრებს შორის იყო მოქცეული.

1984 წელს არქეოლოგიური თვალსაზრისით ჭერემში მნიშვნელოვანი ძვრები ხდება. დაიწყო მიმდებარე ტერიტორიის დაზვერვა და გამოვლენილი იქნა რამოდენიმე საყურადღებო ძეგლი. განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა სოფლიდან სამიოდე კილომეტრზე მდებარე ბორცვმა. ამ ბორცვის ტყით დაფარული თხემი და დასავლეთიდან ღრმა ხევებით შემოსაზღვრული კლდოვანი კონცხი ნანგრევებით იყო სავსე. არქეოლოგების თვალს არ გამორჩენია კედლის «უჯარმული» წყობა. აქვე მდებარეობდა მნიშვნელოვანი ძეგლები წმინდა ბარბარე და წმინდა გიორგი (იგივე წვეროდაბალი). ეს ძეგლები გამოირჩევა ქართული ხუროთმოძღვრებით და ნ. ჩუბინაშვილს V საუკუნით აქვს დათარიღებული. ეს ძეგლი სამეკლესიან ბაზილიკას წარმოადგენს, გაწმენდითმა სამუშაოებმა ცხადყო, რომ იგი თავდაპირველად დარბაზული ტიპის იყო. არქეოლოგები ფიქრობენ, რომ სწორედ ეს არის ვახტანგ მეფის მიერ აგებული კათედრალური ეკლესია: «და დასუა ერთი ეპისკოპოსად ჭერემს,მისსავე აღშენებულსა და მუნ ქმნა ქალაქი ერთი შორს ორთავე ეკლესიათა,რომელი იგი მანვე აღაშენა». - გვამცნობს ისტორიული წყაროები.

თავად ციხე-დარბაზი გვიანბრინჯაოს ხანის ნამოსახლარზეა გამართული, ციტადელის დასავლეთ კიდეში, შემაღლებულ კლდოვან კონცხზე. დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან ბორცვს დიდი სათავსოები შემოუყვება. ეს სათავსოები სამხრეთ-დასავლეთ მხარეს ბლაგვ კუთხეს აკეთებს. ბოლოვდება დიდი ოთხკუთხა კოშკით და მთლაიანად ფარგლავს შიდა ეზოს, რომელიც მოიცავს 300მ2 ციხე-დარბაზს, აღმოსავლეთ ნაწილი ჩრდილოეთის გეგმარებას იმეორებს-დიდი დარბაზი, დერეფანი და ორი ოთახი. ყველა ოთახი ერთმანეთს და შიდა ეზოს უკავშირდება. ვარაუდით ციხე-დარბაზი ორსართულიანი უნდა ყოფილიყო. თავისდროზე ნაგებობა წითელი წერნაქით დაფარული რარიანი და ბრტყელი კრამიტით ყოფილა გადახურული. ჩამსხვრეული კრამიტითაა მოფენილი იატაკიც. ციხე-დარბაზის აღმოსავლეთით, დაახლოებით ასიოდე მეტრზე სასახლის კომპლექსში შემავალი დიდი ნაგებობა დგას. მისი სიგრძ 30 მეტრია, სიგანე კი 15 მეტრი. წყობით ჰგავს ციხე-დარბაზი. ეს ციტადელი როგორც ჩანს, ერთდროულად ერთიანი გეგმით არის ნაგები.

მოგვიანებით დაახლოებით VIII-IX საუკუნეებში ვარაუდობენ, რომ ვახტანგისეულ ქალაქში ცხოვრება შესუსტებულა და კათედრალური ტაძარი დღევანდელი სოფლის ტერიტორიაზე გადაუტანიათ, ჯერ კიდევ III საუკუნის დროინდელ ქალაქში, სადაც ცხოვრება გრძელდებოდა. ნ. ჩუბინაშვილის აზრით, იქ VIII-IX საუკუნეებში იგება კათედრალური ტაძარი და ეპისკოპოსისი სასახლეც.

თვითონ წვეროდაბალი ნაგებია შირმის მსხვილი კვადრატებით. აქა-იქ გამოყენებულია კირქვის ბლოკები. ეკლესიის კედლები მკაცრად ვერტიკალურია, რიგები თანაბარი. თაღები, საკურთხევლის სარკმლის თაღი კონქი-იშვიათი ,სწორი მოხაზულობისაა. ნ. ჩუბინაშვილი მიიჩნევს, რომ წვეროდაბალი ქართლის სამშენებლო ხელოვნების საუკეთესო სტილითაა ნაგები და ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე V ს მესამედით ათარიღებს.

წმ. გიორგის ეკლესიიდან დასავლეთით სულ რაღაც 150 მეტრის მოშორებით სასახლის კარის ეკლესიაა (იგივე წმ. ბარბალეს სახელობის ეკლესია). ამ ეკლესიის კედლის ქვის წყობა ისეთივეა, როგორც სასახლის კომპლექსში შემავალი ნაგებობებისა, აქედან გამომდინარე ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს ძეგლიც შესაძლოა დათარიღდეს V ს-ით.

«თავად ბორცვი თეთრ სამოსელში საოცრად ლამაზი მოჩანს, თუმცა ამბობენ გაზაფხული და სიმწვანე ისე უხდება, თვალს ვერ მოაშორებო..» (ჟურნალი „კარიბჭე“)

საძიებო სამუშაოები დაგვირგვინდა დიდი აღმოჩენით ეს იყო გორგასლის სასახლის მთელი კომპლექსი დარბაზებით, კარის ეკლესიით, სამეურნეო ნაგებობეითა და ციხე-დარბაზით.

სავარაუდოა, რომ ეს არის უფლისწული დაჩის რეზიდენცია, ამაზე მეტყველებს ჯუანშერის ცნობა «ძესა მისსა..დაჩის, მისაცა ქალაქი ჭერემისა და ნეკრესისა აღმოსავლით და თვით ვახტანგ დაჯდა უჯარმას და აღაშენა იგი ნაშნებითა უზომოთა.»

მაშ ასე, III-IV საუკუნეების ქალაქი ჭერემი ახლახან აღორძინებული სოფლის ტერიტორიაზე იყო, ვახტანგისეული ქალაქი ჭერემი კი

III-IV საუკუნეების ქალაქის დასავლეთით მდებარეობდა, ხუთიოდე კილომეტრზე. გასათვალისწინებელია, რომ გორგასლის მიერ ციხე ქალქების აგების შემდეგაც არ წყდება III-IV სს. ჭერემის ცხოვრება. ამაზე მეტყველებს აღმოჩენილი სამარხები და დღემდე შემორჩენილი ხუროთმოძღვრების ძეგლები. ვფიქრობ, რომ ჭერემი, პირველ რიგში, როგორც ისტორიული ციხე-ქალაქი, აუცილებლად და დაუყოვნებლივ იმსახურებს ჩვენს, საზოგადოების და სახელმწიფოს განსაკუთრებულ ყურადღებას.

ეკოსოფელი

ეკოსოფელ წარმოადგენს თემს ან დახლებას, რომლის მცხოვრებთა რიცხვი 50-დან 150 მოსახლემდე მერყეობს, თუმცა ზოგიერთი ეკოსოფელი 2000-ზე მეტი მოსახლით აღინიშნება. ეკოსოფლის მკვიდრებს აერთიანებთ ეკოლოგიური, სოციალ-ეკონომიკური, კულტურული და სულიერი ღირებულებები. ეკოსოფლში მცხოვრები ადამიანი თავს მიიჩნევს ბუნების ნაწილად და განსაკუთრებულად ზრუნავს გარემოზე, მათი ცხოვრება და საქმიანობა ბუნებასთან ჰარმონიაშია. თითოეულ მცხოვრებს გაანია იმის შეგნება, რომ მას შეუძლია გავლენა მოახდინოს ბუნებაზე და ეკოსოფლის განვითარებაზე, შეიტანოს მასში წვლილი და გამოიყენოს თავისი ცოდნა ბუნებასთან ჰარმონიულად. ეკოსოფელის მოსახლენი ზრუნავენ არამარტო ბუნებაზე, არამედ კულტურულ და ისტორიულ ღირებულებებზეც, ინარჩუნებენ ტრადიციებს. აგრეთვე, ისინი სოფელში წარმართავენ კულტურულ, სოციალურ და სამეურნეო საქმიანობას.

1991 წელს რობერტ გილმენის მიერ ჩამოყალიბდა პირველად ეკოსოფლის განმარტება; «ეკოსოფელი არის ადამიანების სრულფასოვანი დასახლება, რომელშიც ადამიანი ისეა ინტეგრირებული ბუნებასთან, რომ მინიმალურ ზიანს აყენებს მას, რათა ხელი შეუწყოს ჯანმრთელი ადამიანის განვითარებას და წარმატებით განაგრძოს ცხოვრება განუსაზღვრელი ვადით.»

1998 წელს გაერომ ეკოსოფლების შექმნა დაასახელა მდგრადი, სიცოცხლისუნარიანი არსებობის ას საუკეთესო მეთოდს შორის.

მსოფლიოში ათასობით ეკოსოფელია, რომლებიც ავითარებენ და ხვეწენ სოციალურ და ეკოლოგიურ მდგომარეობებს,როგორც მსოფლიოში საქართველოშიც დიდი ხანია ტრიალებს ეკოსოფლების შექმნის იდეა და ბოლო ათი წელია განსაკუთრებით წამოიწია ამ თემამ.

ტურისტების ქცევით ფსიქოლოგიზე დაყრდნობით თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნელ-ნელა ადამიანები მიილტვიან ისეთი ადგილების შეცნობისკენ, სადაც ადამიანების ხელი ნაკლებადაა ჩარეული და უფრო მეტადაა შემორჩენილი, როგორც ავთენტური ბუნებრივი გარემო, საცხოვრებელი სახლები, კულტურული ძეგლები და რაც მთავარი ცხოვრების წესი, წეს-ჩვეულებები, ტრადიციები, რწმენა წარმოდგენები და ყველაფერი ის რაც მათ ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებას ქმნის. ამრიგად მივდივართ იქამდე რომ ქვეყანაში ტურიზმის მდგრადი განვითარებისვთის სასიცოცხლოდ აუცილებელია ტურიზმის პოლიტიკა მეტად ეკო მიმართულებით იყოს განვითარებული, რათა ამ კატეგორიის ტურისტების მოლოდინების დაკმაყოფილებას შევუწყოთ ხელი,ასევე ქვეყანასაც ნაკლები ზიანი მიადგეს, აგრეთვე მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობაც ავტომატურად ჩართული იყოს პროცესებში, მათი ყოველდღიურობის გაუმჯობესებისთვის.

იქიდან გამომდინარე, რომ მსოფლიოში უმარავი ეკოსო-ფელი შეიქმნა, საჭირო გახდა ისეთი ორგანიზაციის ჩამოყალიბება,როგორიც არის გობალური ეკოსოფლების კავშირი (GEN-Global Ecovillage Netrork), როგორც ჩვენთვისაა ცნობილი კავშირის წევრები უზიარებენ ერთმანეთს გარკვეულ გამოცდილებებს. ვფიქრობ, რომ მსოფლიო მაგალითზე დაყრდნობით, საქართველოს შეუძლია მიიღოს გარკვეული ცოდნა არსებული ეკოსოფლებიდან გამომდინარე-რატომაც არა?! ჩვენ არ უნდა ვთქვათ უარი ისეთ განმავითრებელ ფაქტორებზე, რომელიც დღესდღეობით სასიცოცლხოდ ესაჭიროება ჩვენი ქვეყნის, როგორც ტურიზმის და ეკონომიკის მდგრად განვითარებას, რაც მთავარია ემსახურება ეკოლოოგიის გადარჩენასა და მასზე ზრუნვას. აგრეთვე, არ უნდა დავიხიოთ უკან ისეთი რესურსების ათვისების საქმეში, რომელიც ნამდვილად და უდაოდ გააჩნია ქვეყანას, კონკრეტულ კუთხეს თუ სოფელს..

როგორც უკვე ვახსენეთ მსოფლიოში უამრავი ეკოსოფლის ტიპის დასახლებაა დღესდღეობით შექმნილი და მათ სამართავად არსებობს დეკლარაცია,სწორედ ამ დეკლარაციის კრიტერიუმების წყალობით ხდება შეფასება,ესადაგება თუარა ესა თუ ის ეკო დასახლება ამ კრიტერიუმებს და საერთოდაც შეიძლება თუარა, რომ მიენიჭოს მას ეკოსოფლის სახელწოდება.

ჭერმის, როგორც ეკოსოფლის დახასიათება, ხედვა და განვითარების გეგმა

ეკოსოფლის განვითარების კუთხით ჭერემს, ვფიქრობ დიდი პოტენციალი გააჩნია. აღწერას ვიწყებთ იმით, რომ იგი მდებარეობს გომბორის ქედის ცენტრალურ ნაწილში, ეს უკვე ქმნის გარკვეულ წარმოდგენას, თურა გარემო შესაძლოა იყოს მის გარშემო. იგი მდინარე ჭერმისწყლის მარცხენა მაღალ ნაპირას დგას. უფრო ზუსტი მონაცემებით ზღვის დონიდან ათას მეტრზე მდებარეობს, ხოლო გურჯაანიდან ოცდარვა კილომეტრზე. ყოველივე ეს განაპირობებს იმისაც, რომ მისი მდებარეობიდან და სიმაღლიდან გამომდინარე, იქმნება არაჩვეულებრივი ხედები, იგი გადაჰყურებს ორ თვალუწვდენელ-ივრისა და ალაზნის ველებს. თავად ციხე-ქალაქი, როგორც მემატიანე აღგვიწერს „გომბორის უსიერ ტყეში მდებარეობს“, ეს კი ქმნის ჰარმონიას არსებულ ისტორიულ-კულტურულ ძეგლებთან, რომლებიც წარმოადგენენ ქართული ხუროთმოძღვრების უძველეს ნიმუშებს და ისტორიულადაც მრავლისმეტყველნი არიან. ყოველივე, ეს ნებისმიერი მნახველისთვის ვფიქრობ უდაოდ მიმზიდველი და განამაცვიფრებელი იქნება.

«მანქანა, რითაც ამ უძლიერესი სამეფო ქალაქამდის მისვლას ვაპირებთ, გურჯაანის რაიონში არ შესულა. გზა ბარჯისხევს მიუყვება, გომბორის ქედს სჭრის. უკან დარჩა ივრის მიდამოები და დაახლოებით შუა ნაწილიდან ალაზნის ველის სურათი იშლება.

მთელს სიგრძეზე ბაცი ნარინჯისფერი გადაჰკრავს, შორს ზვიადი კავკასიონი აღმართულა თავისი თოვლიანი მწვერვალებით. როცა ბაკურციხეს მივუახლოვდით, ვეცადე გონებაში ერთი სურათი წარმომედგინა, დღევანდელ საქართველოშო ეს ლაქა, რომელიც გართხმულიყო ალაზნის ველს მარჯვენა მხარეს უკიდურეს ნაწილში, გომბორის ფერდობებზე. იგი გადაევლებოდა ფერდობებზე, გადაევლებოდა ხევებს და ბორცვებს. მისი ქალაქური ტიპის სოფლები, ერთმანეთს რომ ებმებოდნენ, უფრო მკაფიო ფერს აძლევდნენ. ამ ლაქის სიგრძე დაახლოებით ოცდაათი კილომეტრია, სიგანე კი სულ სამი-ოთხი» - იწერება 1998 წლის ლიტერატურული ალმანახი „პირველი სხივი“.

მთელ რიგ სილამაზესთან და ხედებთან ერთად სოფელს, ჭერმელთა გადმოცემით, გააჩნია პატარა წყარო, რომელიც სხვადასხვა დაავადებებს კურნავს და არჩენს. დღესდღეობით მოსახლეობას არ გააჩნია გაზიფიცირება და სოფლისგან ძალიან შორსაა იგი. გაზის არარსებობა კიდევ უფრო ეკოლოგიურ გარემოს ქმნის სოფელში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, წინარე თემებში სოფელს თუ ციხე-ქალაქს მრავლად გააჩნია ძეგლები, რომლებიც არქეოლოგიურადაც უძვირფასეს მასალას გვაძლევენ, ესაა სწორედ ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, თუ რატომ უნდა იყოს საზოგადების ყურადღება მიპყრობილი ამ ტერიტორიაზე.

იგი არამარტო ეკოსოფლის, არამედ კულტურულ-ისტორიული ტურიზმის განვითარების საქმეში დიდ წვლილს შეიტანს, ხოლო ეკოსოფლის ჩამოყალიბებისას იქნება დაცული და მოვლილი მცხოვრებლების მიერ, გაცოცხლებული იქნება ძეგლებთან დაკავშირებული ისტორიული დღესასწაულებიც, მაგალითად როგორიც არის „გორგასლობა“.

ესაა ნათელი მაგალითი, იმისა რომ განუწყვეტლივ უნდა ვითვისებდეთ ჩვენი ქვეყნის თუ კუთხის პოტენციალს და ვახდენდეთ მის რეალიზებას, მაგ: კახეთის გავრცელებული ტურების გარადა აუცილებელია, ტურისტს შევთავაზოთ რაიმე ახალი და საინტერესო ტური ამ კუთხეში, რადგანაც გარდა ამ ადგილის პოპულარიზაციისა, გამოცდილებით თავად ტურისტების სურვილია, რომ იმოგზაროს ავთენტურ ადგილებში და ჰქონდეს მოსახლეობასთან უშუალო ურთიერთობა. ჭერემი არა მხოლოდ მატერიალური, არამედ არამატერიალური კულტურის გაცოცხლებითაც უნდა იყოს დაკავებული. იქიდან გამომდინარე, რომ კახეთი საკმაოდ პოპულარული და ცნობილია ტურიზმის კუთხით, ჩემი აზრით, სოფელი ჭერემი ადვილად მოიკიდებს ტურიზმის განვითარების კუთხით ფეხს. შეიქმნება შესაბამისი ტურები: სათავგდასავლო, კულტურულ-ისტორიული, ეკოტურები და ა.შ.

სოფელში შესაძლებელია სხვადასხვა სახის ტურიზმის განვითარება, როგორც ბუნებრივი რესურსებიდან არსებული კულტურულ-რელიგიური და ისტორიული ფაქტორებიდან გამომდინარე - კულტურული, ისტორიული, პილიგრიმული, სათავგადასავლო, ეკოტურებისა და ა.შ. განვითარება. სოფლის პლიუსი არის სეზონურობაც, სხვადსახვა სეზონზე სხვადასხვა აქტივობების დანერგაა შესაძლებელი. აღსანიშნავია, რომ სოფელი სათავგადასავლო ტურიზმისთვის არაჩვეულებრივი ადგილია, აქ შესაძლებელია პარაპლანით/დელტაპლანით დაშვება, ველო ბილიკების მოწყობა, ჯომარდობა, საცხენოსნო გზების მოწყობა და ა.შ.

რაც შეეხება, ზემოთ აღნიშნულ დღესასწაულს „გორგასლობას“, მისი მოწყობა შესაძლებელია ტერიტორიაზე, სადაც გორგასლის სასახლეა. ეს ტერიტორიები შეიძლება ჩავთვალოთ ე.წ. საფესტვალო სივრცედ, რაც ეკოსოფლებისთვის დამახასიათებელი ერთ-ერთი სივცრეა. აღნიშნულ ტერიტორიაზე მოეწყობა დღესასწაული, კონცერტი ქართული ხალხური სულისთვის დამახასიათებელი ფოლკლორითა თუ მინიატურული წარმოდგენებით, შესაბამის სამოსში გამოწყობილი მონაწილეებითა თუ ტურიზმში ჩართული ადამიანებით.

ადგილზე მოხდება წარმოებული პროდუქტის გაყიდვა ადგილობრივების მიერ, შეთავაზება ტურისტებისთვის- ადგილობრივი თაფლი, თევზი თუ სხვადასხვა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი, აგრეთვე შესაძლოა ადგილობრივების მიერ ხელნაკეთი ნივთების გამოფენა/გაყიდვა.

შესაძლებელია ადგილამდე სხვადასხვა ტრანსპორტით მიყვანა, თუმცა სასურველია მოეწყოს საცხენოსნო ტურები და სწორედ ტურისტების გასეირნება მოხდეს ცხენებით. სურვილის შემთხვევაში დაიგეგმება საფეხმავლო ტურები, შეიქმნება საფეხმავლო ბილიკები, სადაც ფეხით მოსიარულეთათვის მოსასვენებელი ადგილები მოეწყობა, ბილიკი აუცილებელია იყოს ისტორიული, აკავშირებდეს კულტურულ ძეგლებს და გადიოდეს მწვანე გარემოში, სასურველია თუ გარშემორტყმული იქნება ლამაზი ხედებით და ტურისტებისთვის მოეწყობა მცირე ინფრასტრუქტურა გზებზე (პატარა ქოხების სახით) აქვე, შესაძლებელი იქნება ხედებით დატკბობა, ასეთი ხედების ნათელი მაგალითია ნეკრესი და მისკენ მიმავალი გზა, გზაზე შექმნილია მოსასვენებელი ადგილები, სადაც იშლება ალაზნის ულამაზეს ველი.

სოფელს გააჩნია უძველესი სასაფლაო, რომელიც ვიზუალურადაც ძალიან მისტიურად გამოიყურება. ვფიქრობ, რომ ასეთი არაორდინალური სანახაობებიც ძალიან საინტერესო იქნება, მისტიურობით დაინტერესებული ტურისტებისთვის.

ტურისტთა განთავსება და კვება

თავდაპირველად ტურისტთა განსათავსებლად შეგვიძლია გამოვიყენოთ ადგილობრივი საოჯახო სასტუმროები. ისინი იფუნქციონირებენ ტურისტთა მომრავლებასთან ერთად. როგორც წესი, საოჯახო სასტუმროებს მცირე რაოდენობით და შეზღუდული მომსახურება აქვთ, თუმცა ამ შემთხვევაში ტურისტებს მეტი შესაძლებლობა ექნებათ იურთიერთონ მოსახლეობასთან და გაეცნონ მათ საქმიანობას, ხოლო სურვილის შემთხვევაში მონაწილეობა მიიღონ მათ საქმიანობაში.

როგორც პირველი ორგანიზებული მოგზაურობის ფუძემდებელი თომას კუკი მიიჩნევდა და იტყოდა, ტურისტი არავითარ შემთხვევაში არუნდა დარჩეს მშიერი და მას ჯიბეში ცარიელი

პური მაინც უნდა ედოს, ჩვენთვისაც გასათვალისწინებელი აზრია დააუცილებელია კვების ობიექტების დარეგულირება სოფელში. მათი გაკეთება შესაძლებელია, როგორც სახლების ეზოებში ისე გარე ტერიტორიებზე, სიმწვანეში.

ახალ წელს თუ ჭერემში მოხვდებით აუცილებლად დაბრუნდებით წარსულში და ძალიან მკაფიოდ შეიგრძნობთ ახალი წლის საკრარულ შემობრძანებას, რასაც ჭერმელების მიერ დღემდე შემონახული რიტუალური კერძები და ნუგბარი განაპირობებს. დღემდეა შემორჩენილი სოფელში ბედის კვერების ტრადიციაც, რომელიც როგორც წესი ბედობას ცხვება.

დაინტერესებული მხარეების ჩართვა

იმისათვის, რომ რესტავრირებული და აღდგენილი იქნას არსებული კულტურული ძეგლები (ბორცვი, ნანგრევები „უჯარმული“ წყობით, მამადავითის ნანგრევები, გორგასლის სასახლის კომპლექსი და ა.შ.) საჭიროა, როგორც მცხოვრებთა, ისე სახელწიფოს ჩართულობა, რადგანაც იგი შესაბამის თანხებს და მოტივაციას მოითხოვს. სოფელი ჭერემი, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი უნდა გადაიქცეს ისტორიულ მუზეუმად და რეკრეაციულ ზონად, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს სოფლის ტურისტული პოტენციალის განვითარებას. ყოველლივე ეს იქნება შემოსავლის მომტანი მოსახლეობისთვის და მოხდება არსებული ძეგლების პოპულარიზაცია.

ყოველივე ზომოთ წარმოთქმულის განსავითარებლად აუცილებელია შემდეგი ფაქტორების გათვალისწინება:

- ჩართვა კულტურული მემკვიდრეობით დაინტერესებული ადამიანების, როგორც ჩვეულებრივი მცხოვრებლების ისე ტურიზმის სფეროში ჩართული და სახელმწიფო პირების. აუცილეებლია ამ კუთხით სახელმწიფოს ხელშეწყობა და ჩართულობა.
- უშუალოდ საქმეზე ორიენტირება და ყოველდღიური შრომა განვითარებისთვის,ეს იქნება მეურნეობის განვითარება თუ კულტურული ძეგლების მოვლა-პატრონობა.

სოფლის გადასახლება და განაშენიანების გეგმა

აუცილებელია,ერთი კიდევ ერთი პერიოდის გახსენება სოფელი ჭერმის ისტორიიდან:

1952-53 წლები ავბედითი აღმოჩნდა ჭერმის ისტორიაში. სოფელი სამუდამოდ გახიზნეს ასობით კილომეტრებზე გარდაბანში,მოსახლეობა ნაძალადევად იქნა გასახლებული, ვინც უარს ამბობდა მამა-პაპათა მიწებზე მოუოხრეს მამა-პაპისეული კერა. შეიძლება ითქვას, რომ ჭერემი მსხვერპლია საბჭოთა წყობისა. ერთი მოსაზრებით, სოფელ ჭერმის მოსახლეობა 1950-იან წლებში, რუსთავის მეტალურგიული კომპლექსის მშენებლობასთან დაკავშირებით, იძულებით იქნა ჩამოსახლებული ბარში, რუსთავის მახლობლად, სოფელ გამარჯვებაში. ამის შედეგად, სოფელი ჭერემი, ერთ-ერთი ყველაზე აყვავებული სოფელი გურჯაანის რაიონში, მთლიანად გაუდაბურდა. ჟურნალი დროშა გვამცნობს, რომ სოფელში შედიხარ საავტომობილო გზით, ჭერმისხევის გაყოლებაზე, რომელიც სოფელ ველისციხიდან იწყება. სოფელთან მისასვლელ მეორე, 20 კმ-იანი გზაც არსებობს, ოღონდ უკვე მწყობრიდან გამოსული, სოფელ კაჭრეთის ზემოთ. ერთ-ერთი მოსაზრებით სწორედ უგზოობის გამო იქნა მოსახლეობა ჩამოსახლებული.

იქიდან გამომდინარე, რომ შემდგომში ნელნელა ხდებოდა მოსახლეობის დაბრუნება შეიქმნა სოფლის განაშნიანების გეგმა, რომელიც ასე გამოიყურებოდა:

«სოფლის ტერიტორია დაყოფილია ოთხ ქუჩად. თითოეულ ქუჩაზე შენდება ორმოცდაათი ორ სართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომლებშიც შენარჩუნებულია ხუროთმოძღვრების უძველესი ხალხური ტრადიციები, სახლთან ახლოს არის დამხმარე ნაგებობები, ცალკეა გამოყოფილი სამეურნეო ეზო პირუტყვთათვის, საკარმიდამო ნაკვეთ და ა.შ. სამშენებლო მასალად გამოყენებულია ფლეთილი შავი ქვა, იგი უხვად არის მდინარე ჭერემულას ხეობაში და მისი მოპირკეთებაც იაფი ჯდება.

„სოფლის ცენტრს დაამშვენებს საშუალო სკოლა, საბავშვო ბაღი, ადმინისტრაციულ ცენტრი, ფოსტა, ასამდე ჭერემელი ვაჟკაცი დაეცა ფრონტზე და მათ უკვდავსაყოფად იქმნება მემორიალი. ყველა ეს ნაგებობა შექმნის ერთიან არქიტექტურულ ანსამბლს. ჭერემს ექნება ცენტრალური გათბობა, საკანალიზაციო ქსელი, აღდგენილია წყალსადენის ძველი მაგისტრალი და გათვალისწინებუია ახლოს მშენებლობაც». იძლევა ინფორმაციას ჟურნალი დროშა 1979 წლის გამოცემა თემით «გაცოცხლებული ჭერემი».

სოფელ ჭერმის აღორძინება 1979 წლით თარიღდება. იგი დაახლოებით ოცდაათი წლის განმავლობაში იყო მიტოვებული. გადასახლებამდე ეს სოფელი ითვლებოდა უძლიერეს სოფლად გურჯაანის რაიონში. აქ, ძირითადად, მეცხოველეობა იყო განვითარებული. საძოვრებად და ზამთრისათვის თივისა თუ სხვა საკვების მოსაპოვებლად სოფლის მიმდებარე ტერიტორიები სავსებით კმაროდა.

დღესდღეისობითაც, სოფელს შეუძლია ჰყავდეს შინაური ცხოველები, ეკოლოგიურად სუფთა გარემოში ცხოველის სიჯანსაღე პირველ ადგილზე იქნება. საწყისი ეტაპებისთვის აუცილებელია სახელმწიფოს ჩართულობა, მცირე ფერმების გაშენებაში, რომ მოსახლეობამ კარგად მოიკიდოს ფეხი.

მოცემულ განაშენიანების გეგმარებით, ჩვენ შეგვიძლია გარკვეული ცოდნა და გამოცდილება ავიღოთ და გამოვიყენოთ ეკოსოფლის გამოყენების კუთხით.

კონსტრუქციულად სოფელში არსებობს სახლები, რომლების მიტოვებულია და შესაძლებელია არსებული შენობების გამოყენება. ხელახლა აშენების შემთხვევაში აუცილებელია ისეთი ტიპის სახლების შენება, რომელიც ეკოლოგიურად სუფთა მასალისგან იქნება შემდგარი, აგრეთვე დასაშვებია სხვათა მაგალითზე მოხდეს ისეთი ტიპის კოტეჯების ჩადგმა, რომელიც სამომავლოდ განვითარდება.

ვფიქრობ, რომ გასათვალისწინებელია ხუროთმოძღვრების უძველესი ხალხური ტრადიციის შენარჩუნება. აგრეთვე, ჩვენ შეგვიძლია სამშენებლო მასალად სწორედ ხეობაში მოპოვებული შავი თლილი ქვა გამოვიყენოთ, დავუბრუნდეთ წარსულს და შვქმნათ ძველი კახური, გეხური, „დარბაზული“ ტიპის სახლები, რომლებმაც სხვათაშორის გუმბათოვანი ტიპის ტაძრების განვითარებას ნიადაგი შეუქმნა. აქვე გვხვდება სწორედ ჭერმის კვადრატის მაგალითი. კვადრატი კი წარმოადგენს ბირთვს, მცირე გამონაკლისების გარდა ქართული გუმბათოვანი ტაძრებისთვის. ეს გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ქართველი ადამიანის დამოკიდებულებას რელიგიისადმი ხუროთმმოძღვრების კუთხით. აუცილებლად დაგვჭირდება სახლთან ისეთი სივრცე, რომელიც ცალკე იქნება გამოყოფილი ე.წ. სამეურნეო ეზო.

სტატიაში ასევე იყო ჩამოთვლილი ის ძირითადი პუნქტები, რომელიც სოფელს არ გააჩნდა და დღესაც არ გააჩნია. ასე, რომ ნამდვილად არ იქნება ცუდი თუ უკვე არსებულ მონაცემებს და ცოდნას გამოვიყენებთ, რადგანაც მასში ჩადებულია გარკვეული გამოცდილებები კვლევებზე დაყრდნობით, ეს ყველაფერი 1979 წლის მონაცემებია, ხოლო დღეს ჩვენ ბევრად მეტის გაკეთება შეგვიძლია, ჩვენი ერთობლივი ძალით და სახელმწიფოს ჩართულობით, რაღა თქმა უნდა. ამ დროისთვის სოფელში ცხოვრობს დაახლოებით 28 ადამიანი და სოფელს გააჩნია მთის სტატუსი.

ბიო/აგრო მეურნეობა

აუცილებელია,სოფელ ჭერემში განვითარდეს ბიო/აგრო მეურნეობები, ეკოსოფლის აშენების შემთხვევაში ჭერემში, შესაძლოა გაიხსნას აგრო ბაზარი, რომელიც ადგილობრივი უნიკალური პროდუქტებისგან იქნება შექმნილი და ტურისტებისთვის ეს უდავოდ მიმზიდველი იქნება.

ვფიქრობ, რომ ყველაზე უპრიანი იქნება საკვები პროდუქტების ეკოლოგიურად დასოციალურად უსაფრთხო, ეფექტიანი წარმოება. აგროწარმოების ხარისხის გაუმჯობესებაზე ორიენტირება. სასურველია ,თუ გავითვალისწინებთ IFOAM-სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ფედერაციის რჩევებს, ბიომეურნეობის გაშენების შემთხვევაში:

- გამორიცხულია წარმოების საშუალებების გარედან შემოტანა და ქიმიური ნივთიერებების გამოყენება!
- მოსახლეობა მთლიანად უნდა მისდევდეს ბუნების კანონებს!

მოსახლეთა შორის შესაძლებელია მოყვანილი პროდუქტის, სურვილის შემთხვევაში, გადანაწილება და ერთმანეთისთვის გადაცვლა. მთელი წლის განმავლობაში შესაძლებელია სხვადასხვა რესურსის მიღება. ჭერემი მოცემული გამოცდილებებით და ინფორმაციით, ხელსაყრელი ადგილია, შემდგომი მეურნეობებისთვის: მებოსტნეობა, მევენახეობა, მეფუტკრეობა, მეღორეობა, მეცხენეობა, მეცხვარეობა, მეთევზეობა (მოსახლეებს შეეძლებათ მდინარით სარგებლობა-თევზის მოპოვება).

«წარმოიდგინეთ, მისი ასაკი ჩვიდმეტი საუკუნეა და ამ ხნის განმავლობაში სოფელს თავისი შენახვა რომ არ შესძლებოდა ჩვიდმეტ საწლეულს კი არა, ათ დღესაც ვერ გაძლებდა. მდიდარია წყაროს წყლებით, ჰაერი სუფთაა. ამ მთიან მხარეში ვაზიც კი ხარობს არათუ სხვა რამ კულტურა ..» (ჟურნალი „დროშა“ გაცოცხლებული ჭერემი“).

სოფელს, მთის სტატუსით, თავისუფლად შეუძლია აწარმოოს ღვინოც. გააშენოს ვენახები და ვაზის კულტურა კვლაც დაუბრუნდეს. ასე, რომ აქ სხვა ტურიზმის სხვა სახეობებთან ერთად შესაძლებელია ღვინის ტურიზმის განვითარებაც.

სოფლის რესურსები, შემდგომი განვითარების გეგმით, აკმაყოფილებს იმ კრიტერიუმებს,რაც შესაძლოა ტურიზმის მდგრად განვითარებაზე გავიდეს უშუალოდ, ამისათვის რასაკვირველია აუცილებელია განვითარების ზუსტად შედგენილიი გეგმა.

სოფელ ჭერემში ეკოსოფლის განვითარების შემთხვევაში, რომელიც ყოველდღიური პროცესი უნდა გახდეს, დამკვიდრდება ისეთი საზოგადოება, რომელსაც ექნება საერთო ეკოლოგიური, სოციალურ-ეკონომიკური თუ კულტურული და სულიერი ღირებულებები, იზრუნებენ სოფელში ყოველდღიური განვითარების მიზნით წვლილი შეიტანონ და კიდევ უფრო გააძლიერონ არსებული ბიო და აგრო რესურსები.

აუცილებელია, მოხდეს ამჟამინდელი მოსახლეობის ჩართულობა და ინფორმირება მიმდინარე პროცესში. თითოეული მოსახლის შეგრძნების ამაღლება იმ დონემდე,რომ მას შეუძლია გავლენა მოახდინოს სოფლის განვითარებისთვის და ამისთვის არ დაიშურებს თავის ცოდნას და გამოცდილებას. თითოეული მოსახლე იქნება ბუნების მიმართ ზრუნვით განმსჭვალული და მათი ცხოვრება და საქმიანობა ბუნებასთან ჰარმონიაში იქნება. მოსახლეები იზრუნებენ, როგორც კულტურულ მემკვიდრეობაზე, ასევე სოციალურ და სამეურნეო საქმიანობაზე,რაც სოფლის მდგრად განვითარებას განაპირობებს დროთა განმავლობაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ქალაქები ფეოდალურ საქართველოში ტომ.II 1970წ _ ლ. ჭილაშვილი
- ციხე-ქალაქი ჭერემი _1987 წ._მ. მამიაშვილი
- ქართული ხუროთმოძღვრება ტომ.27 2016_ნ.ხუნდაძე,დ. ვაჩნაძე
- სტანდარტი ბიოწარმოების შესახებ III_“ელკანა“
- ნაშენებითა უზომოთა:ჭერემი-ვახტანგ გორგასლისეული ციხე ქალაქი 1986_კ.ფიცხელაური,ნ. მამაიაშვილი
- საქართველოს სსრ კომუნისტური მშენებლობა „განახლებული ჭერემი“ 1981 წელი_დ.კვარაცხელია
- ჟურნალი „დროშა“ 1979 წ._N 7
- ჟურნალი „კარიბჭე“ 2017წ._N 21
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა ყოველწლიური ლიტერატურული ალმანახი „პირველი სხივი“ 1998 წელი_N 27

მადლობა

მხარდამჭერები და სპონსორები:

საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების სამინისტრო
სანაპიროს ქ. 2, 0114, თბილისი, საქართველო
ტელ: +(995 32) 299 11 11; +(995 32) 299 11 05
ფიქსი: +(995 32) 292 15 34
E-mail: ministry@moesd.gov.ge
www.economy.ge

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია
სანაპიროს ქ. 4, 0105, თბილისი, საქართველო
ტელ: +(995 32) 2 436 999;
ფიქსი: +(995 32) 2 436 085
E-mail: info@gnta.ge
www.gnta.ge

2020

საქართველოს ტურიზმის
ეროვნული ადმინისტრაცია

Georgia

საქართველოს ეკონომიკისა
და მდგრადი განვითარების
სამინისტრო